# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 12 დეკემბერი 2000 №239 (1261) | ფასი 50 თეთრი


# საუკუნის მეფე



პელეს XX საუკუნე და ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი ჩაეხუტნენ

ლამის ოთხი ათეული წელია, ამ კაცს ფეხბურთის მეფე ჰქვია და რაღა გუშინ, 2000 წლის 11 დეკემბერს დათმობდა ტახტს? მოცილე კი ჰყავდა, მარადონა — ესეც უდიდესი ფეხბურთელი, მაგრამ ათას შარში გახვეული, ჭიჭყინა და ხანდახან ხელით გოლის გამტანი არგენტინელი.

პელეს ასეთი არასდროს უკადრებია. არც თავისთვის და არც ხალხისთვის.

ფეხბურთი კაცური თამაშია, ფეხბურთის მეფე კი — პელე.

ასე თქვა ფიფამაც.

წლის საუკეთესო ფეხბურთელად კი, ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელების გამოკითხვით, ალჟირელი ემიგრანტის შვილი, აწ უკვე საფრანგეთის ეროვნული სიამაყე ზინედინ ზიდანი დაასახელეს. მეორე ადგილზე ფიგუ გავიდა, მესამეზე კი რივალდო.

მადრიდის „რეალი“ XX საუკუნის გუნდად აკურთხეს...

დანარჩენი ხვალინდელ „სარბიელში“ იყოს.



ზიზუ 2000. ზინედინ ზიდანი წლის რჩეულია

## გენკი ნაბოსკამპარზე



ოთხშაბათს, 13 დეკემბერს, 12 საათზე სასტუმრო „შერატონ-მეტეხი პალასში“ გაიმართება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესია. დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 11 საათიდან.

# ქართველები შინ და გარეთ: მხართეძოზე, გოლი გოლზე

ქართული ფეხბურთის მამებმა 21-ე საუკუნეს ერთი კალენდარული ტური და თასის მეოთხედფინალი მოსტაცეს. ამით საშემოდგომო ეტაპმა ზამთრის პირს, დეკემბერს უწია და თასის საპასუხო, საკვირაო მატჩებით ჩვენი ფეხბურთის ასწლეულიც გასრულდა. გასრულდაო, ვამბობთ, მაგრამ განა ევროპაში მოთამაშე ქართველი ლეგიონერებიც ჩვენები არ არიან?! ევროპამ და იქაურმა ფეხბურთმა კი, მოგეხსენებათ, ჩვენებრ ხანგრძლივი არდადეგები და მხართეძოზე წამოწოლა არ იციან. ეგ კი არა, ბრიტანელები სულაც ნაახალწლევს თამაშობენ.

ამ უქმეებზეც მორიგმა ევროპულმა საფეხბურთო ტურებმა სანტა კლაუსის ციგასავით თვალისმომჭრელად ჩაისრიალა. ჩვენი მთავრობა კი შუქს ისე გამოზომილად გვაწვდის (ამბობენ, საშობაო საჩუქრად ინახავსო), ამ სანახაობისთვის ტელეეკრანზე თვალის შევლება ქართული ფეხბურთის წარმატებათა გახსენებაზე უფრო ძნელია.

არადა, რა საინტერესო და სასიამოვნოა იმის გაგება, ნახვა და მოსმენა, რომ:

ალექსანდრე იაშვილმა ორი გოლი გაუტანა „ბოხუმს“;

არჩილ არველაძემ ერთი „ვერდერს“;

გოჩა ჯამარაულმა და მიხეილ ყაველაშვილმა დუბლი და ცალი ყაველას ყოფილ კლუბ „გრასჰოპერს“;

სურდომოურჩენელი გიო ქინქლაძის თანაგუნდელ მარტ პოომს რომ აკრობატული ნახტომი არ გაეჭიმა ჩელსელი რატი ალექსიძის შორეული დარტყმისას, მეგოლეთა სიას ისიც შეავსებდა. უამისოდ კი იმ ფეხბურთელთა ნუსხაში ჩაეწერა მეოთხე ქართველად, ვისაც ინგლისურ პრემიერლიგაში უთამაშია.



ალექსანდრე იაშვილმა უგოლო სერია „ბოხუმთან“ დუბლით შეწყვიტა

## საქართველოს თასი

მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები

# რას ერჩის მახარაძე დინამოს?

## ვიტ ჯორჯიას ამჟამინდელმა მწვრთნელმა დინამო მეორედ გააჩერა



კვირას მცხეთაში: „ვიტ ჯორჯია" — „დინამო" 0:0. გიორგი მიქაძის დარტყმულის მოგერიება ედიკ საჯაიამ ამაოდ სცადა

თბილისი
10 დეკემბერი
14 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 0:0 დინამო**

პირველი მატჩი 1:0

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, ჭანკოტაძე, საჯაია, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი (ინწკირველი 74), დილმელაშვილი, ვ. გოჩაშვილი, დოლიძე (სულთანიშვილი 59), ლ. ნოზაძე, გიორგი ქორიძე (თაყაძე 88), ლ. მელქაძე

*სათადარიგონი:* სტურუა; გვაზავა, ხაჭაპურიძე

**დინამო:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, ზაზიაშვილი (კანდელაკი 52), სიჭინავა, ჯინჭარაძე, ზამთარაძე, ბურდული (ა. სახვაძე 46), მაზიაშვილი (რუხაძე 78), კ. გოგოლაძე, გ. ვ. მიქაძე

*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; დათვაძე, თ. მაისურაძე

**გაფრთხილება:** მიქაძე (28), ქორიძე (45), ჯინჭარაძე (74), საჯაია (83), გოგოლაძე (83), სახვაძე (83)

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

**კოზა ინასარიძე მცხეთიდან**

მართალი იყო „დინამოს" მწვრთნელის თანაშემწე ნიკა ჩხეიძე საპასუხო მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომ თქვა, ჩვენ მთავარი შინ, თბილისში ჩატარებული თამაში წავაგეთ. მაშინ კარგად ვერ მოვემზადეთ, დღეს კი ბიჭებმა ნორმალურად ითამაშეს, მაგრამ არ გაგვიმართლაო. ჩხეიძეს „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელის თანაშემწე ვეფხია გვენცაძეც დაეთანხმა .და, ალბათ, ამასვე იტყოდა მატჩის ყოველი დამსწრე.

მართლაც, არ გაუმართლა „დინამოს". გაცილებით მონდომებულები და მობილიზებულები გახლდნენ სტუმრები კვირას, ვიდრე პირველი, წაგებული მატჩისას. აშკარა იყო მათი უპირატესობა, მაგრამ მიუხედავად არაერთი საგოლე შანსისა, რევაზ არველაძის შეგირდებმა მეტოქის კარგად ორგანიზებულ დაცვასა და უშეცდომოდ მოთამაშე მეკარე მირზა მერლანს ვერაფერი მოუხერხეს.

„ვიტ ჯორჯიამ" კი თავისი საქმე თბილისშივე, ეროვნულ სტადიონზე გააკეთა და საპასუხო მატჩისას მოსალოდნელიც გახლდათ, რომ ვიტელები თითქმის მთელი გუნდით უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. საჯარიმოს მიახლოებულ დინამოელს მასპინძელი მცველები ყურადღებით მეურვეობდნენ და მაქსიმალურად უზღუდავდნენ თავისუფალ სივრცეს.

რევაზ არველაძემ პირველი მატჩის შემდეგ შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა. ოთხი დღის წინ სათადარიგო გოგოლაძემ, მაზიაშვილმა და ბურდულმა თამაში ამჯერად ძირითადში დაიწყეს.

„დინამომ" უპირატესობაც ძირითადად მოედნის ცენტრში აქტიურობით მოიპოვა. ნახევარმცველები ბევრს მოძრაობდნენ, ბურთს არ აყოვნებდნენ და მეთოდურად გადადიოდნენ შეტევაზე. ისე, ისიცაა აღსანიშნავი — დინამოელებს ათი წუთის განმავლობაში მეტოქის კართან ისეთი მომენტი არ შეუქმნიათ, ასპროცენტიანი რომ ეთქმის.

სანახაობრივად უკეთესი მეორე ტაიმი გამოდგა. მეტოქეები ერთმანეთს უბრძოლველად გოჯს არ უთმობდნენ, დაძაბულობამაც იმატა და მატჩის დამთავრებამდე დაახლოებით ათი წუთით ადრე მცირე გაწევ-გამოწევაც იყო. საქმეში არბიტრიც ჩაერია და ერთბაშად სამი ფეხბურთელი გააფრთხილა. იქამდე კი „დინამოს" ორჯერ ჰქონდა დაწინაურების შანსი. პირველად, როცა სტუმრებმა კუთხური ჩააწოდეს და ვიტელებმა ბურთი საჯარიმოს განარი-დეს, მაზიაშვილმა უძლიერესად დაარტყა, მაგრამ მერლანმა იყოჩაღა და ბურთი გააქვავა. მეორედ კი მარჯვენა ფლანგიდან ზამთარაძემ მეკარის საჯარიმოში ჩააწოდა და გიორგი მიქაძის თავური კარს ოდნავ აცდა.

მერე „ვიტ ჯორჯიამაც" შეუტია „დინამოს", თუმც გრიშიკაშვილამდე ბურთი იშვიათად აღწევდა. სტუმართა მცველები საიმედოდ თამაშობდნენ. 89-ე წუთზე კი სავსებით შესაძლებელი იყო ნახევარფინალისტის გამოსავლენად დამატებითი დრო დანიშნულიყო. ვაშაკი-ძეს ჰქონდა კარგი მომენტი, მაგრამ დარტყმული გაუცუდდა. ორიოდ წუთში შალამბერიძემაც ჩასტვინა და „ვიტ ჯორჯიამაც" გაიხარა. მწვრთნელმა თემურ მახარაძემ და მისმა გუნდმა „დინამო" საქართველოს თასის გათამაშებიდან უკვე მეორედ გამოთიშა. შარშან მახარაძის „ლოკომოტივმა" მერვედფინალში დაამარცხა „დინამო", ახლა კი „ვიტ ჯორჯიამ" მოიგო და ნახევარფინალში გავიდა.

ნამატჩევს, პრესკონფერენციაზე ორივე გუნდის მწვრთნელის თანაშემწეები გამოცხადნენ. ნიკა ჩხეიძემ რაც თქვა, ზემოთაც წერია, ვეფხია გვენცაძემ კი...

— „ვიტ ჯორჯია" ახალგაზრდული გუნდია და „დინამოსთან" საპასუხო მატჩის წინ ფეხბურთელებს, ცოტა არ იყოს, ფსიქოლოგიურად უჭირდათ. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. „დინამომ" ძალიან ძლიერად ითამაშა და შესაძლო იყო, წაგვეგო კიდეც. თემურ მახარაძემ გუნდზე იმოქმედა, მისი ხელი ჩვენს თამაშს ნელ-ნელა ეტყობა. ისე კი, ვლადიმერ ხაჩიძემაც კარგად მოამზადა გუნდი.



ირაკლი ვაშაკიძე (№3) ლაშა ნოზაძესა და გიორგი ჭანკოტაძეს (№21) შორის

# სტუდენტები ულიდეროდ

## კოჭლაშვილი ძველ სამსახურში

თბილისურმა თსუ-მ საშემოდგომო ეტაპი მეთერთმეტე ადგილზე ჩაამთავრა. 4 მოგება და 2 ფრეა სტუდენტთა მონაგარი.

ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატია თსუ, მით უმეტეს ახლა, როცა უმწვრთნელოდ დარჩა.

შეგახსენებთ, რომ სტუდენტურ კლუბს თენგიზ კაცია წყალტუბოს „სამგურალთან" თასის მერვედფინალში დამარცხების შემდეგ დაეთხოვა. მაშინ ჩემპიონატის თოთხმეტი ტური ჩამთავრებული იყო.

დარჩენილ სამ ტურში თსუ-ს თავკაცობა „ვიტ ჯორჯია 2"-ის მთავარმა მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა იკისრა, მაგრამ დროებით, რაკი სტუდენტური კლუბის ხელმძღვანელობას საშემოდგომო ეტაპის შემდეგ სხვა გეგმები გააჩნდა.

ითავკაცა კოჭლაშვილმა სამ მატჩში, დასრულდა საშემოდგომო ეტაპი და ძველ სამუშაოს დაუბრუნდა, კვლავ ნორჩ ვეტერინარებს გაწვრთნის.

თსუ-ს ახალი თავკაცის ვინაობა კი, როგორც გვითხრეს, სამ დღეში, გუნდის საერთო კრებაზე გაირკვევა, სადაც სხვა საკითხებიც უნდა განიხილონ.

ვნახოთ, მოახერხებს თუ არა თსუ კრიზისს თავი დააღწიოს.

**დათო დანელია**



მერაბ კოჭლაშვილი

### იტალია

სერია B. XV ტური
**სამპდორია 1:0 კოზენცა**

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XVI ტური
**ჰანოვერი 1:1 ზანქტ პაული**

საქართველოს
ფეხბურთის ფედერაცია
თანაუგრძნობს
მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეებს
**დედის**
გარდაცვალების გამო

სარბიელელები
სამძიმარს ვუცხადებთ
ჩვენს კოლეგას
რევაზ შენგელიას
**მამის**
გარდაცვალების გამო




დღე-დღეზე გამოვა რევაზ შენგელიას „ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი", რომლის შეძენაც 5 ლარად შეგეძლებათ საგაზეთო ჯიხურებსა და კერძო გამავრცელებლებთან.

თბილისი
10 დეკემბერი
14 საათი
ეროვნული
600 (ტევადობა 70 900)

**ლოკომოტივი 0:1 სამგურალი**

პირველი მატჩი 2:1

0:1 ქელიძე (90)
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი (აბრამიძე 46), ლევან სილაგაძე, თოდუა, ქიჭვეიშვილი, შენგელია (გაგუა 46), კვარაცხელია, რუსია (ხურიძე 46), გონჩაროვი, გოგიჩაიშვილი, პარამონოვი
სათადარიგონი: ასლანაძე; გილაური, დ. არჩვაძე, ლ. ქელიძე
სამგურალი: ბოდოკია, დ. ქელიძე, თირქია, ჯინჭარაძე, ლონდაძე, ბაბუნაშვილი, ფხაკაძე, კიკვიძე, დარსაძე (გოლეთიანი 88), ქუთათელაძე, ქობულაძე
სათადარიგონი: თ. გიორგაძე; ჯიქია, მაჭარაძე, ბარაბაძე, ლვინჯილია
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

# სამაგალითონი და ოთხმოცლარიანები

დავით თავართქილაძე

პირველლიგელ „სამგურალს“ ამ სეზონში სტუმრად მანამდე მხოლოდ ერთხელ მოეგო, მეორედ კი ეს სათასო მატჩში მოახერხა თვით თასის მფლობელთან და უმაღლესი ლიგის ლიდერთან. თანაც ეს შემთხვევით არ მომხდარა — ყოველივე სავსებით ლოგიკური გახლდათ.

ჯერ კიდევ პირველი რაუნდის შემდეგ ვთქვით, რომ „სამგურალი“ საკმაოდ სიმპატიურად გამოიყურებოდა. მასპინძელ გუნდი კაპიტანმა ბესიკ ბერაძემ დაალაგა, იმერლები კაცნაკლულნი იბრძოლნენ მრისხანე მეტოქეს და ეს გარემოება რომ არა, ვინ იცის, იქნებ ნახევარფინალშიც გაეღწიათ.

ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას ნამდვილად გვაძლევს იმერლების თამაშის ხარისხი, გარდა ამისა, მოუნებული რკინიგზელები.

...პირველად სახიფათოდ სტუმრებმა შეუტიეს. დარსაძემ მარცხენა ფლანგზე გაინავარდა, მეტად სახიფათოდ ჩააწოდა ლომაიას კარის გასწვრივ, მაგრამ პარტნიორებმა ვერ ივარგეს. „ლოკომოტივმა“ კახა გოგიჩაიშვილის ჯარიმით უპასუხა იმერლებს — რკინიგზელთა ლიდერის მიერ ცოცხალ კედელს ოსტატურად გადავლებული ბურთი თედო ბოდოკიამ რის ვაი-ვაგლახით მოიგერია კუთხურზე. შემდეგ ისევ „სამგურალმა“ გამოიდო თავი, ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა ნელ-ნელა მთლიანად წყალტუბოელებმა მოიპოვეს. მათ ასპროცენტიანი საგოლე მომენტები არ შეუქმნიათ, მაგრამ „ლოკომოტივის“ დაცვა და მეკარე ერთობ შეაწუხეს. კარგი შანსი ჰქონდა მეტოქის საჯარიმოში შეჭრილ ლევან ქობულაძეს, გიორგი ლომაიას შორიდან მეტად სახიფათოდ დაურტყეს მალხაზ ჯინჭარაძემ, შალვა ლონდაძემ, შოთა ბაბუნაშვილმა, ზვიად ფხაკაძემ...

დიახ, ზუსტად არ დაგვითვლია, მაგრამ სტუმრებმა გაცილებით ბევრჯერ დაარტყეს კარში და კარის მიმართულებით. პირველ ტაიმში ერთი-ორჯერ ბაბუნაშვილმა მოგვაწონა თავი მოხდენილი დრიბლინგით, აქტიურობდა „სამგურალის“ მეგოლე ზვიად ქუთათელაძე, „ლოკომოტივმა“ კი, ფაქტობრივად, ვერაფერი დაუპირისპირა ეროვნულ სტადიონზე თამამად მოთამაშე წყალტუბოელებს.

მასპინძლები ვერც შესვენების შემდეგ გამოფხიზლდნენ. რა თქმა უნდა, ძნელია, სათანადოდ განეწყო პირველლიგელის წინააღმდეგ, თანაც მაშინ, როცა პირველი მატჩი სტუმრად მოგებული გაქვს და ეჭვიც აღარ გეპარება მომდევნო ეტაპზე გასვლაში.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს შეხვედრა საშემოდგომო ეტაპის ბოლო მატჩი იყო, ლოკომოტიველებს არდადეგები მონატრებოდათ და ვერ იყვნენ ბრძოლის ხასიათზე. თუმცა ეს გასამართებელ საბუთად მაინც არ გამოდგება, უბრალოდ ცოდვებს უმსუბუქებს პირველიგელთან შინ დამარცხებულ მეთორმეტე ეროვნულის ლიდერს.

...მეორე 45 წუთის დებიუტშიც „სამგურალმა“ გაიბრწყინა. კიკვიძე მარჯვენიდან შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმოში, დაბალი ბურთი დაარტყა კარის შორეული კუთხისკენ, მაგრამ ლომაიამ იყოჩაღა და წყალტუბოელებიც მხოლოდ კუთხურს გამორჩნენ. „ლოკომოტივის“ უსახური იერიშები მინდორზე ვალერი გაგუას გამოჩენამ ოდნავ გაამწვავა. მან ორჯერ შორიდან სცადა ბოდოკიას დამწუხრება და ორჯერვე მიზანმა უმტყუნა. გოგიჩაიშვილმაც მოინდომა, ცოტათი გამოეცოცხლებინა თავისი გუნდის თამაში, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

„სამგურალი“ კვლავ ურჩობდა, უპირატესობას კი ველარ ფლობდა — თითქოს ძალა ეცლებოდა, მხნედ ველარ გამოიყურებოდა, მაგრამ მეტოქეს არც არაფერს უთმობდა.

წყალტუბოელებს ბოლო წუთამდეც შეეძლოთ გოლის გატანა: ქუთათელაძემ ლევან სილაგაძე აიტულა, თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან შემცდარიყო, მერე შემობრუნებით სცადა ლომაიას კარის დალაშქვრა, მაგრამ ბოლომდე ყოჩაღად ვერ იბრძოლა, ძალა აღარ ეყო, გადამწყვეტი დარტყმა უნაკლოდ შეესრულებინა.

სამართალმა კი პური სწორედ ბოლო წუთზე ჭამა. მარცხენა ფლანგიდან, „ლოკომოტივის“ საჯარიმო მოედნის წიბოს სიახლოვეს დავით ჭელიძემ ბურთი საჯარიმო დარტყმისთვის გაამზადა, მოკლე გამორბენით ძლიერად და მოჭრილად დაარტყა, ლომაია, როგორც წესი, შორეულ ძელთან იდგა, ბურთიც იქითკენ მოიჭრა და ხარიხას მოხვედრილმა კარის ხაზიც გადაკვეთა — ძალიან ლამაზი გოლით გამოსდეს სარმა „ლოკომოტივს“.

*რევაზ ძოძუაშვილი, „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი:*

— ახალგაზრდა ფეხბურთელები რომ ვერ შეიგნებენ იმას, რასაც ეჩიჩინები და მაქსიმალურ დონეზე ვერ მოემზადებიან თამაშისთვის, ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდები. დღეს „ლოკომოტივმა“ სამაგალითოდ აჩვენა, თუ როგორ არ უნდა ითამაშო ფეხბურთი.

*იასონ ბზიკაძე, „სამგურალის“ მთავარი მწვრთნელი:*

— „ლოკომოტივთან“ სათამაშოდ ძალიან სერიოზულად ვემზადებოდით. პირველ მატჩში, ცოტა არ იყოს, ვერ დავძლიეთ ფსიქოლოგიური ბარიერი, დღეს კი უშიშრად ვითამაშეთ, ძალიან კმაყოფილი ვარ. „სამგურალი“ ახალგაზრდული გუნდია, ექვსი თექვსმეტი წლის ფეხბურთელი გვყავს, არიან გამოცდილებიც. ბიჭებს გასამრჯელოდ 80 ლარი ეძლევათ.



იასონ ბზიკაძე

ქუთაისი
10 დეკემბერი
14 საათი
ტორპედო
3 500 (ტევადობა 19 432)

**ტორპედო 1:0 კოლხეთი**

პირველი მატჩი 1:1

1:0 იმედაძე (81)
ტორპედო: ზოიძე, ახვლედიანი (თავბერიძე 88), შეყრილაძე, ხვადაგიანი, ზ. არჩვაძე, შალამბერიძე, კ. კვეტენაძე, გაბიდაური (მახვილაძე 77), ასათიანი, მ. ბობოხიძე (იმედაძე 57), ჯანაშია
სათადარიგონი: ტოგონიძე; თურმანიძე, კვერნაძე
კოლხეთი: მ. გვასალია, ტორჩინავა, ქუნთელია, პაპავა, მაღლაკელიძე, ჭანტურიძე, ფაჩულიძე, ლალანიძე, გოგიაშვილი (ხუჭუა 73), ე. გვასალია (შავგულიძე 36), კრასოვსკი
სათადარიგონი: ჩემია; გოჩა ჭანტურია, გ. ჩიტაია
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

თბილისი
10 დეკემბერი
14 საათი
სინათლე
200 (ტევადობა 3 000)

**მერანი 6:3 დილა**

პირველი მატჩი 2:1

1:0 ბაჯელიძე (7), 2:0 ბოლქვაძე (22), 3:0 კაკუბავა (34), 4:0 როსტიაშვილი (32), 5:0 გოდერძიშვილი (42), 5:1 ხორგუაშვილი (51), 5:2 ბურნაძე (54), 6:2 სილაგავა (73), 6:3 ეჯოშვილი (90)
მერანი: ნაჭყებია, ბოლქვაძე, გუჯაბიძე (ჩანადირი 46), კოშკაძე, ბაჯელიძე, გ. კვეტენაძე (სილაგავა 46), როსტიაშვილი, კაკუბავა (მუხინი 46), ჭინჭარაული, მინაშვილი, დ. გოდერძიშვილი
სათადარიგონი: კოროშინაძე; ივანიშვილი, გ. ილურიძე, თოლორდავა
დილა: თ. ილურიძე, გ. გოჩაშვილი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, გოგინაშვილი, ხოხობაშვილი, ხაჩირაშვილი, ხორგუაშვილი, ეჯოშვილი, მ. ბურნაძე
სათადარიგონი: მდივანი; კოტორაშვილი
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

# შორს, ჰორიზონტზე...

მამუკა კვანტალიანი

...მათ ფეხბურთელობამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. ჯერაც ნორჩები არიან, თითქმის უწვერულები. ორივე ნახევარმცველია, ერთი მარჯვნივ თამაშობს, სწრაფია და ჭკუაც უჭრის, მეორე უფრო შუაში ვარგობს. ცოტა სისწრაფე და ჯანი აკლია, მაგრამ კოჭებში ეტყობა, რომ ნიჭიერია.

გიორგი სილაგავა და მურთაზ ბურნაძე ჯერ თექვსმეტისაც არ შესრულებიან. ერთი მერანელია, მეორე — გორელი. კვირას მეტოქეები იყვნენ, თავი ორივემ გამოიჩინა. აზრიანად ითამაშეს და თითო გოლიც გაიტანეს.

თაობა მოდის, თვალის დახამხამება და უკვე დიდია გუშინდელი ბავშვი, მოედნისკენ მიიწევს. თანატოლებს სჯობს, ვეტერანებს ავიწროვებს და იზრდებიან ფეხბურთელები საქართველოში...

სწორედ ამათ სჭირდებათ პატრონი, ვინც გამკვალავი და ჭკუის დამრიგებელი. ნიჭი არ დაიკარგოს, ვინმემ არ წაბილწოს, არ მოატყუოს და ფეხბურთელად აქციოს — სწორედ ესაა საფიქრალი.

ორასამდე ქომაგი ეწვია კვირას „სინათლეს“. თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი იყო „მერანი“ — „დილა“. ნახევრად გაერკვევი თითქმის არაფერი იყო. ნახევარფინალისტის ვინაობა პირველივე თამაშში გაირკვა. ცხადი იყო, გორში მიღწეულ უპირატესობას ავჭალელები ხელიდან არ გაუშვებდნენ.

ნელი, მშვიდი ბურთაობა იყო, გოლები პანტაპუნტით კი ცვიოდა ხან ერთ, ხანაც მეორე კარში, მაგრამ თამაში უჯიგრო და უინტერესო გამოვიდა.

იმედი კი მაინც იყო, შორს ჰორიზონტზე, მაგრამ გულს ეფონებოდა. კიდევ ცოტა ხანი და სილაგავა, ბურნაძე და მათი კბილა ბიჭები დავაჟკაცდებიან და, ალბათ, ეროვნულ ჩემპიონატსაც ეშველება. ტყუილად როდი ამბობენ ჩვენში, 1984-85 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა კარგი თაობა მოდისო.

„მერანის“ თავკაცმა ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა, სხვებსაც მისცა თავის გამოჩენის საშუალება. სულაც არ რისკავდა დავით ჯიშკარიანი, მწვრთნელმა ნახა, რა გუნდით უპირისპირდებოდა მეტოქე.

ვაჟა ხაჩირაშვილმა ოთხ გამოცდილ მოთამაშეს სულ ახალგაზრდები დაამატა და ასე წარსდგა „სინათლეზე“. თორმეტი ფეხბურთელი და ორი მწვრთნელი, პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი. სულ თექვსმეტნი იყვნენ სტუმრები.

ღია თამაში იყო. მასპინძლები მეშვიდე წუთზე დაწინაურდნენ. ბაჯელიძის დაწყებული ბოლო წუთზე სტუმარმა ეჯოშვილმა დააბოლოვა. ამათ გარდა კიდევ შვიდმა ფეხბურთელმა გაიტანა, ახალგაზრდამაც და გამოცდილმაც.

მასპინძელი ხუთი ბურთით რომ დაწინაურდა, სტუმარმა მერელა გაიტანა. ბინძური თამაში არ ყოფილა, არც აყალმაყალი, უკმაყოფილება და მუქარა.

„მერანი“ ნახევარფინალში და ჯერჯერობით ექვსეულშია. სიხარულის საბაბი ჰქონდათ ავჭალელებს.

„დილა“ მეათეა, საშიშ ზონაში იმყოფება. ჩაფიქრებული ტოვებდნენ „სინათლეს“ გორელები, მაგრამ მომავლის იმედი მაინც ჰქონდათ.

ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს, საშველი ქართულ ფეხბურთსაც დაადგება. ოღონდ საკითხავია, როდის?..

კვირას კი ქართული ფეხბურთის საუკუნე საქართველოს თასის ნახევარფინალისტთა გამოვლენით გასრულდა, სადაც „მერანმა“ კუთვნილი ადგილი დაიკავა.



„მერანი“ — „დილა“ 6:3. მასპინძელთა ბოლო გოლი გიორგი სილაგავას (№17) გააქვს



მერანელ დავით ბოლქვაძეს „დილას“ ახალწვეული დავით გოგინაშვილი მეურვეობს

# უხელფასო ამნისტია

## ბათუმური შვიდეულისთვის

ბოლო ხანს თუ ქართულ ტრანსფერთა სფეროს წალმა-უკულმა „ლოკომოტივ“ — ხიზანიშვილის გაჭიანურებული საქმე აბრუნებდა, 25 დეკემბრიდან ბაზარი ოფიციალურად იხსნება და უკვე გამოჩნდნენ ამა თუ იმ ფეხბურთელის სავარაუდო მსურველები.

მსურველი სასურველზე მეტია, მაგრამ ამ საქმეში აჩქარება დაგვიანებაზე უარესია. მაგალითი გნებავთ? ინებეთ: „ბათუმმა“ წლეულს, სამი ტურის მერე დაიწუნა იტალიელი ჯანი კარნევალის მოწონებული 6 ფეხბურთელი და უმუშევრადაც დატოვა.

მხოლოდ უმუშევრობა რა სათქმელია, საშემოდგომო ეტაპი ისე გაილია, ფედერაციის პრეზიდენტის დანაპირები, „ბათუმს“ კუთვნილ გასამრჯელოს ავანაზღაურებინებო, დანაპირებად დარჩა.

არადა, გელა გაბისონია, ზურაბ ქვაჩახია, მიხეილ ქობულაძე, კახა სიდამონიძე, ირაკლი ბარქაია, ბესიკ შენგელია და ირაკლი თარგამაძე დღესაც უგუნდოდ და უფულოდ არიან.

— ახლახან ვიყავი ფედერაციაში და მერაბ ჟორდანიას დადგენილებაც თან მაქვს. სატრანსფერო სეზონი იხსნება და მთხოვნელიც გამომიჩნდა, თამაშს ალბათ, ფოთის „კოლხეთში“ გავაგრძელებ, მაგრამ, რაც „ბათუმელთაგან“ მერგება, პატარა თანხა არაა, ხელი რომ ჩავიქნიო.

მერაბ ჟორდანია დაგვპირდა, უახლოეს ხანს, ალბათ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან, ასლან აბაშიძესთან შეხვედრა მომიწევს და თქვენს საკითხს მასთან დავაყენებო. ვნახოთ — იმედს არ კარგავს სფფ-ის პრეზიდენტისგან დაიმედებული გელა გაბისონია.

ერთი სიტყვით, ზურაბ ხიზანიშვილის არასრულფასოვანი კონტრაქტი რომ გამონაკლისი არაა, ბათუმური შვიდეულის საქმეც ამის დასტურია — ჩვენში არ არსებობს კლუბების ხუშტურებისგან ფეხბურთელთა დაცვის კანონიერი საფუძველი.

ვახტანგ ბზიკაძე



ორი უგუნდო: გელა გაბისონია (№10) და გიორგი დავითნიძე

# დინამო: იურისტები თბილისში მუშაობენ, რევაზ არველაძე ევროპაში

თბილისის „დინამოში“ დღეს არსებულ ვითარებაზე, ვფიქრობთ, კარგად მოგეხსენებათ. გუნდი რეგისტრაციაგაუვლელია, ფინანსურ კრიზისშია, უეფასგან ვალის გამო დასჯილია... ერთი სიტყვით, უკვე კარგა ხანია, დაახლოებით ორი წელი, „დინამო“ „დინამოს“ არ ჰგავს.

და ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, სენსაციურადაც გაიჟღერა „დინამოს“ მწვრთნელის რევაზ არველაძის განცხადებამ, რომელიც მან ორიოდ კვირის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

„ჩვენ ვაყენებთ საკითხს შპს სკ თბილისის „დინამოს“ დამფუძნებლების წინაშე, რომ თუ 10 დეკემბრამდე სიტუაცია უკეთესობისკენ არ შეიცვლება, მე და ჩემი მეგობრები უმოკლეს ვადაში ავირჩევთ ხელმძღვანელ ორგანოს და რეგისტრაციაში გავატარებთ შპს-ს, რომელიც იქნება შპს სკ თბილისის „დინამოს“ 100-პროცენტიანი დამფუძნებელი“.

რევაზ არველაძის ეს ნათქვამი ულტიმატუმსაც ჰგავდა. შეცვლით კი კლუბში დღემდე, უფრო სწორად, 10 დეკემბრამდე, არაფერი შეცვლილა. რომელ უკეთესობაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ამ ორ კვირაში პირიქით, სიტუაცია გუნდში მთლად გაუარესდა. ხელფას-პრემიამიუღებელ ფეხბურთელებსაც წაუხდათ ხასიათი — „დინამომ“ ზედიზედ ორჯერ წააგო და წლეულსაც, წინა სამი გათა[…] მაშების მსგავსად უთასოდ დარჩა. სა[…]ქმე იქამდეც კი მივიდა, რომ, რამდე[…]ნადაც ვიცით, გუნდის რამდენიმე ფე[…]ხბურთელი ვარჯიშზე არ გამოცხადდ[…]

დღეს კი 12 დეკემბერია. გუშინ „დი[…]ნამოს“ მწვრთნელ რევაზ არველაძე[…] დავუკავშირდით და ამ ამბის თაობა[…]ზე ვკითხეთ.

„მე და ჩემი მეგობრები ორ გამო[…]ცდილ და მცოდნე იურისტთან ერთა[…] კლუბის ახალ წესდებაზე ვმუშაობ[…] და უახლოეს მომავალში ყველაფერ[…] მოვაგვარებთ. უკვე შევხვდი „დინა[…]მოს“ ძველ დამფუძნებლებს, ვესაუ[…]ბრე, არავის არანაირი პრეტენზია არ[…] აქვს. ახლა დროის ამბავილაა, რეგი[…]ტრაციას როდის გავივლით. უახლო[…]ეს დღეებში ერთი კვირით გერმანია[…] ჰოლანდიაში მივემგზავრები, იქაც სა[…]ქმიანი შეხვედრები მაქვს დაგეგმილ[…] ახლობელ-მეგობრებს რჩევას ვკითხა[…] და „დინამოსაც“ მივხედავთ. ამ ეტა[…]ზე ყველაზე მნიშვნელოვანი ის არი[…] რომ „დინამოს“ საბჭოსთან დილმის ს[…] წვრთნელი ბაზის თაობაზე უნდა და[…]ლაპარაკოთ. თუმცა პრობლემა არც [...] იქნება, გადასაწყვეტი ბაზის იჯარი[…] საკითხებია. სტადიონი კი დიდად [...] მაღელვებს, ბოლოს და ბოლოს, „ერო[…]ვნულს“ ყოველი მატჩისთვის ვიქირა[…]ვებთ“ — გვითხრა „დინამოს“ მწვრთ[…]ნელმა.

კობა ინასარი[…]

# ოლიმპიური მიზეზით და სიმშვიდით

ხვალ წესით და რიგით გამორჩეული, დაძაბული დღე უნდა ჰქონოდათ სადისციპლინო კომიტეტის წევრებს. ფიზკულტურის და სპორტის აკადემიის რექტორის კაბინეტში ქართულ ფეხბურთში ბოლო`დროს მომხდარ დარღვევებზე უნდა ემსჯელათ. კომიტეტს ეს სხდომა გაცილებით ადრე უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ ერთი კვირის წინ სათასო მეოთხედფინალები მოლეული არ იყო და სადისციპლინო კომიტეტის გამართვის თარიღად 13 დეკემბერი დასახელდა, მაგრამ დისციპლინარები ხვალ აკადემიის შენობაში ფეხბურთზე „ოლიმპიური მიზეზით“ ვერ იმსჯელებენ.

საქმე ის გახლავთ, რომ ხვალვე უნდა გაიმართოს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო საარჩევნო სესია. სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილი და მისი მოადგილე გურამ ძაგანია სესიაზე დელეგატებად არიან მიწვეულნი, ჰოდა, რა გასაკვირია, რომ დისციპლინართა შეკრება ისევ გადაიდო. თანაც ისე, რომ საშემოდგომო ეტაპის შემაჯამებელი სხდომის ჩატარების ზუსტი თარილი ჯერაც არ არის ცნობილი. როგორც სფფ-ში შევიტყვეთ, სადისციპლინო კომიტეტის საუკუნის ბოლო სხდომა 20 ან 27 დეკემბერს ჩატარდება.

ბაატა ძვანტალიანი


რესტორანი მზიანი ღამე





განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

✱ პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
✱ გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

### XVII ტური

**ჩელსი 4:1 დერბი ქაუნთი**

1:0, 2:0 გუდიონსენი (10, 16), 3:0 პოიეტი (37), 4:0 ძოლა (54), 4:1 რიგოტი (56)
ჩელსი: დე გუი (კუდიჩინი 46), ბაბაიარო, დესაი (ბოგარდი 75), პოიეტი, უაიზი, მელხიოტი, ჯ. მორისი, გუდიონსენი (ალექსიძე 83), დბლა ბონა, ძოლა, ტერი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
დერბი ქაუნთი: პოომი, ვესტი, რიგოტი, მარტინი (ლ. მორისი 61), კარბონარი (დ. ბარტონი 46), დ. პაუელი, დელაპი, ბარლი, კრისტი, ბოჰინენი (მიურეი 75), ჰიგინბოთემი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: მიურეი
34 317 მაყურებელი

**არსენალი 5:0 ნიუკასლი**

1:0 ანრი (13), 2:0 პარლოუ (16), 3:0 კანუ (52), 4:0, 5:0 პარლოუ (86, 90)
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, ვივასი, ლიუნგბერგი (ლუძი 82), პირესი, პარლოუ, გრიმანდი (ლორენი 58), ანრი, კანუ (ბერხკამპი 67)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, აკუნია, კოლდუელი, ა. ჰიუზი, სპიდი, გრიფინი (დომი 66), ლი (გლასი 66), დაიერი (კორდონე 79), ლუა ლუა, სოლანო
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: კოლდუელი, სპიდი
38 052 მაყურებელი

**ბრედფორდი 3:3 ტოტენჰემი**

0:1 კინგი (1), 1:1 ლოურენსი (9), 1:2 კემპბელი (21), 1:3 არმსტრონგი (54), 2:3 უინდასი (69), 3:3 კარბონე (89)
ბრედფორდი: კლარკი, მიერსი (შარპი 59), მაკკოლი, ლოურენსი (პეტრესკუ 64), კარბონე, ბიგრი (ბლეიქი 82), მოლენაარი, ობრაიენი, უინდასი, ატერტონი, კოლიმორი
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
ტოტენჰემი: სალივანი, კარი, ფროინდი, ს. კემპბელი, პერი, შერვუდი (ვეგა 90), ლ. ფერდინანდი, კ. არმსტრონგი (კორსტენი 87), კლემენსი, კინგი, ტილველი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
გაფრთხილება: კარბონე, უინდასი
17 225 მაყურებელი

**ჩარლტონი 3:3 მანჩესტერი**

1:0 ბარტლეტი (10), 1:1 გიგზი (42), 1:2 სოლსკიაერი (43), 1:3 კინი (66), 2:3 ბარტლეტი (79), 3:3 რობინსონი (85)
ჩარლტონი: კიელი, კიშიშევი (კონჩესკი 88), კ. პაუელი, გ. სტიუარტი, რუფუსი, კინსელა, იენსენი, იოჰანსონი, სალაკო (ჯ. რობინსონი 69), ფიში, ბარტლეტი (სვენსონი 87)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, უ. ბრაუნი, სილვესტრი, ფ. ნევილი, გიგზი, კინი (გრინინგი 70), ბექემი (შერინგემი 75), ბათი, სოლსკიაერი, ჩედვიკი (სქოულზი 59)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: რობინსონი, ბრაუნი
20 043 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 5:0 ევერტონი**

1:0 ვანჩოპე (14), 2:0 ჰაუი (23), 3:0 გოტერი (42), 4:0 დიკოვი (54), 5:0 ნეისმიტი (67ს.კ.)
მანჩესტერ სიტი: ვივერი, შარვე, ტიატო, ჰაუი, დანი, ჰაალანდი (ვიკენსი 46), უიტლი, ჰორლოკი, რაიტ-ფილიპსი (კენედი 61), ვანჩოპე, გოტერი (დიკოვი 44)
მწვრთნელი: ჯო როილი
ევერტონი: ჟერარი, უოტსონი, ვეირი, ანსუორთი (კადამარტერი 46), ნეისმიტი, ნიარკო, პემბრიჯი, ჯემილი, გრაველსენი, ქ. კემპბელი, ბოლი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: ნიარკო
34 516 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 1:0 ლიდსი**

1:0 ბიტი (43)
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, ოკლი, ელ ხალეჯი, კაჩლული, ბიტი, პახარსი (დრეიპერი 74), ბრიჯი, ტესემი, დევისი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, მატეო, რ. ფერდინანდი, ვუდგეიტი, დაკური, ბოიერი, ბაკე, უილკოქსი (კიუელი 57), ვიდუკა, ა. სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ოკლი, კაჩლული, დრეიპერი, ბაკე, ვუდგეიტი, დაკური, სმიტი
გაძევება: კაჩლული (85)
15 225 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:0 მიდლსბრო**

1:0 გრეი (54)
სანდერლენდი: სორენსენი, დ. უილიამსი, გრეი, კრადოკი, ტომე, კილბეინი, რაე, მაკკენი, არკა, ნ. ქუინი, ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ვიკერსი, ეჰიოგუ, კუპერი, მასტო, იმსი, ონილი, სტამპი (კარამბე 14), რიკარდი, დინი
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
გაფრთხილება: ფილიპსი, კუპერი, ონილი, რიკარდი
47 742 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 1:1 ასტონ ვილა**

1:0 კარიკი (15), 1:1 ჰენდრი (37)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ს. პირსი, ი. პირსი, პოტსი, სონგი, ლომასი, კარიკი, ტ. სინკლერი, კანო, დიაფარა (მონკუ 73), დი კანიო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ა. რაიტი, საუთგეიტი, ბერი, ალფაი, მერსონი, ჟინოლა, ბოატენგი, ს. სტოუნი, ლ. ჰენდრი, დაბლინი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ს. პირსი, ალფაი, ბერი, ჟინოლა
25 888 მაყურებელი

**ლივერპული 0:1 იფსვიჩი**

0:1 სტიუარტი (45)
ლივერპული: ვესტერფელდი, ენჩოსი, ჰიიპია, ციგე (ბისკანი 71), ბაბელი, კარაგერი, მერფი, ბარმბი (შმიცერი 46), მაკალისტერი, ფაულერი, ოუენი (ჰესკი 71)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი, კლაპამი, მაკგრილი, ვენუსი, ჰრეიდარსონი, ჰოლანდი, ჯ. რაიტი, მეჯილტონი, მ. სტიუარტი (კროფტი 79), შოუკროფტი (ნ. არმსტრონგი 88)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: ციგე, კლაპამი, ვენუსი, კროფტი
43 509 მაყურებელი

**ქოვენთრი 1:0 ლესტერი**

1:0 ბელამი (40)
ქოვენთრი: ჰედმანი, ბრინი, კონჯიჩი, პ. უილიამსი, ბ. ქუინი, ტომპსონი, ჰაჯი, ტელფერი (პალმერი 80), კარსლი, ალოიზი (რუსელი 76), ბელამი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ლესტერი: როისი, ჯილკრისტი, მ. ელიოტი, ფ. სინკლერი (იმპი 63), როუეტი, დავიდსონი, სევიჯი, იზეტი (ბენჟამინი 46), ოუქსი, აკინბი, იდი (გაპი 71)
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: ბენჟამინი
17 283 მაყურებელი

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მანჩესტერი | 17 | 12 | 4 | 1 | 44:13 | 31 | 40 | 8 | 7 | 1 | 0 | 26:4 | 22 | 22 | 9 | 5 | 3 | 1 | 18:9 | 9 | 18 |
| 2 არსენალი | 17 | 10 | 4 | 3 | 29:13 | 16 | 34 | 9 | 8 | 1 | 0 | 22:4 | 18 | 25 | 8 | 2 | 3 | 3 | 7:9 | -2 | 9 |
| 3 იფსვიჩი | 17 | 9 | 3 | 5 | 24:17 | 7 | 30 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 2 | 12 | 9 | 6 | 0 | 3 | 15:10 | 5 | 18 |
| 4 ლესტერი | 17 | 8 | 5 | 4 | 17:13 | 4 | 29 | 8 | 4 | 3 | 1 | 10:8 | 2 | 15 | 9 | 4 | 2 | 3 | 7:5 | 2 | 14 |
| 5 სანდერლენდი | 17 | 8 | 5 | 4 | 18:16 | 2 | 29 | 9 | 6 | 3 | 0 | 11:4 | 7 | 21 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | -5 | 8 |
| 6 ლივერპული | 17 | 8 | 3 | 6 | 32:24 | 8 | 27 | 9 | 7 | 1 | 1 | 19:7 | 12 | 22 | 8 | 1 | 2 | 5 | 13:17 | -4 | 5 |
| 7 ვესტ ჰემი | 17 | 6 | 7 | 4 | 23:18 | 5 | 25 | 9 | 3 | 4 | 2 | 12:9 | 3 | 13 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 2 | 12 |
| 8 ასტონ ვილა | 16 | 6 | 7 | 3 | 19:14 | 5 | 25 | 7 | 4 | 3 | 0 | 12:4 | 8 | 15 | 9 | 2 | 4 | 3 | 7:10 | -3 | 10 |
| 9 ტოტენჰემი | 17 | 7 | 3 | 7 | 25:26 | -1 | 24 | 8 | 7 | 1 | 0 | 17:6 | 11 | 22 | 9 | 0 | 2 | 7 | 8:20 | -12 | 2 |
| 10 ნიუკასლი | 17 | 7 | 3 | 7 | 18:21 | -3 | 24 | 8 | 4 | 1 | 3 | 10:8 | 2 | 13 | 9 | 3 | 2 | 4 | 8:13 | -5 | 11 |
| 11 ჩელსი | 17 | 6 | 5 | 6 | 32:24 | 8 | 23 | 9 | 6 | 2 | 1 | 25:10 | 15 | 20 | 8 | 0 | 3 | 5 | 7:14 | -7 | 3 |
| 12 ლიდსი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:23 | -1 | 22 | 8 | 5 | 0 | 3 | 16:12 | 4 | 15 | 8 | 1 | 4 | 3 | 6:11 | -5 | 7 |
| 13 ჩარლტონი | 17 | 6 | 4 | 7 | 24:27 | -3 | 22 | 9 | 5 | 3 | 1 | 16:7 | 9 | 18 | 8 | 1 | 1 | 6 | 8:20 | -12 | 4 |
| 14 ევერტონი | 17 | 6 | 3 | 8 | 19:28 | -9 | 21 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:11 | 0 | 11 | 9 | 3 | 1 | 5 | 8:17 | -9 | 10 |
| 15 საუთჰემპტონი | 17 | 5 | 5 | 7 | 22:28 | -6 | 20 | 9 | 4 | 1 | 4 | 15:15 | 0 | 13 | 8 | 1 | 4 | 3 | 7:13 | -6 | 7 |
| 16 სიტი | 17 | 5 | 2 | 10 | 23:30 | -7 | 17 | 9 | 3 | 1 | 5 | 15:11 | 4 | 10 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:19 | -11 | 7 |
| 17 ქოვენთრი | 17 | 4 | 3 | 10 | 16:32 | -16 | 15 | 9 | 2 | 2 | 5 | 6:13 | -7 | 8 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:19 | -9 | 7 |
| 18 დერბი ქაუნთი | 17 | 2 | 7 | 8 | 20:35 | -15 | 13 | 8 | 1 | 5 | 2 | 10:15 | -5 | 8 | 9 | 1 | 2 | 6 | 10:20 | -10 | 5 |
| 19 ბრედფორდი | 17 | 2 | 6 | 9 | 12:28 | -16 | 12 | 9 | 2 | 4 | 3 | 9:10 | -1 | 10 | 8 | 0 | 2 | 6 | 3:18 | -15 | 2 |
| 20 მიდლსბრო | 17 | 2 | 5 | 10 | 19:28 | -9 | 11 | 8 | 0 | 3 | 5 | 7:15 | -8 | 3 | 9 | 2 | 2 | 5 | 12:13 | -1 | 8 |




ლივერპული — იფსვიჩი 0:1. გამარჯვებული მარკ ვენუსი და დამარცხებული ნიკ ბარმბი

# მოვიდა სეტყვა (ვერ) დახვდა ქვა

**ესეც ვიკითხოთ:**

ყოფილხართ ჩარლტონის სტადიონ „ველიზე"?

თუ ყოფილხართ და გეცოდინებათ: იქ სტუმრად ჩასულ გუნდს წამიერი ამოსუნთქვაც არ ეპატიება, თუნდაც ეს გუნდი იმგვარი სახელისა და გაქანებისა იყოს, „მანჩესტერ იუნაიტედი" რომაა.

„მანჩესტერის" რამდენიმე ფეხბურთელმა, ვთქვათ რაიან გიგზმა და კაპიტანმა კინმა, ამ სეზონში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს, ოღონდ ეს საკმარისი არ გამოდგა უჯიათ ხმლოსანთა დასამარცხებლად, თუნდაც იმიტომ, რომ სერ ალექსმა განაგრძო ამ სეზონში წამოწყებული ახირებული ექსპერიმენტი — რეზერვისტებისთვის თამაშის ბედის მინდობის ამბავი. ამ მატჩში სტუმართა მთელი დაცვა (და მეკარეც) გარი ნევილის გარდა, დუბლისა იყო. თამაშის ბოლოს კი მენეჯერმა კინი და დევიდ ბექემიც გაიყვანა, აქაოდა გროსმაისტერულ 3:1-ს ვიგებ და გუნდს ხერხემალი აღარ უნდაო.

შონ ბარტლეტის ორი ფანტასტიკური თავური და ჯონ რობინსონის შემობრუნებით დარტყმული დაბალი — აი, ჩარლტონელთა მონაგარი იმ ერთ ქულასთან ერთად, გოლიათს რომ გამოგლიჯა პატარა გუნდმა.

მანამდე კი სახსენებელია გიგზი, რომელმაც ოსტატური გოლი გაიტანა, მოედანი გადახნა და პირველი ტაიმის მიწურულს ცენტრიდან ისეთი ამოჰკრა, რომ მასპინძელთა მეკარე კარში გაიშხლართა — ბურთი ზედა ძელს დაეცა, მოედანზე გადმოვარდა და ერთადერთი ამით ვერდაბნეული კაცის, ოლე გუნარ სოლსკიაერის არჩივი შეიქნა. ეს კი ამგვარებს არ ააცდენს ხოლმე.

და საერთოდ, შაბათ შუადღით, ინგლისის სტადიონებზე სეტყვა მოდიოდა, ოღონდ კი ეს არ იყო ცით მოვლენილი ხოშკაკალა. მეკარეებს თითქოს უარი ეთქვათ კარში დგომაზე, ან კი თავდამსხმელები გადარეულიყვნენ. რის თავდამსხმელები? ისეთმა შუა მოედნის კაცმაც კი, მეთოფე რეი პარლოუ რომ გახლავთ, ჰეთ თრიქი გაახერხა.

დამშეულმა „არსენალმა" 5:0 გადაუარა „ნიუკასლს". ბოლო დროს დამშეულ მეთოფეთა ალტყინება საკვირველი სულაც არ დარჩება, თუ იმასაც მოგახსენებთ, რომ ზედიზედ ოთხი თამაშის წამგებმა „მანჩესტერ სიტიმ" თავისი კოსტარიკელი, ბერმუდელი და სქოთი თავდამსხმელების ერთი თვის ნაგროვები ბოღმა დაანთხია თავს ტრავმით გატანჯულ „ევერტონს" და ასევე ხუთი უპასუხო გაუტანა. ისიც აღსანიშნავია, რომ მეხუთე და ბევრი არაფრის შემცვლელი გოლი სტუმართა გარი ნეისმიტმა შეაგდო თავის კარში.

გადასჭერით მთელი ლონდონი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, ანუ „ჰაიბერიდან" „სტემფორდ ბრიჯისკენ" და შეიტყობთ, რომ შაბათ საღამოს კლაუდიო რანიერისაც უხაროდა. არა, პირშავ ჯიმი ფლოიდს ამ ჯერზე საერთოდ არ გაუტანია, სხვებმა გამოიღეს ხელი და საბრალო „დერბის" პირველ ტაიმშივე მოუთავეს ხელი. ამ შეხვედრაშიც ხუთი გოლი გავიდა. აქედან მხოლოდ ერთი მასპინძელთა კარში და ეგებ მეექვსეც გასულიყო, შეხვედრის მიწურულს თავის პირველ პრემიერლიგურ თამაშზე ფეხგამოდგმულ რატი ალექსიძეს რომ იღბალი ჰქონოდა.

ტურის მეორე ექვსგოლიანი თამაში კი ბრედფორდში იყო, სადაც სტუმრად ჯერაც ვერმომგები „ტოტენჰემი" ლამის მთელ შეხვედრას უგებდა მასპინძლებს, მაგრამ 3:3 და ბოლოწამს ბენიტო კარბონეს გმირობა აქაც ლოგიკური იყო.

სანდერლენდის „ლაითის" სტადიონის მინდვრის კიდეზე, ნამდვილ წვიმაში იდგა რუხლაბადაწამოსხმული ტერი ვენეიბლზი და „მიდლსბროს" ხსნას ცდილობდა. პატარა „ბორო" ნაღდად უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე ბრაიან რობსონის ხელში, მაგრამ სანდერლენდში სტუმრობა არ გეგონოთ ხუმრობა და მაიკლ გრეის კენტმა გოლმა გადაწონა კრისტიან კარემბუს საუცხოო თამაში და ჰამილტონ რიკარდის ბრწყინვალე თავურები, რომელთაგან ერთი კარშიაც შევარდა, მაგრამ ქეთინოური ჯარიმის გამო არ ჩაითვალა.

კენტგოლიანი თამაში კიდევ სამი იყო: ჯეიმს ბიტიმ რომში გმირულად მოთამაშე „ლიდსი" საუთჰემპტონში წააბდინა, მარკუს სტიუარტმა „ენფილდი" გააოგნა და „იფსვიჩი" ცხრილის მესამე საფეხურზე აცოცა, ამ საფეხურისთვის მებრძოლი „ლივერპული" და „ლესტერი" კი ხახამშრალნი დარჩნენ: ამ უკანასკნელმა ღია, შუბლისხეთქებითა და ნაღდი ინგლისური ბრძოლით გამორჩეული შეხვედრა დათმო ქოვენთრიში, სადაც კრეიგ ბელამიმ მოხდენილი თავურით გადაწყვიტა მატჩის ბედი.

შედარებით მშვიდობა აპტონ პარკზე იყო: „ვესტ ჰემი" — „ვილას" პირველი ტაიმის 1:1.

**ირაკლი გამყრელიძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 11 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 11 |
| შერინგემი (მანჩესტერი) | 11 |
| ჰესკი (ლივერპული) | 10 |
| ანრი (არსენალი) | 10 |
| მ. სტიუარტი (იფსვიჩი) | 10 |

### XVIII ტური

16 დეკემბერი
ასტონ ვილა — სიტი
დერბი ქაუნთი — ქოვენთრი
ევერტონი — ვესტ ჰემი
იფსვიჩი — საუთჰემპტონი
ლიდსი — სანდერლენდი
ლესტერი — ჩარლტონი
მიდლსბრო — ჩელსი
ნიუკასლი — ბრედფორდი
17 დეკემბერი
მანჩესტერი — ლივერპული
18 დეკემბერი
ტოტენჰემი — არსენალი

## პირველი დივიზიონი

### XXII ტური

**ჰადერსფილდი 3:0 ვულვზი**

1:0 ნდლოვუ (49), 2:0 ფეისი (86), 3:0 ნდლოვუ (90)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ბატლერი, პოლეტი, ბაზელი (ლესკოტი 76), ნეილორი, დინინგი, ოსბორნი (ალ ჯაბერი 69), რობინსონი, ბრენჩი (ტეილორი 61), ნდა
მწვრთნელი: კოლინ ლი
11 506 მაყურებელი

**ბარნსლი 0:0 შეფილდ იუნ.**

**ბირმინგემი 0:3 უიმბლდონი**

0:1 ფრენსისი (30), 0:2 იუელი (42), 0:3 ფრენსისი (78)

**ბლეკბერნი 0:0 ქუინზ პარკი**

**ბოლტონი 4:1 ქრიუ**

1:0 ფრანდსენი (20), 2:0 მარშალი (22), 2:1 სორველი (31), 3:1 ბერგსონი (44), 4:1 ნოლანი (89)

**კრ. პალასი 1:0 უოტფორდი**

1:0 მორისონი (61)

**ნორვიჩი 1:0 ჯილინგემი**

1:0 ლევლინი (78)

**ნოტინგემი 2:0 პორტსმუთი**

1:0 შიმეკა (12), 2:0 ბარტ-უილიამსი (65)

**პრესტონი 2:1 ბარნლი**

0:1 მური (26), 1:1 მაკენი (51), 2:1 ალექსანდერი (67)

**უინსდი 2:4 სტოკპორტი**

1:0 მორისონი (9), 1:1 ფრადინი (14), 2:1 ეკოკუ (15), 2:2, 2:3 კუპერი (28, 56), 2:4 ფრადინი (70)

**ტრანმერი 2:0 გრიმსბი**

1:0 პარკინსონი (52), 2:0 კუმასი (68)

**ვესტ ბრომვიჩი 1:3 ფულემი**

0:1, 0:2 დევისი (4, 28), 1:2 ლიტლი (71), 1:3 შტოლცერსი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 21 | 16 | 4 | 1 | 50:15 | 52 |
| ბოლტონი | 22 | 12 | 6 | 4 | 37:22 | 42 |
| ბირმინგემი | 21 | 12 | 4 | 5 | 32:21 | 40 |
| ვესტ ბრომვიჩი | 22 | 12 | 4 | 6 | 29:24 | 40 |
| უოტფორდი | 20 | 12 | 3 | 5 | 38:22 | 39 |
| ნოტინგემი | 21 | 12 | 3 | 6 | 33:22 | 39 |
| პრესტონი | 21 | 11 | 5 | 5 | 28:22 | 38 |
| ბლეკბერნი | 21 | 10 | 6 | 5 | 31:22 | 36 |
| ბარნლი | 20 | 10 | 5 | 5 | 24:22 | 35 |
| შეფილდ იუნ. | 22 | 10 | 5 | 7 | 24:22 | 35 |
| უიმბლდონი | 21 | 8 | 6 | 7 | 30:23 | 30 |
| ბარნსლი | 23 | 8 | 5 | 10 | 27:32 | 29 |
| კრ. პალასი | 22 | 7 | 5 | 10 | 31:33 | 26 |
| პორტსმუთი | 22 | 6 | 8 | 8 | 24:28 | 26 |
| ვულვზი | 22 | 5 | 8 | 9 | 22:26 | 23 |
| ტრანმერი | 22 | 6 | 5 | 11 | 26:33 | 23 |
| ნორვიჩი | 21 | 6 | 5 | 10 | 19:27 | 23 |
| ჯილინგემი | 22 | 5 | 7 | 10 | 25:34 | 22 |
| უენსდი | 22 | 6 | 3 | 13 | 28:42 | 21 |
| ქრიუ | 22 | 6 | 3 | 13 | 17:31 | 21 |
| სტოკპორტი | 22 | 4 | 7 | 11 | 28:41 | 19 |
| გრიმსბი | 20 | 5 | 3 | 12 | 16:30 | 18 |
| ქუინზ პარკი | 21 | 2 | 11 | 8 | 23:35 | 17 |
| ჰადერსფილდი | 21 | 3 | 5 | 13 | 18:31 | 14 |

## მესამე დივიზიონი

გამოტოვებული მატჩები: ჩესტერფილდი — ექსეტერი 2:0; როჩდეილი — პლიმუთი გადაიდო

## ასოციაციის თასი

### მეორე ეტაპი

ბლექპული — იოვილი 0:1; ქანვეი — საუთენდი 1:2; მილუოლი — უიკომბი 0:0 (გადათამაშება 19 დეკემბერს); პიტერბრო — ოლდემი 1:1 (გადათამაშება 19 დეკემბერს); ბორნმუთი — ნიუნიტონი 3:0; ბრისტოლ სიტი — კეტერინგი 3:1; კარდიფი — ჩელტენემი 3:1; ჩესტერი — ოქსფორდი 3:2; დარლინგტონი — ლუთონი 0:0 (გადათამაშება 19 დეკემბერს); კიდერმინსტერი — კარლაილი 0:2; ლინკოლნი — დაგენჰემი 0:1; მორეკემბი — კემბრიჯი 2:1; ნორსვიჩი — ლეიტონ ორიენტი 3:3 (გადათამაშება 19 დეკემბერს); სკანთორპი — ბრაიტონი 2:1; როტერჰემი — ნორთჰემპტონი 1:0; სოთპორტი — კინგსტონიანი 1:2; სუინდონი — გათეშედი 5:0; იორკი — რედინგი 2:2 (გადათამაშება 19 დეკემბერს); უოლსოლი — ბარნეტი 2:1; უიგანი — ნოთს ქაუნთი გაიმართება 12 დეკემბერს

### მესამე ეტაპის კენჭისყრა

ნიუკასლი — ასტონ ვილა; ბლექბერნ როვერსი — ჩესტერი; მორეკემბი — იფსვიჩ თაუნი; ლიდს იუნაიტედი — ბარნსლი; დერბი ქაუნთი — ვესტ ბრომვიჩი; უოტფორდი — ევერტონი; კარლაილი — არსენალი; უოლსოლი — ვესტ ჰემი; სუინდონი — ქოვენთრი; ბოლტონი — იოვილი; საუთენდი — კინგსტონიანი; ჰადერსფილდი — ბრისტოლ სიტი; ლესტერი — იორკი ან რედინგი; ჩარლტონი — დაგენჰემი; ბორნმუთი — ჯილინგემი; ჩელსი — პიტერბრო ან ოლდემი; უიმბლდონი — უიგანი ან ნოთს ქაუნთი; ნორსვიჩი ან ლეიტონ ორიენტი — ტოტენჰემ ჰოთსპური; ბარნლი — სკანთორპი; პრესტონი — სტოკპორტი; მანჩესტერ სიტი — ბირმინგემი; პორტსმუთი — ტრანმერი; ბრედფორდი — მიდლსბრო; სანდერლენდი — კრისტალ პალასი; კარდიფი — ქრიუ; საუთჰემპტონი — შეფილდ იუნაიტედი; ფულემი — მანჩესტერ იუნაიტედი; ლივერპული — როტერჰემი; მილუოლი — უიკომბი ან გრიმსბი; ნოტინგემ ფორესტი — ვულვერჰემპტონი; დარლინგტონი ან ლუთონი — ქუინზ პარკი; შეფილდ უენსდი — ნორვიჩი

მატჩები გაიმართება 2001 წლის 6-7 იანვარს

# ექვსქულიანი ამბავი

## იტალია

### X ტური

**რეჯინა 1:1 ვერონა**

0:1 ბონაცოლი (1), 1:1 სტოვინი (90)
რეჯინა: ტაიბი, ოშადოგანი, ვარგასი (მეცანო 31), სტოვინი, მორაბიტო, კოცა, მამედე, ბრევი, მოცარტი (მარაზინა 46), პოსანცინი, ბოგდანი (რეგი 71)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
ვერონა: ფერონი, ოდო, ლაურსენი, აპოლონი, ცვიტანოვიჩი, იტალიანო, ჯ. კოლუჩი, მაცოლა (სალვეტი 46), მელისი, ბონაცოლი (ადაილტონი 60), ჯილარდინო
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: მამედე, მეცანო, აპოლონი, ბონაცოლი, ოშადოგანი, ადაილტონი
12 000 მაყურებელი

**ვიჩენცა 1:4 ლაციო**

0:1 ნედვედი (14), 0:2 კრესპო (25), 0:3 ნედვედი (74), 1:3 კალონი (78), 1:4 სალასი (88)
ვიჩენცა: სტერკელე, კომოტო, მარკო აურელიო, დიკარა, დალ კანტო (ბერნარდინი 72), მაურიციო როსი (ტომასი 32), ლონგო, ფირმანი, ძაული (ლუიზო 55), ტონი, კალონი
მწვრთნელი: ედუარდო რეია
ლაციო: პერუცი, პანკარო, ნესტა (კოლონეზე 77), ნეგრო, ფავალი, ლომბარდო (გოტარდი 71), სტანკოვიჩი, დ. ბაჯო, სიმეონე, ნედვედი, კრესპო (სალასი 68)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
გაფრთხილება: ძაული, ფავალი, ლომბარდო, დიკარა, სიმეონე
13 000 მაყურებელი

**ბრეშა 1:1 ნაპოლი**

1:0 დიანა (31), 1:1 პეკია (58)
ბრეშა: სრნიჩეკი, პეტრუცი, კალორი, ფ. გალი, დიანა, ა. ფილიპინი (ილანა 76), ე. ფილიპინი (ბიზოლი 76), ესპოზიტო, უბნერი, რ. ბაჯო, მარინო (გონსალესი 82)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
ნაპოლი: მანჩინი, ბალდინი, კიროგა, ბაჩინი, ტროისე, მაგონი, ხუსაინი (პეკია 35), მატუზალემი, პინედა, ნ. ამორუზო, ბელუჩი (სესა 37)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: ამორუზო, კიროგა, უბნერი
16 000 მაყურებელი

**მილანი 4:1 ლეჩე**

1:0 ლეონარდო (19), 1:1 კონტიკიო (22), 2:1, 3:1 შევჩენკო (27, 30პ), 4:1 ხოსე მარი (87)
მილანი: აბიატი, როკე ჟუნიორი, კოსტაკურტა, მალდინი, შელვეგი, გატუზო, ამბროზინი, კოკო (სერჟინიო 89), ლეონარდო (გულიელმინპიეტრო 89), შევჩენკო (ხოსე მარი 80), ბირჰოფი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
ლეჩე: კიმენტი, ჟუარესი, ვიალი, სავინო, ბალერი, კონტიკიო, პიანჯერელი, ჯორჯეტი, ტონეტო, კ. ლუკარელი, ვუგრინეცი (ოსორიო 70)
მწვრთნელი: ალბერტო კავასინი
გაფრთხილება: მალდინი, პიანჯერელი, ბალერი
45 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:0 პარმა**

1:0 ფერარა (15)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ბირინდელი (ძანკი 71), ფერარა, ტუდორი, პარამატი, კონტე, ტაკინარდი, დავიდსი, ზიდანი (კოვაჩევიჩი 75), დელ პიერო (ძამბროტა 43), ტრეზეგე
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
პარმა: ბუფონი, ფ. კანავარო, ტორიზი, ტურამი, ფუზერი (სარტორი 28), ალმეიდა, ლამუში, ბოგოსიანი (მბომა 71), ფალსინი (ჟუნიორი 61), სერჟიუ კონსეისაუ, ამოროზო
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
გაფრთხილება: ზიდანი, ტუდორი, კანავარო, ფერარა, ალმეიდა, კონტე
40 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 2:0 ინტერი**

1:0 კიეზა (49), 2:0 რუი კოშტა (90)
ფიორენტინა: ტოლდო, ტორიჩელი, რეჟეპკა, პიერინი, ვანოლი, ბრეშანი (მორფეო 73), კოისი (როსიტო 46), დი ლივიო, რუი კოშტა, კიეზა (ლასისი 69), ნუნუ გომეში
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
ინტერი: ფრეი, ფერარი (კინი 76), ბლანი, სიმიჩი, ხ. ძანეტი, კოე (ვიერი 52), დი ბიაჯო, იუგოვიჩი, მაჩელარი, ჰაქან შუქური, რეკობა (პირლო 60)
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
გაფრთხილება: ვანოლი
გაძევება: ვანოლი (88)
30 000 მაყურებელი

**რომა 2:1 უდინეზე**

1:0 ბატისტუტა (21), 2:0 ტოტი (34), 2:1 მუცი (45)
რომა: ლუპატელი, ალდაირი, სამუელი, ძაგო, კაფუ, ტომაზი, კ. ძანეტი, კანდელა, ნაკატა, ტოტი (მონტელა 85), ბატისტუტა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
უდინეზე: ტურჩი, გარგო, სოტილი, ბერტოტო, ალბერტო, ბისგაარდი (იორგენსენი 51), ჯანიკედა (იაკინტა 88), ფიორე (ელგერა 85), დიასი, სოსა, მუცი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: ჯანიკედა, გარგო
გაძევება: ალბერტო (81)
60 000 მაყურებელი

**ბარი 2:0 ბოლონია**

1:0 ბელავისტა (7), 2:0 კასანო (46)
ბარი: ჟილე, დე როსა, მაცარელი, ნექროიზი, ბელავისტა, პეროტა (მარკიჩი 79), ანდერსონი, მარკოლინი (საიდი 85), ოსმანოვსკი, კასანო, ანაკლერიო (კოლაუტო 48)
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი
ბოლონია: პალიუკა, ბრიოსკი, ბია, კასტელინი, ნერვო, ოლივე, ლოკატელი (მარესკა 66), ლიმა, ტარანტინო (ბინოტო 46), ხულიო კრუზი, ოლივეირა
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ბრიოსკი, კასტელინი, მაცარელი, ნექროიზი, ოლივე, ლიმა
გაძევება: ლიმა (88)
9 061 მაყურებელი

**ატალანტა 0:0 პერუჯა**

ატალანტა: პელიცოლი, სივილია, პაგანინი, კარერა, ზაური, კ. ძენონი, დ. ძენონი, დონატი, დონი, როსინი, განცი (ვენტოლა 79)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა, მატერაცი, დი ლორეტო, ზე მარია, ბაიოკო, ტედესკო (სოლიანო 90), ლივერანი, პიერი, ვრიზასი, საუდატი (ტატი 79)
მწვრთნელი: სერსე კოსმი
გაფრთხილება: როსინი, რივალტა, მაცანტინი
19 000 მაყურებელი

REUTERS ტურნიდან



იუვენტუსი — პარმა 1:0. ზინედინ ზიდანს მატიას ალმეიდაც ერჩის და საკუთარი მწვრთნელიც

**მეათე** ტურში მეათე გოლი — ეს გაბრიელ ბატისტუტას შედეგია. ის და მისი ახალი გუნდი „რომა“ უახლოეს მდევარს ბურგამოს „ატალანტას“ უკვე ექვსი ქულით უსწრებენ. რომაელები ხსენებული ათი თამაშიდან რვაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ. ამთავითვე ნათელია, რომ ისინი „სკუდეტოს“ ყველაზე გამოკვეთილი ფავორიტები გახლავან, თუმცა, როდესაც კაცი „სკუდეტოზე“ ლაპარაკობ, სიფრთხილე გმართებს და ამიტომაც შორეულ დასკვნებს თავი მოვარიდოთ. ბოლოს და ბოლოს, დღეს ჩვენი საუბრის საგანი იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურია და მეტი არაფერი.

მორიგ ტურში კი, როგორც მოგეხსენებათ, „რომამ“ გამარჯვება მოიპოვა — „უდინეზეს“ მოუგო, 2:1. ბატისტუტამ თავისი გოლი 20-ე წუთზე გაიტანა. მისი დარტყმული, მართალი რომ გითხრათ, დიდად ლამაზი სანახავი არ ყოფილა, თუმცა ძალიან ძლიერი იყო და მომენტიდან გამომდინარე, სწრაფად და მარჯვედ შესასრულებელი. ერთი სიტყვით, არგენტინელმა გააკეთა ის, რაც მაღალი კლასის თავდამსხმელისგან ელიან და რის გამოც დიდ ხელფასს უხდიან. 34-ე წუთზე ფრანჩესკო ტოტიმ ორამდე გაზარდა ანგარიში. აი, გოლი ეს იყო, თუ იყო — თვით „უდინეზეს“ მეკარემ ლუიჯი ტურჩიმაც კი შეაფასა ჯეროვნად და ტაში დაუკრა.

შესვენებამდე სტუმრებმა სხვაობა შეამცირეს. ეს რობერტო მუციმ შეძლო, თუმცა „აწყვეტილი“ რომაელები ამან ვერ დააბრკოლა და მეორე ტაიმმა კვლავ მათი თვალსაჩინო უპირატესობით ჩაიარა. ამ უპირატესობაზე რომ ვამბობთ, სიტყვაზე უნდა გვენდოთ, რადგან ტაბლოზე არაფერი შეცვლილა, თუმცა „სტადიო ოლიმპიკოს“ ის კარი, რომელშიც მეორე ტაიმში ტურჩი იდგა, ნამდვილად „ჟესტიანშჩიკთან“ იქნებოდა წასაღები. ამ კარის ძელებს სამჯერ მოხვდა ბურთი: პირველად მაშინ, როდესაც ბრაზილიელმა მცველმა ალბერტომ ტოტი საჯარიმოში წააქცია და წაქცეულმა წამოდგომის შემდეგ თავად დაარტყა თერთმეტი მეტრიდან; მეორედ მაშინ, როდესაც ვინჩენცო მონტელამ სცადა გოლის გატანა, ხოლო მესამედ მაშინ, როდესაც იგივე იაპონელ ჰიდეტოში ნაკატას მოესურვა.

„რომას“ თანასტადიონელმა და ავის მოსურნე „ლაციომ“ ვიჩენცაში გაიმარჯვა 4:1. ჩემპიონს გამარჯვება იოლად ერგო, თუმცა, ცხადია, მონდომება და კონცენტრაცია სუსტი მოწინააღმდეგის დამარცხებასაც დასჭირდა და ამის შესახებ მატჩისშემდგომ მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმაც ილაპარაკა. რომაელთა გოლები ევროპასა და სამხრეთამერიკას შორის თანაბრად განაწილდა: ორი ჩეხმა პაველ ნედვედმა შეაგდო, ხოლო არგენტინელმა ერნან კრესპომ და ჩილელმა მარსელო სალასმა — თითო.

ახლა კი დიდი ზარ-ზეიმითა და წინასამატჩო მღელვარებით გვსურს გაცნობოთ, რომ მომდევნო ტურში „რომა“ და „ლაციო“ ერთმანეთს ხვდებიან.

„ეს ისეთი მატჩია, გამარჯვება 6 ქულას რომ უდრის, სამს შენს მოპოვებულს, სამს კი მეტოქის დაკარგულს — განაცხადა „რომას“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ — ამასთან, სულაც არ ვთვლი, რომ ჩვენ ფავორიტები ვართ. „ლაციოს“ თამაშს ჩემპიონთა ლიგაში „ლიდსის“ წინააღმდეგ დავაკვირდი და მინდა გითხრათ, რომ ის დამარცხებას არ იმსახურებდა. ერთიან ჯანმრთელი გუნდია“.

ახლა ტურის ერთ-ერთ ყველაზე ყურშისაცემ მატჩზე, „იუვენტუს“ — „პარმაზე“ ჩამოვაგდოთ სიტყვა, რომელიც თვალშისაცემი ვერაფრით გამოდგა. „იუვენტუსმა“ ჩირო ფერარას თავურით 1:0 გაიმარჯვა. დელ პიერომ, რომელმაც ფერარას საგოლე კუთხური ჩაუწოდა, მერე ფეხი იტკინა და მოედანი დატოვა, სხვა მხრივ კი არაფერი. ეს გახლდათ მრავალჯარიმიანი შეხვედრა, რომელიც საბჭოთა კავშირის დროინდელ გულშემატკივრებს უთუოდ გაახსენებდა „შახტიორ“ — „მეტალისტს“ ან რაღაც ამგვარს. „პარმას“ ყველა შეტევა მასპინძელთა საჯარიმოსთან მთავრდებოდა (ხშირად მუჯლუგუნის გამო), ტურინელთა შეტევებს კი ეტყობოდა, რომ გაკვეთილზეა დასწავლილი და მეტოქეს ამოხსნილი აქვს. მერე ზიდანიო, იკითხავს ვინმე. ვინმეს მოვახსენებთ, რომ ეს ის ზინედინი აღარაა. იქმნება სრული შთაბეჭდილება, რომ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის ზიდანისთვის, მცირე ფანტაზიის შემთხვევაშიც კი, ფულადი ჯარიმა აქვს დაწესებული.

„მილანი“ ახლა უკვე ზედიზედ ოთხ მატჩშია გამარჯვებული და ამ საქმეში ლომის წილი, ბუნებრივია, ანდრეი შევჩენკოს უდევს. „სან სიროზე“ „ლეჩეს“ 4:1 ძლევაში უკრაინელმა ოთხ წუთში ორგოლიანი მონაწილეობა მიიღო. ამ ორი გოლიდან პირველი ფორვარდისთვის ტიპიური დარტყმით გავიდა, ხოლო მეორე პენალტით. შედეგად, შევჩენკოსა და ბატისტუტას საუკეთესო ბომბარდირთა დავაში თანაბარი მდგომარეობა აქვთ.

სიტყვა მილანს რომ მოიტანს, „ინტერსაც“ იქვე ვახსენებთ ხოლმე, ოღონდ ბოლოხანს, როგორც წესი, ასე ვამბობთ: „ინტერმა“, ცხადია, ისევ ცუდად ითამაშა... ასე გახლდათ ამჯერადაც — „შავლურჯებს“ მორიგი შავი დღე „ფიორენტინამ“ აყარა.

**ბაბუნა ქედია**

| სულ | | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 10 | 8 | 1 | 1 | 22:8 | 14 | 25 | 5 | 5 | 0 | 0 | 10:3 | 7 | 15 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:5 | 7 | 10 |
| 2 ატალანტა | 10 | 5 | 4 | 1 | 15:8 | 7 | 19 | 5 | 3 | 2 | 0 | 8:2 | 6 | 11 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 1 | 8 |
| 3 იუვენტუსი | 10 | 5 | 4 | 1 | 15:9 | 6 | 19 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 10 | 5 | 2 | 3 | 0 | 8:5 | 3 | 9 |
| 4 ლაციო | 10 | 5 | 3 | 2 | 17:10 | 7 | 18 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 8 | 13 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 5 |
| 5 მილანი | 10 | 5 | 3 | 2 | 18:12 | 6 | 18 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:6 | 6 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 7 |
| 6 პარმა | 10 | 5 | 2 | 3 | 13:8 | 5 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 8 | 13 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | -3 | 4 |
| 7 ბოლონია | 10 | 5 | 2 | 3 | 16:12 | 4 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 8:4 | 4 | 11 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 0 | 6 |
| 8 უდინეზე | 10 | 5 | 1 | 4 | 17:11 | 6 | 16 | 5 | 4 | 0 | 1 | 12:3 | 9 | 12 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | -3 | 4 |
| 9 ფიორენტინა | 10 | 3 | 5 | 2 | 17:15 | 2 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:9 | 3 | 10 | 5 | 0 | 4 | 1 | 5:6 | -1 | 4 |
| 10 ინტერი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:14 | -2 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 4 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | -6 | 2 |
| 11 ლეჩე | 10 | 3 | 3 | 4 | 8:14 | -6 | 12 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:6 | -2 | 5 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 7 |
| 12 ვერონა | 10 | 2 | 5 | 3 | 13:17 | -4 | 11 | 5 | 2 | 2 | 1 | 8:8 | 0 | 8 | 5 | 0 | 3 | 2 | 5:9 | -4 | 3 |
| 13 პერუჯა | 10 | 2 | 4 | 4 | 11:15 | -4 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 0 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 |
| 14 ვიჩენცა | 10 | 2 | 3 | 5 | 11:18 | -7 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | -3 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | -4 | 4 |
| 15 ბარი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:15 | -7 | 8 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 1 |
| 16 ბრეშა | 10 | 1 | 4 | 5 | 11:16 | -5 | 7 | 5 | 0 | 4 | 1 | 4:6 | -2 | 4 | 5 | 1 | 0 | 4 | 7:10 | -3 | 3 |
| 17 ნაპოლი | 10 | 1 | 4 | 5 | 8:16 | -8 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | -5 | 4 | 5 | 0 | 3 | 2 | 4:7 | -3 | 3 |
| 18 რეჯინა | 10 | 1 | 1 | 8 | 5:19 | -14 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 4 | 5 | 0 | 0 | 5 | 2:11 | -9 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (რომა) | 10 |
| შევჩენკო (მილანი) | 10 |
| სოსა (უდინეზე) | 7 |
| ტოტი (რომა) | 6 |
| ლეანდრო (ფიორენტინა) | 5 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 5 |

**XI ტური**

16 დეკემბერი
ნაპოლი — რეჯინა
პერუჯა — ბარი
17 დეკემბერი
ბოლონია — ატალანტა
ინტერი — ბრეშა
ლაციო — რომა
ლეჩე — იუვენტუსი
პარმა — ვიჩენცა
უდინეზე — ფიორენტინა
ვერონა — მილანი

## სერია B

### XV ტური

**კიევო 5:1 მონცა**

0:1 ბრანკა (32), 1:1 მანფრედინი (33), 2:1 დე ჩეზარე (36), 3:1 კორინი (42პ), 4:1 კორადი (53), 5:1 კორინი (80პ)

**პიაჩენცა 2:1 ჯენოა**

1:0 კაჩა (35), 1:1 კარბარელი (50), 2:1 რას ტელი (61)

**რავენა 0:0 ჩიტადელა**

**სალერნიტანა 0:0 ემპოლი**

**კროტონე 2:2 სიენა**

1:0 სუპერბი (1), 1:1 კამპოლონი (25), 2:1 ფლორიანჩიჩი (75), 2:2 არგილი (90)

**პისტოიეზე 1:2 ვენეცია**

1:0 ბიძარი (33), 1:1 ბაძანი (68), 1:2 დი ნაპოლი (90პ)

**ტერნანა 3:0 პესკარა**

1:0 გრაბი (32პ), 2:0 ბორგობელო (34), 3:0 ადეშინა (90)

**კალიარი 0:1 ტორინო**

0:1 შვოკი (9)

**ტრევიზო 0:0 ანკონა**

**სამპდორია — კოზენცა**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 15 | 8 | 4 | 3 | 22:13 | 28 |
| ვენეცია | 15 | 7 | 7 | 1 | 24:16 | 28 |
| კოზენცა | 14 | 8 | 3 | 3 | 20:13 | 27 |
| კალიარი | 15 | 7 | 5 | 3 | 27:15 | 26 |
| ტერნანა | 15 | 7 | 4 | 4 | 23:18 | 25 |
| ანკონა | 15 | 7 | 4 | 4 | 20:15 | 25 |
| სამპდორია | 14 | 5 | 7 | 2 | 18:13 | 22 |
| პიაჩენცა | 15 | 6 | 4 | 5 | 18:14 | 22 |
| სიენა | 15 | 5 | 6 | 4 | 24:21 | 21 |
| კროტონე | 15 | 6 | 3 | 6 | 19:21 | 21 |
| ემპოლი | 15 | 6 | 3 | 6 | 15:18 | 21 |
| ჩიტადელა | 15 | 4 | 7 | 4 | 19:20 | 19 |
| ტორინო | 15 | 5 | 4 | 6 | 17:21 | 19 |
| სალერნიტანა | 14 | 4 | 4 | 6 | 16:16 | 16 |
| პისტოიეზე | 14 | 4 | 4 | 6 | 18:20 | 16 |
| ჯენოა | 15 | 3 | 6 | 6 | 16:19 | 15 |
| ტრევიზო | 15 | 3 | 6 | 6 | 14:21 | 15 |
| მონცა | 15 | 3 | 2 | 10 | 15:29 | 11 |
| პესკარა | 15 | 1 | 7 | 7 | 13:21 | 10 |
| რავენა | 15 | 0 | 8 | 7 | 13:27 | 8 |

## სერია C1/A

მე-14 ტური: არეცო — სპეცია 0:2; კარარეზე — ჩეზენა 2:1; კომო — ალძანო 2:1; ლივორნო — ლუკეზე 2:0; ლუმეცანე — ბრეშელო 0:0; მოდენა — პიზა 0:1; რეჯანა — ალესანდრია 2:3; სპალ — ლეკო 1:0; ვარეზე — ალბინოლეფე 1:0

## სერია C1/B

მე-14 ტური: ატლეტიკო — პუზარო 0:0; აველინო — ვიტერბეზე 2:1; ბენევენტო — ნოჩერინა 1:1; ფროზინონე — ჯულიანოვა 0:0; აკილა — დი სანგრო 0:2; ლოდიჯანი — ასკოლი 1:0; პალერმო — მესინა 1:2; ტორესი — კატანია 3:0; საურია — ფ. ანდრია 1:1

## გერმანია

### XVI ტური

**ვერდერი 2:1 კიოლნი**

0:1 არველაძე (58), 1:1, 2:1 ბოგდანოვიჩი (73, 84)
ვერდერი: როსტი, ტიკუზუ, ფ. ბაუმანი, კრსტაიჩი, ბოდე, ფრინგსი, ფ. ერნსტი (ბოგდანოვიჩი 71), სტალტერი, ა. ჰერცოგი, აილტონი (სკრიპნიკი 86), პიზარო (მაქსიმოვი 90)
მწვრთნელი: თომას შააფი
კიოლნი: პრიოლი, სიჩონე, ჩიკონი, კელერი, ჟივიორი (დონკოვი 86), კულმანი, შპრინგერი, ლოტნერი, შერცი, ტიმი, კურტი (ა. არველაძე 58)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: აილტონი, ბოგდანოვიჩი, ჟივიორი, სიჩონე
გაძევება: სტალტერი (39)
29 144 მაყურებელი

**ფრაიბურგი 5:0 ბოხუმი**

1:0 დიარა (21), 2:0 სელიმი (48), 3:0 იაშვილი (51), 4:0 ბაია (66), 5:0 იაშვილი (76)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, დიარა, კელი (დორნი 69), კობიაშვილი (ცქიტიშვილი 53), ა. ცაიერი, ვ. ბუტი, ვილი (რამდანე 40), ბაია, სელიმი, იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ბოხუმი: ვან დუინოვენი, რისტაუ, მამიჩი, ფარენჰორსტი (სუნდერმანი 31), ფრაიერი, შინდციორცი, მაიხელბეკი (მ. მარიჩი 46), ბასტურკი, პეშელი, ბაკლი (მანდრეკო 67), დრინჩიჩი
მწვრთნელი: რალფ ცუმდიკი
გაფრთხილება: კელი, ცაიერი, ბასტურკი, ფარენჰორსტი, ბაკლი, პეშელი
გაძევება: დრინჩიჩი (65)
24 500 მაყურებელი

**აინტრახტი 1:2 ვოლფსბურგი**

1:0 გებჰარდტი (13), 1:1 იუსკოვიაკი (52), 1:2 მარიჩი (75)
აინტრახტი: ჰაინენი, ხუბჩევი (ლიოში 58), კუჩურა, კრახტი, შური, ბრანკო, სობოტჩიკი, გებჰარდტი (გუიე-მიენი 76), ჰელდტი, ფიორტოფტი, რაიხენბერგერი (კრიჟალოვიჩი 46)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი, ჰენენი, ბილისკოვი, ნოვაკი (ვოსი 77), აკონორი, გრაინერი (მიულერი 46), ვაისერი, კუჰბაუერი (იუსკოვიაკი 32), მუნტიანუ, ტ. მარიჩი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ბრანკო, სობოტჩიკი, ჰაინენი, შური, კრახტი, ნოვაკი
9 300 მაყურებელი

**დორტმუნდი 3:0 უნტერჰახინგი**

1:0 სტევიჩი (16), 2:0 ბობიჩი (30), 3:0 რეინა (40)
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, კოლერი, ოლისე (ადო 17), ევანილსონი, სტევიჩი, ჰაინრიხი, დედე, რიკენი (ნერლინგერი 78), რეინა, ბობიჩი (ტანკო 72)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, ბუხერი, ზაიფერტი (გრასოვი 75), შვარცი, მატიას ციმერმანი, შტრაუბე, ჰაბერი, ობერლაიტნერი (პირში 46), ზდრილიჩი, შპიზაკი (რაკლი 27)
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კოისტნერი
გაფრთხილება: ჰაინრიხი, რიკენი, ბუხერი, ზდრილიჩი
60 500 მაყურებელი

**შალკე 2:1 შტუტგარტი**

1:0 ლატალი (22), 1:1 განია (47), 2:1 ვალდოხი (90)
შალკერი: რეკი, ჰაიტო (აიგენრაუხი 64), ვალდოხი, ვან კერკჰოვენი (ჰაჯე 58), ვან ჰუგდალემი, ნემეცი, ლატალი (მიკოლაიჩაკი 77), ბიომე, მიოლერი, ასამოა, სანდი
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მაისნერი, სოლდო, ბორდონი (ენდრესი 46), ბლანკი, კუფი, ლისტეში (ტოდტი 77), ზაიცი, ბალაკოვი, კარნელი (გერბერი 61), განია
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ვან ჰუგდალემი, ჰაიტო, ბიომე, ზაიცი
გაძევება: ბალაკოვი (68)
31 281 მაყურებელი

**მიუნხენი 2:1 ჰანზა**

1:0 მაქსი (21), 1:1 აგალი (66), 2:1 მაქსი (68)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ზელიჩი, შტრანცლი, ელბერი (ბოგდერერი 29), კურცი, ჩერნი, რისეტი (ტაისი 32), ბაიროფკა, ჰესლერი, აგოსტინო (ბაიერლე 81), მაქსი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
ჰანზა: პიკენჰაგენი, შრიოდერი, იაკობსონი, ოსვალდი, ისერი, ემარა, რიდლევიჩი, ბრანდი (ვაილანდტი 85), არვიდსონი (მაიაკი 82), ბაუმგარტი, აგალი (ბენკენი 90)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: შტრანცლი, ბაიროფკა, მაქსი, ბრანდი, არვიდსონი, აგალი
20 300 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 0:0 ბაიერნი**

კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი, იაკონი, გრამოციისი, რამზი, შტრასერი, ხრისტოვი, პეტერსონი, ბუკა, ჯორკაეფი (მარშალი 83), ლოკვენცი (კლოსე 59)
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
ბაიერნი: კანი, ლინკე, კუფური, ტარნატი, სფორცა, სალიჰამიჯიჩი, ფინკი, ეფენბერგი, შოლი (ციკლერი 46), პაულო სერჯიო, ელბერი (იანკერი 68)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ჰ. კოხი, ტარნატი, ლინკე, სალიჰამიჯიჩი, კანი, ეფენბერგი, იანკერი
41 500 მაყურებელი

**ჰამბურგი 2:1 კოტბუსი**

0:1 რეგეკამპფი (42), 1:1 ბარბარესი (72), 2:1 ჰაინცი (78)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, ჰოოგმა, ჰანადიჩი (პრეგერი 65), იუფფალუში, ნ. კოვაჩი, ტოფტინგი, ბარბარესი, ილმაზი (ჰაინცი 46), კეტლაერი (სანდმანი 88), ბესტერი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
კოტბუსი: პიპლიცა, ვატა, ტილმანი (მაკენა 89), შებოკი, მატიუში, აკპაროვიჩი, რეგეკამპფი, მირიუტა, სკერბე (ფრანკლინი 86), კობილანსკი (მიჩესკი 78), ჰელბიგი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ჰოოგმა, კოვაჩი, მატიუში, სკერბე
39 600 მაყურებელი

**ლევერკუზენი 4:0 ჰერტა**

1:0, 2:0 ნოივილი (7, 19), 3:0 რამელო (67), 4:0 რინკი (82შ)
კირსტენმა ვერ გაიტანა პენალტი (72, მეკარე)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი, ვრანიეში, რ. კოვაჩი, რამელო, რეები, ოჯიგვე, ბ. შნაიდერი, ნოინდორფი (ბაბიჩი 69), კირსტენი (რინკი 78), ნოივილი (დაუნი 83)
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი
ჰერტა: კირალი, რემერი, სვერისონი, შმიდტი (ბაინლიხი 22), დარდაი (ვაიტი 62), ტრეჩოკი, დაისლერი, ჰარტმანი, ვოში, დაეი (ალვეში 46), პრეეცი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: რამელო, ვოში, კირალი
გაძევება: ალვეში (70)
22 500 მაყურებელი

# ერთი? არა. ორი? არა. მაშ რამდენი?




შალკე — შტუტგარტი 2:1. ვირობანა: შტუტგარტელი მარსელო ბორდონი ჭერალდ ასამოას შეახტა

**რამდენი** გოლი გაუტანა ალექსანდრე იაშვილმა შაბათს „ბოხუმს“? გერმანული გაზეთებისა და სააგენტოების უმეტესობას თუ ვენდობით, ორი, ხოლო ყველაზე პრესტიჟულ გამოცემა „კიკერის“ ცნობით — ერთი. „კიკერმა“ „ფრაიბურგის“ მეხუთე ბურთი ბოხუმელ სუნდერმანს ავტოგოლად ჩაუთვალა.

„ფრაიბურგმა“ შაბათს საკუთარ მინდორზე „ბოხუმს“ პატარა გაკვეთილი ჩაუტარა და მიმდინარე სეზონში მესამედ მოიგო დიდი ანგარიშით. მასპინძელთა წარმატებაში უდიდესი წვლილი იაშვილ-კობიაშვილის დუეტმა დაიდო, რომლებმაც ისე ითამაშეს, „კიკერს“ ორიანები გამოსტყუეს. „ფრაიბურგს“ მხოლოდ მატჩის დებიუტში გაუჭირდა, სანამ სტუმრები პრესინგს თამაშობდნენ. ასე 20 წუთს გაგრძელდა. სწორედ მაშინ შექმნა „ბოხუმმა“ პირველი და უკანასკნელი საგოლე მომენტი: ბასტურკი გოლცმა დაამწუხრა, მერე კი მინდორზე ერთი გუნდი იყო, რომელიც უტევდა, მომენტებს ქმნიდა და გოლებიც გაჰქონდა. შესვენებამდე მასპინძლებმა ერთი გოლი იკმარეს — 21-ე წუთზე კობიაშვილის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი დიარამ თავით გაიტანა. ამის მერე იაშვილმაც გააფუჭა ერთი მომენტი. მეორე ნახევარი კი დაიწყო და...

48-ე წუთზე იაშვილის გარღვევა და ჩაწოდება სელიმიმ აქცია გოლად, მერე რამდანეს პასით თავად ქართველმა ფორვარდმა გაიტანა. მეოთხე ბურთი ბაიამ შეაგდო, ბოლოს კი ისევ იაშვილმა ივარგა, რომლის დარტყმულიც სუნდერმანს შეეხო და კარში აღმოჩნდა.

„ბუნდესლიგის საუკეთესო კლუბებთან ჩემი გუნდის ბოლოდროინდელი თამაში წარმატების იმედს მაძლევდა, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, დღეს უზომოდ კმაყოფილი ვარ“ — სიხარულს ვერ მალავდა ფოლკერ ფინკე, „ფრაიბურგის“ მთავარი მწვრთნელი.

ამ მატჩში ჩვენთვის საინტერესო კიდევ ის იყო, რომ 53-ე წუთზე, როცა შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო, კობიაშვილი დაშავდა და ცქიტიშვილით შესაცვლელი შეიქნა.

არჩილ არველაძე ევალდ ლინენმა 58-ე წუთზე ჩართო თამაშში, ზუსტად ათ წუთში კი ქართველის გვარი ტაბლოზე დაიწერა — ჟივიორის თავური პასით არველაძემ კარგად ისარგებლა და ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა. სამ წუთში „ვერდერის“ თავკაცმა თომას შააფმა ის ცვლილება მოახდინა, რომელმაც თამაში მოაგებინა — ერნსტის ნაცვლად ბოგდანოვიჩი შეუშვა, მან კი მწვრთნელს დაუმტკიცა, რომ მისი ადგილი ძირითად შემადგენლობაშია და არა სათადარიგოთა სკამზე. ბოგდანოვიჩი რიგიანად არც გახურებულიყო, რომ პიზაროს პასს მარჯვენა შეაგება და წონასწორობა აღადგინა, მერე კი ჯარიმიდან ჰერცოგის ჩაწოდებულს დაუხვდა და თავით 2:1 გახადა. ასე გაახუნა ბოგდანოვიჩმა არველაძის გოლი და „კიოლნის“ ოთხმატჩიან მოგებების სერიასაც წერტილი დაუსვა. არადა მასპინძლებს 39-ე წუთზე სტალტერი გაუგდეს.

სამშაბათს ლონდონის „ჰაიბერიზე“ „არსენალთან“ დაზავებული მიუნხენის „ბაიერნი“ შაბათს „ფრიც ვალტერს“ ეწვია და „კაიზერსლაუტერნსაც“ დაუზავდა, რაშიც დიდი დახმარება მსაჯების შეცდომამაც გაუწია, როცა პირველ ტაიმში მასპინძელ ხრისტოვს თავით გატანილი გოლი არ ჩაუთვალეს, ოფსაიდი იყოო. ვიდეოგამეორებამ ნათლად აჩვენა, რომ მსაჯები შეცდნენ. სხვა მხრივ არცთუ საინტერესო მატჩში აღსანიშნავი ბევრი არც არაფერი ყოფილა, გარდა იმისა, რომ „ბაიერნის“ დაცვას ექს-ლაუტერნელი ჩირიაკო სფორცა ამაგრებდა, „კაიზერსლაუტერნს“ კი ვერ ეხმარებოდა ერთ დროს მიუნხენელთა ლიდერი მარიო ბასლერი, რომელიც მწვრთნელმა სკამზე დასვა. მომენტებით მწირი შეხვედრა ლოგიკურად, 0:0 მორჩა.

„ლევერკუზენი“ — „ჰერტას“ მატჩში კი სტუმართა მეკარე გაბორ კირალიმ უკადრებელი იკადრა. 72-ე წუთზე, როცა მის კარში პენალტი დაინიშნა, მსაჯს შეედავა, რომ არაფერი გამოუვიდა, ტრიბუნებს და მეტოქეს ხელების შუა თითები დაანახა, მერე თერთმეტმეტრიანი კირსტენს აუღო და ნიშნის მოგებით ლევერკუზენელ ქომაგებს ისევ შუა თითები აჩვენა. საბოლოოდ ვინ რა დაიჭირა თითის ჩვენებით, ტაბლოზე კარგად გამოჩნდა — „ლევერკუზენმა“ დიდი ტერიტორიული უპირატესობა მშვენივრად გამოიყენა, ოთხი უპასუხო ბურთი გაიტანა და ახლა ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს, თუმცა ზურგსუკან ერთბაშად ოთხი გუნდის სუნთქვა ესმის. „ჰერტამ“ მატჩი ათი კაცით დაასრულა, მაგრამ ასეთ მარცხს ალვეშის გაძევებას ვერ დააბრალებს, რადგან როცა ბრაზილიელი გააგდეს, ბერლინელები 0:3-ს აგებდნენ.

მიუნხენში არბიტრის საფინალო სასტვენის ხმა რომ გაისმა, „მიუნხენ 1860“-ის თავკაცმა ვერნერ ლორანტმა ოფლი მოიწმინდა და შვებით ამოისუნთქა — მისმა გუნდმა მოგების გემო გაიხსენა და 22 სექტემბრის შემდეგ ჩემპიონატში პირველად გაიმარჯვა. ეს რომ არ მომხდარიყო, ახლა ლორანტი უგუნდოდ იქნებოდა, რადგან მატჩამდე მას კლუბის ხელმძღვანელობამ ულტიმატუმი წაუყენა. თამაშიც ისე მდიდოდა, როგორც მიუნხენელებს სურდათ. მასპინძლები მაქსის გოლით იგებდნენ და შეხვედრაც მათი კარნახით მიმდინარეობდა. 66-ე წუთზე კი თითქოს ყველაფერი შეიცვალა, თუმც აგალის და „ჰანზას“ იმავე მაქსმა სულ სამი წუთი აცალა სიხარული, მერე კი თავისიანები ისევ დააწინაურა — 2:1.

„შტუტგარტმა“ კი ისევ წააგო და ბოლო ადგილზე დარჩა. არადა, „შალკესთან“ საგარეო შეხვედრაში რალფ რანგნიკის შეგირდებმა კინაღამ ფრეს გამოკრეს ხელი. გელზენკირხენელებმა გამარჯვების გოლი რიცხობრივ უმცირესობაში მყოფ „შტუტგარტს“ ბოლო წამებზე გაუტანეს. ასე გაწირა ბალაკოვმა თანაგუნდელები.

„დორტმუნდმა“ შინ „უნტერჰახინგი“ 3:0 დაჩაგრა. ისე, ერთი ამდენი კიდევ რომ გაეტანა, უფრო სამართლიანი იქნებოდა.

ბოლოს კი ისევ ამ ტურში ქართველთა გოლებს დავუბრუნდეთ. რამდენი ბურთი გაიტანეს ჩვენებურებმა? ერთი? არა. ორი? არა. მაშ რამდენი? მოდით, გერმანულ სააგენტოთა დიდ უმრავლესობას დავუჯეროთ და ვთქვათ: სამი!

**ვანო ოქროპირიძე**

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლევერკუზენი | 16 | 9 | 4 | 3 | 26:16 | 10 | 31 | 8 | 6 | 1 | 1 | 15:4 | 11 | 19 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:12 | -1 | 12 |
| 2 შალკე | 16 | 9 | 3 | 4 | 33:17 | 16 | 30 | 8 | 6 | 2 | 0 | 17:6 | 11 | 20 | 8 | 3 | 1 | 4 | 16:11 | 5 | 10 |
| 3 დორტმუნდი | 16 | 9 | 2 | 5 | 27:24 | 3 | 29 | 8 | 5 | 0 | 3 | 12:10 | 2 | 15 | 8 | 4 | 2 | 2 | 16:13 | 3 | 14 |
| 4 ჰერტა | 16 | 9 | 1 | 6 | 34:27 | 7 | 28 | 8 | 6 | 1 | 1 | 23:10 | 13 | 19 | 8 | 3 | 0 | 5 | 11:17 | -6 | 9 |
| 5 ბაიერნი | 16 | 8 | 3 | 5 | 32:18 | 14 | 27 | 8 | 6 | 0 | 2 | 22:9 | 13 | 18 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:9 | 1 | 9 |
| 6 ვოლფსბურგი | 16 | 6 | 6 | 4 | 33:22 | 11 | 24 | 8 | 4 | 4 | 0 | 22:9 | 13 | 16 | 8 | 2 | 2 | 4 | 11:13 | -2 | 8 |
| 7 კიოლნი | 16 | 7 | 3 | 6 | 31:27 | 4 | 24 | 8 | 6 | 1 | 1 | 24:10 | 14 | 19 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:17 | -10 | 5 |
| 8 ლაუტერნი | 16 | 7 | 3 | 6 | 21:21 | 0 | 24 | 9 | 5 | 2 | 2 | 12:8 | 4 | 17 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:13 | -4 | 7 |
| 9 ჰამბურგი | 16 | 6 | 3 | 7 | 33:30 | 3 | 21 | 8 | 5 | 1 | 2 | 18:10 | 8 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 15:20 | -5 | 5 |
| 10 ფრაიბურგი | 16 | 5 | 5 | 6 | 23:20 | 3 | 20 | 8 | 4 | 2 | 2 | 17:5 | 12 | 14 | 8 | 1 | 3 | 4 | 6:15 | -9 | 6 |
| 11 ვერდერი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:21 | -1 | 20 | 8 | 4 | 3 | 1 | 14:9 | 5 | 15 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | -6 | 5 |
| 12 აინტრახტი | 16 | 6 | 2 | 8 | 21:25 | -4 | 20 | 8 | 5 | 1 | 2 | 16:8 | 8 | 16 | 8 | 1 | 1 | 6 | 5:17 | -12 | 4 |
| 13 მიუნხენი | 16 | 4 | 6 | 6 | 19:28 | -9 | 18 | 8 | 3 | 2 | 3 | 10:13 | -3 | 11 | 8 | 1 | 4 | 3 | 9:15 | -6 | 7 |
| 14 ჰანზა | 16 | 5 | 3 | 8 | 13:25 | -12 | 18 | 7 | 2 | 3 | 2 | 5:9 | -4 | 9 | 9 | 3 | 0 | 6 | 8:16 | -8 | 9 |
| 15 უნტერჰახინგი | 15 | 4 | 5 | 6 | 17:25 | -8 | 17 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:8 | 2 | 12 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:18 | -11 | 5 |
| 16 კოტბუსი | 16 | 5 | 2 | 9 | 17:28 | -11 | 17 | 8 | 5 | 0 | 3 | 10:9 | 1 | 15 | 8 | 0 | 2 | 6 | 7:19 | -12 | 2 |
| 17 ბოხუმი | 16 | 4 | 3 | 9 | 13:31 | -18 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 10:13 | -3 | 11 | 8 | 1 | 1 | 6 | 3:18 | -15 | 4 |
| 18 შტუტგარტი | 16 | 3 | 5 | 8 | 21:29 | -8 | 14 | 8 | 3 | 4 | 1 | 15:12 | 3 | 13 | 8 | 0 | 1 | 7 | 6:17 | -11 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე) | 12 |
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 10 |
| აგოსტინო (მიუნხენ 1860) | 9 |
| იანკერი (ბაიერნი) | 8 |
| ლოტნერი (კიოლნი) | 8 |
| ნოივილი (ლევერკუზენი) | 8 |

**XVII ტური**

12 დეკემბერი
უნტერჰახინგი — შალკე
შტუტგარტი — აინტრახტი
ვოლფსბურგი — ფრაიბურგი

13 დეკემბერი
ბაიერნი — ჰამბურგი
ჰანზა — ვერდერი
კიოლნი — დორტმუნდი
ბოხუმი — ლევერკუზენი
ჰერტა — ლაუტერნი
კოტბუსი — მიუნხენი

## მეორე ბუნდესლიგა

### XVI ტური

**როიტლინგენი 2:2 ულმი**

1:0 ბეკერი (31), 1:1 ლეანდრო (44), 1:2 შარინგერი (51), 2:2 ტრაუბი (58)

**კიკერსი 2:1 ოსნაბრუკი**

1:0 ფილი (18), 1:1 შუტი (56), 2:1 ციმერმანი (58)

**არმინია 5:1 ქემნიცი**

1:0 კლიცპერა (4), 2:0 ვუკი (7), 3:0 ვიშნიარეკი (59), 4:0 ლაბადია (71), 4:1 მურატოვიჩი (86), 5:1 ვიშნიარეკი (88)

**ვალდჰოფი 5:0 ობერჰაუზენი**

1:0 ვატა (18), 2:0, 3:0 ლიხტი (48, 68), 4:0 კლაუცი (66), 5:0 ლიხტი (75)

**ნიურნბერგი 6:1 ალემანია**

1:0 გომისი (7), 1:1 ზერნიკე (10), 2:1 დრილერი (18), 3:1 გომისი (38), 4:1 დრილერი (75), 5:1 მიოკელი (76), 6:1 ბელიაკოვი (85)

**მიონხენგლადბახი 3:1 ფიურტი**

1:0, 2:0 ვან ჰუდტი (42, 47), 2:1 ჰასენჰუტლი (50), 3:1 ვან ლენტი (69)

**დუისბურგი 2:1 ზაარბრიუკენი**

1:0 ვედაუ (32), 1:1 ჰორსტერი (45), 2:1 ზიდელი (84)

**ალენი 1:0 მაინცი**

1:0 შუსტერი (10)

**ჰანოვერი — ზანქტ პაული**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 16 | 12 | 3 | 1 | 35:13 | 39 |
| ჰანოვერი | 15 | 8 | 4 | 3 | 28:14 | 28 |
| როიტლინგენი | 16 | 8 | 4 | 4 | 38:29 | 28 |
| ზტ. პაული | 15 | 7 | 5 | 3 | 37:26 | 26 |
| გლადბახი | 16 | 6 | 7 | 3 | 27:19 | 25 |
| ფიურტი | 16 | 6 | 5 | 5 | 24:19 | 23 |
| დუისბურგი | 16 | 6 | 5 | 5 | 23:19 | 23 |
| ვალდჰოფი | 16 | 6 | 5 | 5 | 25:22 | 23 |
| ობერჰაუზენი | 16 | 7 | 2 | 7 | 22:24 | 23 |
| ზაარბრიუკენი | 16 | 6 | 4 | 6 | 25:32 | 22 |
| ალენი | 16 | 5 | 6 | 5 | 22:26 | 21 |
| ალემანია | 16 | 5 | 5 | 6 | 23:30 | 20 |
| არმინია | 16 | 5 | 4 | 7 | 24:22 | 19 |
| ულმი | 16 | 5 | 3 | 8 | 20:23 | 18 |
| მაინცი | 16 | 4 | 5 | 7 | 17:22 | 17 |
| კიკერსი | 16 | 3 | 6 | 7 | 13:21 | 15 |
| ოსნაბრუკი | 16 | 2 | 4 | 10 | 13:29 | 10 |
| ქემნიცი | 16 | 2 | 3 | 11 | 14:40 | 9 |

# ვაჰ, ბარსელონაც სამეფო კლუბია?

## ესპანეთი

### XIV ტური

**ნუმანსია 1:1 სარაგოსა**
1:0 რუბენ ნავარო (4), 1:1 ხუანელე (46)
ნუმანსია: ნუნიესი, მანელი, გუსტავო, მუნისი, ხაუმე (ინიაკი 64), ნაგორე, პირი (როსუ 71), კაკო მორანი, ოქტავიო, დელგადო (ოხედა 55), რუბენ ნავარო
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
სარაგოსა: ხუანმი, პაკო ხემესი, პაბლო, აგუადო, ლანა, აკუნია (გარიტანო 77), ხოსე იგნასიო, ველისკა, ჟამელი (იორდი 52), ხუანელე, მონტენეგრო (ფერონი 83)
მწვრთნელი: ლუის კოსტა
გაფრთხილება: დელგადო, ლანა, ხუანელე, გარიტანო, ოხედა
10 000 მაყურებელი

**ბილბაო 4:0 ოვიედო**
1:0, 2:0 იესტე (48, 56), 3:0 ხავი გონსალესი (64), 4:0 გერერო (90)
ბილბაო: ლაფუენტე, დელ ჰორნო, რიოსი, ლაკრუსი, ალკორტა, ორბაისი (ალკისა 79), გერერო, ოსკარ ვალესი, ხავი გონსალესი (ტიკო 81), ურსაისი, ხ. ეჩებერია (იესტე 38)
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
ოვიედო: ესტებანი, სუარესი, მარტინოვიჩი, ბორისი (ხაიმე 71), დანჟუ, ონოპკო, ტომიჩი, ივან ანია, ამიევა (მიოლერი 67), ოლი (ივო 71), ლოსადა
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: ივან ანია, დელ ჰორნო, ხავი გონსალესი, მარტინოვიჩი
27 000 მაყურებელი

**ლას პალმასი 1:5 ვილიარეალი**
0:1 მარიონი (32), 0:2, 0:3 ხორხე ლოპესი (41, 48), 1:3 გიარე (56), 1:4 მარიონი (66), 1:5 ხავი გარსია (90)
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ალვარო, პაკუი, შურერი, გიარე, ედუ ალონსო (იარნი 61), სემვისი, ხოსიკო (ხორხე 61), ანხელი, პაბლო ლაგო (გუდიონსონი 46), ორლანდო
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, უნაი, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ხავი როკა, კანია, ამორი (ხავი გარსია 67), ვიქტორი, მარიონი (კრაიოვიანუ 82), კალეხა, ხორხე ლოპესი (ესკუდა 46)
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
გაფრთხილება: პაკუი, შურერი, კანია, ალვარო
გაძევება: პაკუ (77), შურერი (88)
18 000 მაყურებელი

**რასინგი 2:1 ალავესი**
0:1 ხავი მორენო (68), 1:1 ტაისი (75), 2:1 ამავისკა (89)
რასინგი: სებალიოსი, ტაისი, სიეტესი, ჩემა, მელბერგი, ამავისკა, ესპინია (ისმაელი 75), ხაიმე (ვივარ დორადო 70), ბესჩასტნიხი, მანხარინი, რუშფელდტი (პრესიადო 61)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ალავესი: ერერა, ჯელი, ტელიესი, კარმონა, კონტრა, ასტუდილიო, დესიო, პაბლო (ეგენი 77), იბონ ბეგონია, ივან ალონსო (მაგნო 60), ხავი მორენო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: პაბლო, ასტუდილიო, ხავი მორენო
13 000 მაყურებელი

**ბარსელონა 4:2 ესპანიოლი**
1:0 რივალდო (13), 2:0 ხავი (43), 2:1 მარტინ პოსე (52), 3:1 რივალდო (58პ), 4:1 ლუის ენრიკე (61), 4:2 არტეაგა (88)
ბარსელონა: რეინა, ფ. დე ბური, სერხი, აბელარდო, გაბრი, ხავი, ლუის ენრიკე, კოკუ (ხერარდი 71), სიმაო (ოვერმარსი 46), რივალდო (გვარდიოლა 60), კლუივერტი
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ესპანიოლი: მორა, პოჩეტინიო, სოლდევილა, დე ლუკასი, როხერი (ტოლედო 46), არტეაგა, ნავასი, გალკა, სერხიო, ველამასანი (მარტინ პოსე 46), ტამუდო (სერანო 68)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: კოკუ, დე ლუკასი, როხერი, სოლდევილა, დე ბური
98 000 მაყურებელი

**რეალი 3:0 სელტა**
1:0 ელგერა (11), 2:0 ფიგუ (33), 3:0 რობერტო კარლოსი (60)
რეალი: კასილიასი, კარანკა, იერო (ფლავიო კონსეისაო 63), რობერტო კარლოსი (სოლარი 77), მაკელელე, ჯერემი, ელგერა, მაკმანამანი, ფიგუ, რაული, მორიენტესი (სავიო 70)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
სელტა: პინტო, ჯოროვიჩი, ხუანფრანი (იაგო 46), კასერესი, ველასკო, ხესული (ვაგნერი 55), დორივა, კარპინი, ჯოვანელა, კატანია (მაკკარტი 72), გუსტავო ლოპესი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: რობერტო კარლოსი, იერო, იაგო, ჯოროვიჩი, მაკელელე
60 124 მაყურებელი

**მალიორკა 1:1 ოსასუნა**
0:1 ივან როსადო (25), 1:1 ნადალი (55)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ნადალი, ოლაიზოლა, ფერნანდო ნინიო, ნოვო (მარკოსი 49), ენგონგა, სტანკოვიჩი (ფინიდი 49), იბაგასა, კარერასი, ლუკე (კარლოსი 56), ეტოო
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ოსასუნა: სანსოლი, ბიტორ ოკიო, კრუჩაგა, მატეო, ივან პერესი, იანგუსი, ლეკუმბერი (პალასიოსი 65), საბინო (ანხელი 75), ივან როსადო, არპონი (ალფრედო 60)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: არპონი, ენგონგა, კარერასი, ეტოო, ფერნანდო ნინიო
გაძევება: ფერნანდო ნინიო (64)
13 000 მაყურებელი

**ვალენსია 2:0 სოსიედადი**
1:0 კარეუ (67), 2:0 ხუან სანჩესი (88)
ვალენსია: კანისარესი, აიალა, ალბელდა, ანგლომა, კარბონი, ჯუკიჩი, ბარახა (ანგულო 66), ვისენტე, მენდიეტა, კარეუ, ილიე (ხუან სანჩესი 76)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
სოსიედადი: ალბერტო, კორინო, ლოპეს რეკარტე, პიკაბეა, ფუენტესი, ხაბილონდო (ხოხლოვი 46), ტაიფუნი, ხაურეგი (დე პედრო 46), არანბურუ, რუბენ ვეგა (იდიაკესი 62), იანკაუსკასი
მწვრთნელი: პერიკო ალონსო
გაფრთხილება: კარბონი, ტაიფუნი, ანგლომა, იდიაკესი
45 000 მაყურებელი

**დეპორტივო 1:1 რაიო ვალეკანო**
1:0 მაკაი (35), 1:1 ბოლიჩი (71)
დეპორტივო: სონგო, კაპდევილა, სეზარ სამპაიო, ნაიბეტი, მანუელ პაბლო, დონატო, ვიქტორ სანჩესი (სკალონი 72), ჯალმინია, მაურო სილვა, ტურუ ფლორესი (ფერნანდო 54), მაკაი (დიეგო ტრისტანი 78)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, ბალესტეროსი, დე კინტანა (ბარტელტი 69), მაურო (გლაუჩიო 59), მინგო, ალკასარი, კვევედო, პაბლო სანსი, მიჩელი, ბოლიჩი, ბოლო (სეტვალსი 46)
მწვრთნელი: ხუან დე რამოსი
გაფრთხილება: სეზარ სამპაიო
გაძევება: ჯალმინია (51)
25 000 მაყურებელი

**მალაგა 3:1 ვალიადოლიდი**
1:0, 2:0 დარიო სილვა (1, 48), 3:0 მუსამპა (79), 3:1 ფერნანდო სალესი (88)
მალაგა: კონტრერასი, ვალკარსე, ბრავო, რივასი, დე ლოს სანტოსი, ზარატე (როხასი 32), რუფეტე (მუსამპა 78), მოვილია, დელი ვალდესი, აგოსტინო, დარიო სილვა (ედგარი 62)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ვალიადოლიდი: ბიზარი, რიკეტი (პაჩონი 79), ტორეს გომესი, გარსია კალვო, მარკოსი, პაინცე, ფერნანდო სალესი, ანტონიო ლოპესი, ტურიელი, ეუსებიო (ფერნანდო 64), კავიედესი (ალბერტო 57)
მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო
გაფრთხილება: დე ლოს სანტოსი, პაინცე, რივასი, დარიო სილვა, მუსამპა, ანტონიო ლოპესი
გაძევება: რივასი (82)
12 000 მაყურებელი



REUTERS მადრიდიდან

რეალი — სელტა 3:0. ფიგუს ვინ რას დააკლებს?

**ერთი** კვირის წინ დიდად ვაქებდით „დეპორტივოს“: გალისიელები ჩემპიონთა ლიგაში დაუმარცხებელნი იყვნენ და პრიმერადივიზიონსაც ლიდერობდნენ. ახლა ქებამ აწყინათ თუ სხვა რამ მიზეზი იყო, ლიგაშიც დამარცხდნენ და ესპანეთშიც დაკარგეს პირველობა. მართალია, „დეპორტივო“ „ვალენსიას“ ოდენ ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩება, მაგრამ დაკარგულ ქულებსაც თუ დავითვლით, „რეალი“ ორივეს უსწრებს.

„რაიო ვალეკანოსთან“ შეხვედრაში ლაკორუნიელები როი მაკაიმ დააწინაურა, რომელსაც ჯალმინიამ გაუკეთა ზუსტი პასი. მოგვიანებით, კამათის გამო, ბრაზილიელს წითელი ბარათი უჩვენეს, ხოლო მასპინძლები ძლივს გადაურჩნენ წაგებას — საპასუხო გოლის ავტორმა ელვირ ბოლიჩმა წამატებულ დროში ძელსაც გაარტყა.

ლიდერობადაბრუნებულ ვალენსიელთაგან ვინმეს თუ გამოვარჩევთ, უპირველესად იონ კარეუს. ნორვეგიელმა უკვე იმდენი ქულა მოაპოვებინა გუნდს, რომ სრულად გაამართლა მასში გადახდილი 8.1 მილიონი დოლარი. საზოგადოდ, ძალიან კარგი თამაშის გარდა კარეუ სანსებასტიანელთა კარში გატანილი პირველი გოლის ავტორი და მეორე გოლის თანაავტორი გახდა. გარჯას ნუ დავუკარგავთ ვალენსიელთა 19 წლის ნახევარმცველ ხულიენ ვისენტესაც, რომელმაც გაისკა მენდიეტაზე არანაკლები შრომა გასწია და რამდენიმე კარგი მომენტი შექმნა. დავუმატოთ, რომ „სოსიედადს“ გამარჯვებისადმი განსაკუთრებული სწრაფვა არ ეტყობოდა და პირველი ტაიმი ისე მიილია, სანტიაგო კანისარესი არ შეუწუხებია. მეორე ტაიმშიც ბასკებს მხოლოდ ორიოდე კარგი მომენტი ჰქონდათ და ისიც სტანდარტული მდგომარეობებიდან.

საშემოდგომო ლიგის ქულადაუკარგავად დასრულების შემდეგ მადრიდის „რეალმა“ მთელი ყურადღება დივიზიონზე გადაიტანა და, როგორც ამბობენ, შინაურ ასპარეზზე სეზონში საუკეთესო მატჩი გამართა. ვიგოელთა ძლევა რობერტო კარლოსმა დაიწყო და მანვე დაასრულა. მე-11 წუთზე ბრაზილიელი სტუმართა საჯარიმოს მისადგომიდან გამოცდილი მებილიარდესავით მოიქცა — საჯარიმოს სიღრმეში ივან ელგერას ზუსტად გაარტყა ბურთი ფეხზე და კარში შეაგდო. ელგერაც იმსახურებს ქებას — საჭირო დროს საჭირო ადგილას იდგა და ფეხიც იმგვარად დაუხვედრა ბურთს, რომ კარის კუთხისაკენ წასულიყო. ცოტა ხანში ლუიშ ფიგუმ გაიხსენა, რომ „უორლდ სოკერმა“ წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა, ხოლო მატჩის მეორე დღეს იგივე საკითხზე არჩევანი ფიფას უნდა გაეკეთებინა და დიდებულად გაისარჯა — სოლო რეიდი კარგა შორიდან დაიწყო, ერთი სტუმარი მოატყუა, მეორეს ზემოდან გადაუგდო ბურთი და საჯარიმოში შეჭრილმა მესამეს საშუალება არ მისცა ბურთისათვის ფეხი დაეკარებინა. მესამე გოლი საჯარიმო დარტყმით გავიდა, თან ბურთი ვიგოელ მეკარე ხოსე მანუელ პინტოსაგან ოცდაათიოდე მეტრით იყო დაშორებული. რა ძნელი მისახვედრია, შესრულება რობერტო კარლოსმა ითავა...

გაივსო „კამპ ნოუ“, 98 ათასი მაყურებელი მივიდა თამაშზე, თუმცა რაკი „ბარსელონას“ მეტოქე თანაქალაქელი „ესპანიოლი“ იყო, საფიქრებელია, რომ გულშემატკივართა მოზრდილი ნაწილი სწორედ სტუმრებს ქომაგობდა.

მატჩი ისე დასრულდა, როგორც ბოლო 18 წელი მთავრდებოდა — „ესპანიოლმა“ ვერც ამჯერად შეძლო სახელოვანი მეზობლის დამარცხება. ორი გოლი შეაგდო რივალდომ, რომელმაც, ფიგუსი არ იყოს, გაიხსენა, რომ მეორე დღეს შესაძლოა ის გამხდარიყო წლის საუკეთესო ფეხბურთელი. ამასთანავე, ბრაზილიელის მეორე, პენალტით გატანილმა გოლმა (კლუივერტის წაქცევისთვის დაინიშნა), ის ბომბარდირთა დავაში მეორე პოზიციაზე გადაიყვანა. ძალიან ლამაზი გამოდგა ხავის უშორესი გასროლილი, ხოლო „ბარსელონას“ ბოლო გოლი თანაგუნდელთა შორის ურთიერთგაგების ჩინებულ მაგალითად გამოდგება — კლუივერტი ესპანიოლელთა საჯარიმოში შეიჭრა და მეკარის პირისპირ აღმოჩნდა, თუმცა ბოლო ბარიერის გადალახვას ბურთის ქუსლით უკან დაგორება ამჯობინა, თან უკან ვინ ედგა, არ იცოდა, იქ კი ლუის ენრიკე აღმოჩნდა. მასპინძლებს გრაფიკი დაეხმარა ყმაწვილი მეკარე ხუან მანუელ რეინა, რომელსაც ორჯერ მოუხდა ამაოდ გადახტომა.

„ოვიედო“ ამ ტურამდე მერვე ადგილზე იყო, იქ სადაც ახლაა, „ბილბაო“ კი მეთხუთმეტეზე ცოდვილობდა. მიუხედავად ამისა, ფრანსისკო იესტემ (ორჯერ), ხავი გონსალესმა და იულენ გერერომ ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს ოვიედოელებს. ამგვარი რამეები ხშირად ხდება და ამ შემთხვევაში გასაოცარი მით უფრო არაფერია, თუ გავიხსენებთ: „ოვიედო“ ერთადერთი გუნდია პრიმერადივიზიონში, სტუმრად მოგება კი არა, ერთი გოლიც რომ არ გაუტანია.

უფრო მოულოდნელი იყო „მალიორკას“ ფრე „ოსასუნასთან“. ბოლო სამი ტურია, ბალეარის კუნძულელებს დივიზიონის დებიუტანტებთან უწევს თამაში და მხოლოდ ოთხი ქულა მოიპოვეს. გავიხსენოთ, რომ „მალიორკამ“ იქამდე „რეალიც“ დაამარცხა და „ბარსელონაც“.

დივიზიონის ბომბარდირ ხავი მორენოს 69-ე წუთზე გატანილი გოლი კარგს არაფერს უქადდა სანტანდერელთა ახალ თავკაცს გრეგორიო მანსანოს, თუმცა ბოლო ათ წუთში ვაშინგტონ ტაისისა და ხოსე ამავისკას გოლებმა მწვრთნელს სადებიუტო მატჩში ხასიათი გამოუკეთა — მანსანომ გამარჯვებით დაიწყო.

ერთი სახალისო ამბავიც: პრინცესა კრისტინას ახლახან მეორე შვილი შეეძინა, პაბლო ნიკოლასი, რომელსაც ხუან გასპარმა „ბარსელონას“ სეზონური აბონემენტი აჩუქა. ყრმა პრინცს „ბარსელონა“ და საერთოდ ფეხბურთი ჯერ არ აღელვებს, მისმა მამამ ინაკი ურდანგარინმა კი საჩუქრით გაიხარა — ის ხომ „ბარსელონას“ და ესპანეთის ხელბურთელთა ნაკრების კაპიტანი იყო.

თუმცა ეს რაა იმასთან შედარებით, რაც მალაგელმა დარიო სილვამ ჩაიდინა: „ვალიადოლიდს“ პირველი გოლი მერვე წამზე გაუტანა. აი, რეკორდი!

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვალენსია | 14 | 8 | 4 | 2 | 25:9 | 16 | 28 | 7 | 6 | 1 | 0 | 17:3 | 14 | 19 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:6 | 2 | 9 |
| 2 | დეპორტივო | 14 | 8 | 4 | 2 | 24:11 | 13 | 28 | 7 | 5 | 2 | 0 | 13:2 | 11 | 17 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:9 | 2 | 11 |
| 3 | რეალი | 13 | 8 | 2 | 3 | 29:16 | 13 | 26 | 6 | 5 | 0 | 1 | 17:5 | 12 | 15 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:11 | 1 | 11 |
| 4 | რაიო ვალეკანო | 14 | 6 | 5 | 3 | 30:20 | 10 | 23 | 7 | 5 | 1 | 1 | 17:6 | 11 | 16 | 7 | 1 | 4 | 2 | 13:14 | -1 | 7 |
| 5 | ბარსელონა | 14 | 7 | 2 | 5 | 27:20 | 7 | 23 | 7 | 5 | 1 | 1 | 15:7 | 8 | 16 | 7 | 2 | 1 | 4 | 12:13 | -1 | 7 |
| 6 | მალიორკა | 14 | 6 | 4 | 4 | 16:15 | 1 | 22 | 7 | 4 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 14 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:9 | -3 | 8 |
| 7 | ალავესი | 14 | 6 | 3 | 5 | 20:14 | 6 | 21 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:4 | 6 | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 10:10 | 0 | 8 |
| 8 | ოვიედო | 14 | 6 | 2 | 6 | 19:22 | -3 | 20 | 7 | 6 | 1 | 0 | 19:8 | 11 | 19 | 7 | 0 | 1 | 6 | 0:14 | -14 | 1 |
| 9 | ვილიარეალი | 14 | 5 | 4 | 5 | 17:18 | -1 | 19 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:9 | -3 | 9 | 7 | 3 | 1 | 3 | 11:9 | 2 | 10 |
| 10 | მალაგა | 14 | 5 | 3 | 6 | 23:23 | 0 | 18 | 7 | 4 | 2 | 1 | 15:10 | 5 | 14 | 7 | 1 | 1 | 5 | 8:13 | -5 | 4 |
| 11 | ბილბაო | 14 | 5 | 3 | 6 | 20:21 | -1 | 18 | 7 | 5 | 0 | 2 | 16:10 | 6 | 15 | 7 | 0 | 3 | 4 | 4:11 | -7 | 3 |
| 12 | ესპანიოლი | 14 | 5 | 3 | 6 | 14:16 | -2 | 18 | 7 | 3 | 1 | 3 | 7:7 | 0 | 10 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | -2 | 8 |
| 13 | სელტა | 14 | 5 | 3 | 6 | 17:20 | -3 | 18 | 7 | 4 | 3 | 0 | 13:7 | 6 | 15 | 7 | 1 | 0 | 6 | 4:13 | -9 | 3 |
| 14 | ლას პალმასი | 14 | 5 | 3 | 6 | 16:29 | -13 | 18 | 7 | 3 | 1 | 3 | 7:12 | -5 | 10 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:17 | -8 | 8 |
| 15 | ვალიადოლიდი | 14 | 3 | 7 | 4 | 14:17 | -3 | 16 | 7 | 3 | 4 | 0 | 8:4 | 4 | 13 | 7 | 0 | 3 | 4 | 6:13 | -7 | 3 |
| 16 | სარაგოსა | 13 | 3 | 6 | 4 | 14:14 | 0 | 15 | 7 | 2 | 4 | 1 | 10:7 | 3 | 10 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | -3 | 5 |
| 17 | რასინგი | 14 | 3 | 4 | 7 | 17:25 | -8 | 13 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:9 | 1 | 11 | 7 | 0 | 2 | 5 | 7:16 | -9 | 2 |
| 18 | ნუმანსია | 14 | 3 | 4 | 7 | 14:22 | -8 | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:8 | -2 | 8 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:14 | -6 | 5 |
| 19 | სოსიედადი | 14 | 3 | 3 | 8 | 15:30 | -15 | 12 | 7 | 1 | 3 | 3 | 9:16 | -7 | 6 | 7 | 2 | 0 | 5 | 6:14 | -8 | 6 |
| 20 | ოსასუნა | 14 | 1 | 7 | 6 | 12:21 | -9 | 10 | 7 | 0 | 4 | 3 | 7:11 | -4 | 4 | 7 | 1 | 3 | 3 | 5:10 | -5 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხავი მორენო (ალავესი) | 10 |
| რივალდო (ბარსელონა) | 8 |
| დელი ვალდესი (მალაგა) | 7 |
| ხუან სანჩესი (ვალენსია) | 7 |
| რაული (რეალი) | 7 |

**XV ტური**
16 დეკემბერი
რაიო — ბარსელონა
ალავესი — დეპორტივო
17 დეკემბერი
ვალენსია — მალაგა
ვალიადოლიდი — ბილბაო
ოვიედო — რასინგი
ესპანიოლი — რეალი
სელტა — მალიორკა
ოსასუნა — ნუმანსია
სარაგოსა — ლას პალმასი
სოსიედადი — ვილიარეალი

## მეორე დივიზიონი

### XVI ტური

**ხეტაფე 0:1 ხაენი**
0:1 პეპელუ (31)

**ლეიდა 1:1 ბადახოსი**
1:0 სიმეონი (20), 1:1 პეპინი (58)

**ეიბარი 2:2 ტენერიფე**
1:0 ლორენტე (6), 1:1 მარტი (20), 2:1 მუტონი (80), 2:2 ლუის გარსია (85)

**ესტრემადურა 1:2 ელჩე**
0:1 ნანო (8), 1:1 ისმაელი (78), 1:2 ჩანგუი (90)

**სალამანკა 1:1 კორდობა**
1:0 კ. მუნტიანუ (11), 1:1 ხუანიტო (77)

**ლეგანესი 1:1 ფეროლი**
1:0 ბარბარინი (24), 1:1 ფრანი (67)

**სევილია 3:1 ატლეტიკო**
1:0 ვიქტორი (36), 2:0 ოლივერა (44), 3:0 დიეგო რიბერა (49), 3:1 სალვა (72)

**ლევანტე 1:1 უელვა**
1:1 სალილიასი (7), 1:1 ოსკარი (56)

**სპორტინგი 5:2 კომპოსტელა**
0:1 ანხო (5), 1:1, 2:1 ლედიახოვი (16, 21), 3:1 სოტო (25), 3:2 ბუდელი (45პ), 4:2 და სილვა (68), 5:2 კამაჩო (81)

**ალბასეტე 0:0 ბეტისი**

**მურსია 1:1 უნივერსიდადი**
1:0 ხილი (87), 1:1 ბაკერო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტენერიფე | 16 | 9 | 4 | 3 | 26:11 | 31 |
| სევილია | 16 | 9 | 3 | 4 | 24:15 | 30 |
| ალბასეტე | 16 | 7 | 5 | 4 | 16:13 | 26 |
| ბეტისი | 16 | 7 | 5 | 4 | 14:11 | 26 |
| უელვა | 16 | 5 | 10 | 1 | 11:6 | 25 |
| კორდობა | 16 | 7 | 4 | 5 | 15:15 | 25 |
| სპორტინგი | 16 | 6 | 6 | 4 | 25:17 | 24 |
| მურსია | 16 | 6 | 6 | 4 | 25:19 | 24 |
| ლევანტე | 16 | 5 | 9 | 2 | 23:17 | 24 |
| ხაენი | 16 | 7 | 3 | 6 | 13:15 | 24 |
| სალამანკა | 16 | 6 | 5 | 5 | 15:15 | 23 |
| ლეგანესი | 16 | 4 | 9 | 3 | 20:16 | 21 |
| ბადახოსი | 16 | 4 | 9 | 3 | 14:14 | 21 |
| ეიბარი | 16 | 4 | 8 | 4 | 12:11 | 20 |
| ესტრემადურა | 16 | 5 | 5 | 6 | 14:16 | 20 |
| ელჩე | 16 | 5 | 5 | 6 | 20:24 | 20 |
| ატლეტიკო | 16 | 4 | 6 | 6 | 17:18 | 18 |
| ხეტაფე | 16 | 4 | 5 | 7 | 16:22 | 17 |
| კომპოსტელა | 16 | 4 | 2 | 10 | 14:30 | 14 |
| ფეროლი | 16 | 3 | 4 | 9 | 16:24 | 13 |
| ლეიდა | 16 | 2 | 5 | 9 | 16:25 | 11 |
| უნივერსიდადი | 16 | 1 | 6 | 9 | 10:22 | 9 |



მარსელი — ნანტი 2:0. ჟორჟ ვეამ და სებასტიან პერესმა მატიე ბერსონის (მუქ ფორმაში) აქამდე ლიდერი „ნანტი“ დაამარცხეს

# ფერნანდესმაც დაიწყო

## საფრანგეთი

XX ტური

**მარსელი 2:0 ნანტი**

1:0 ბელმადი (1), 2:0 მარსელინიო (19)

**ბორდო 2:1 სენტ ეტიენი**

0:1 სარი (29), 1:1 ვილმოტსი (31), 2:1 პაულეტა (55)

**პარი სენ ჟერმენი 1:0 მეცი**

1:0 ანელკა (47)

**ლილი 2:0 სედანი**

1:0 სტერიოვსკი (8), 2:0 კოლო (90)

**გენგამი 2:2 მონაკო**

1:0 როდრიგესი (27), 2:0 ფიორეზე (45), 2:1 ლაკომბი (74), 2:2 რიისე (86)

**ლიონი 1:0 ბასტია**

1:0 მარლე (32)

**სტრასბური 1:1 რენი**

0:1 შამუ (16), 1:1 ბერტენი (68)

**ტულუზი 1:0 ლანსი**

1:0 ბონილია (80)

**ოსერი 2:2 ტრუა**

1:0 გივარში (16პ), 1:1 გუსე (54), 2:1 გივარში (67პ), 2:2 გუსე (82)

**საფრანგეთში** მორიგი ლიდერთმონაცვლეობაა. ერთნაირი ანგარიშით დამარცხებულ „ნანტსა“ და „სედანს“ „სენტ ეტიენის“ მძლეველმა „ბორდომ“ გადაასწრო, თუმც დაკარგული ქულებით პირველობას მაინც „ნანტი“ ინარჩუნებს — თბილისის დაძმობილებული ქალაქის კლუბს ერთი თამაში აქვს მარაგში, რომელსაც ოთხშაბათს გამართავს.

სედანელები ლილში დამარცხდნენ. ორივე გუნდმა აქცენტი შეტევაზე გააკეთა. მასპინძლები სწრაფად დაწინაურდნენ — პეირლადმა სტერიოვსკის კარგი პასი მისცა და „ლილის“ ავსტრალიელ ლეგიონერსაც ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია. ამის მერე სახიფათო მომენტები ძირითადად გრეგორი ვიმბეს კართან იქმნებოდა, მაგრამ სტუმრებმა გოლის გატანა ვერაფრით მოახერხეს. მატჩის მიწურულს მათი მეკარე საშიც კი ჩაერთო იერიშში და გოლიც გავიდა... ოღონდ ბურთი უპატრონოდ მიტოვებულ „სედანის“ კარში შეგორდა.

მეორე ლიდერ „ნანტს“ „მარსელმა“ გაუტანა ორი გოლი, ოღონდ ამისთვის გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდა. სამხრეთელთა ბასკ მწვრთნელ ხავიერ კლემენტეს ნერვიულობა და სიგარეტის მოწევა ჯერ დაწყებული არ ჰქონდა, ჯამელ ბელმადიმ რომ გაახარა. „ოლიმპიკის“ საუკეთესო მეგოლე ნანტელებმა უყურადღებოდ დატოვეს და მანაც თამაშის დაწყებიდან 20 წამში ჟორჟ ვეას პასით გაუტანა ლანდროს. სტუმრებს გათანაბრების შანსი მე-18 წუთზე მიეცათ, როცა ბრუნო ნგოტიმ სალომონ ოლემბესთან ჭიდილისას საკუთარ საჯარიმოში თამაშის წესები დაარღვია, თუმც შეხვედრის არბიტრმა თერთმეტმეტრიანის დანიშვნა არ ინება.

რამდენიმე წამში კი მარსელინიომ თავისი ნახევრიდან წამოიწყო კონტრიერიში. ბრაზილიელმა მთელი მოედანი გადალახა, ივ დეროფს გასცდა და მიკაელ ლანდროსთან პირისპირ დარჩა. მეკარემ მისი დარტყმის შემდეგ ბურთს ხელი კი წაატანა, მაგრამ თავისიანები გოლისგან მაინც ვერ იხსნა. დარჩენილ დროში „მარსელი“ ძირითადად დაცვაზე ფიქრობდა, „ნანტი“ კი გააფთრებით უტევდა და უამრავი შანსიც ჰქონდა გოლის გატანისა, განსაკუთრებით მოლდოვანს, მაგრამ კლემენტეს გასახარად, მისი ხელძლვანელობით გუნდმა მეორედ გაიმარჯვა.

„ყოველთვის ასე კარგად ვერ დავიწყებთ. „ნანტთან“ ფიზიკურად ძალიან გაგვიჭირდა და ბურთის მოპოვებასაც დიდ ენერგიას ვახარჯავდით. ლიდერის დამარცხება ფსიქოლოგიურადაც მეტად მნიშვნელოვანი იყო. სამუშაო ჯერაც ბევრია, რაც მთავარია, საქმის კეთება გვსურს. ამიტომ დარწმუნებული ვარ, „მარსელი“ თამაშსა და სატურნირო მდგომარეობას ნელ-ნელა აუცილებლად გამოასწორებს“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ხავიერ კლემენტემ.

მოიგო კიდევ ერთი ახალი მწვრთნელის გუნდმაც. „პარი სენ ჟერმენს“ ჩემპიონატში 21 ოქტომბრის შემდეგ აღარ ემარჯვა, საერთოდ კი 24 ოქტომბრიდან მოყოლებული. ამ დროის განმავლობაში პსჟ-მ 7 თამაში წააგო და 2 ფრედ დაამთავრა. ლუის ფერნანდესიც ამიტომ დაბრუნდა პარიზში. მისი თავკაცობით დედაქალაქელებმა ჩემპიონთა ლიგაში პირველი შეხვედრა კი დათმეს „გალათასარაისთან“, მაგრამ ამჯერად ნიკოლა ანელკას ერთადერთი გოლის წყალობით შინ „მეცს“ აჯობეს. ისე კი, პსჟ-მ დიდი ვერაფერი ითამაშა — ფერნანდესი მხოლოდ დაცვით იყო კმაყოფილი.

გაიოზ თალაკვაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 20 | 9 | 7 | 4 | 27:16 | 34 |
| ნანტი | 19 | 10 | 3 | 6 | 32:23 | 33 |
| სედანი | 20 | 9 | 6 | 5 | 30:21 | 33 |
| ლილი | 19 | 8 | 6 | 5 | 20:14 | 30 |
| ლანსი | 20 | 8 | 6 | 6 | 23:19 | 30 |
| გენგამი | 20 | 8 | 5 | 7 | 23:24 | 29 |
| ლიონი | 19 | 6 | 10 | 3 | 23:16 | 28 |
| პსჟ | 19 | 8 | 4 | 7 | 30:28 | 28 |
| ბასტია | 19 | 8 | 4 | 7 | 21:19 | 28 |
| ტრუა | 20 | 7 | 6 | 7 | 24:28 | 27 |
| რენი | 20 | 7 | 5 | 8 | 20:19 | 26 |
| მონაკო | 20 | 7 | 5 | 8 | 28:28 | 26 |
| ოსერი | 20 | 7 | 5 | 8 | 21:24 | 26 |
| სენტ ეტიენი | 20 | 6 | 6 | 8 | 27:29 | 24 |
| მარსელი | 20 | 7 | 3 | 10 | 21:25 | 24 |
| მეცი | 20 | 5 | 6 | 9 | 15:24 | 21 |
| ტულუზი | 19 | 4 | 6 | 9 | 17:22 | 18 |
| სტრასბური | 20 | 4 | 5 | 11 | 16:39 | 17 |

### მეორე დივიზიონი

23-ე ტური: ანჟერი — შატორუ 2:1; კანი — ლე მანი 0:0; გენიონი — ნიმი 3:3; ლავალი — კრეტეი 3:2; ლე ავრი — მარტიგი 0:0; ლორიანი — კაენი 1:1; მონპელიე — აიაჩო 2:0; ნანსი — ნიცა 3:1; ვასკეალი — ბოვე 0:2; სოშო — ნიორი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოშო | 23 | 13 | 7 | 3 | 42:15 | 46 |
| მონპელიე | 23 | 12 | 9 | 2 | 35:18 | 45 |
| ლორიანი | 22 | 12 | 8 | 2 | 33:18 | 44 |
| ლავალი | 23 | 12 | 5 | 6 | 28:19 | 41 |
| ნიორი | 23 | 11 | 7 | 5 | 37:23 | 40 |
| ნანსი | 22 | 10 | 6 | 6 | 28:15 | 36 |
| შატორუ | 22 | 8 | 8 | 6 | 28:23 | 32 |
| ლე ავრი | 23 | 6 | 12 | 5 | 28:24 | 30 |
| ლე მანი | 23 | 6 | 11 | 6 | 25:24 | 29 |
| ნიმი | 23 | 7 | 8 | 8 | 32:35 | 29 |
| გენიონი | 23 | 7 | 8 | 8 | 24:31 | 29 |
| კრეტეი | 23 | 7 | 7 | 9 | 24:26 | 28 |
| კაენი | 23 | 6 | 8 | 9 | 22:32 | 26 |
**გიორგი ბიკაშვილი**

„აკოლაშვილია, ქრისტე ღმერთი ხომ არა“ — „დინამოს“ აღშფოთებულმა გულშემატკივარმა ეს ფრაზა მას შემდეგ წამოისროლა, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი საქომაგო გუნდი შეხვედრის გადამრჩენი აღარ იყო. პირტიტველა ყმაწვილკაცების „ვითა“ ყველაფერში ჩაგრავდა ბოლო დროს აღმავლობის გზაზე მდგომ „დინამოს“ და ვერც აკოლაშვილი ახდენდა მოედანზე სასწაულებს. ყოველივე კი ლევან მოსეშვილის გუნდის მარცხს მოასწავებდა.

არადა, „ვითასთვის“ ვალი ჰქონდა დასაბრუნებელი „დინამოს“, რადგან ამ გუნდთან პირველ წრეშიც წააგო. მას შემდეგ საგრძნობლად მოღონიერებულმა „დინამომ“ შეხვედრაც ისე დაიწყო, იფიქრებდით, წყენას არ შეირჩენსო. დავით თორთლაძემ სრულად იგდო ხელთ მატჩის სადავეები და პირველ მეოთხედში მეტოქეს სამქულიანების თავსხმა დაატეხა. საწყისი ათწუთეული სწორედ თორთლაძის ძალისხმევითა და კონჯარიას სიზუსტის წყალობით მოიგო „დინამომ“, თანაც დამაიმედებელი სხვაობით.

მეორე მეოთხედში მონაგარს ექვსი ქულაღა წამატა „დინამომ“, მაშინ, როცა გელა წულაძის „ვითამ“ 31 ქულის მოგროვება შეძლო. ლევან მოსეშვილი ერთხანს აუღელვებლად შესცქეროდა მოედანზე განვითარებულ მოვლენებს, მერე კი ძალიან განარისხა შეგირდების უსუსურობამ და შემადგენლობის შეცვლით სცადა მდგომარეობის გამოსწორება. გვიანი იყო, ფრთაშესხმულმა „ვითამ“ მეტოქეს ჯერ ანგარიში გაუთანაბრა, მალე წინაც გავიდა და ტაიმის ბოლო შვიდი წუთი სულაც უქულოდ გაატარებინა.

შესვენების შემდეგ მესამე წუთზეღა ახსნა ჯადო დავით აკოლაშვილმა „ვითას“ კალათს. ლამის ათწუთიანი მონაკვეთის 0:27 წამგები „დინამოსთვის“ ეს ვერაფერი ნუგეში იყო, მეტოქეს მარაგში 15 ქულა ჰქონდა — 57:42. უკანახაზელთა ძალისხმევით ერთხანს თითქოს უკეთ ათამაშდა „დინამო“, მაგრამ ორივე ფარზე გაბატონებული „ვითა“ მოსეშვილის გუნდს ახლოს არ იკარებდა. მდივანს, ბარბაქაძესა და ჭირაქაძეს საიმედოდ ჰყავდათ შებოჭილი „დინამოს“ მაღლები, გამთამაშებელი გიორგი მარხვაშვილი კი საუცხოო დრიბლინგით და უსწრაფესი გარღვევებით თავბრუს ახვევდა მოწინააღმდეგეს.

„დინამომ“ ისღა მოახერხა, რომ შეხვედრის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ლადო აბულაძის სამქულიანით სხვაობა 7 ქულამდე შეამცირა. ამის მერეც მიეცა „დინამოს“ ჩამორჩენის აღმოფხვრის შანსი, მაგრამ შეტევაში რამდენჯერმე უხეშად შეცდა, რაც საბოლოო ჯამში ძვირად დაუჯდა. გიორგი მარხვაშვილმა და მისმა სეხნია მდივანმა მალევე მოუთავეს ხელი მეტოქეს, დავით აკოლაშვილმა კი ზედიზედ მესამედ ველარ მოახდინა სასწაული...

კვირადღის მეორე მატჩში ჩემპიონატის უდანაკარგო ლიდერი, ბათუმის „ბასკო“ ყოველმხრივ მობილიზებული წარდგა „მაკაბის“ წინააღმდეგ. როგორც მოსალოდნელი იყო, ზღვისპირულმა გუნდმა სასურველი თამაში მოახვია მეტოქეს თავს და პირველი მეოთხედის მიწურულს 11-ქულიანი უპირატესობაც დაიბევა. სურათი არც მერე შეცვლილა, მუდამ წინ მყოფი „ბასკო“ თავს ზედმეტად აღარ იტკივებდა, „მაკაბი“ კი ერთი შეხედვით, საპატიო სხვაობით წაგებაზე ზრუნავდა.

„ბასკო“ მეტოქის ანკესზე წამოეგო, იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული ზურაბ ტომარაძის გუნდი შესვენების შემდეგ საგრძნობლად მოეშვა, „მაკაბიმ“ კი წვრილ-წვრილი ჩხვლეტა აღარ იკმარა და ბრჭყალები ბოლომდე გამოაჩინა. ზედიზედ ორჯერ გოჩა წოწელიამ გაარღვია ბათუმელთა დაცვა და თავადვე დააგვირგვინა შეტევები, დავით სარიშვილმა კი შორი მანძილიდან ივარგა და შედეგად მისი „მაკაბი“ უკანასკნელი ათწუთეულის დაწყებამდე 3 ქულითღა ჩამორჩებოდა „ბასკოს“.

დაიწყო ბოლო მეოთხედი და დიდიე დაჩუმიმ სხვაობა მინიმალური გახადა. მალე ირაკლი შანიძემ ჩაუგდო „ბასკოს“ სამქულიანი, თანაგუნდელს დავით სარიშვილმაც მიბაძა და „მაკაბი“ 5 ქულით დაწინაურდა — 74:69. ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ საქმეში ვახტანგ ნაცვლიშვილი ჩართო, რომელიც რისხვად დაატყდა თავს მეტოქეს. ვატომ ლიდერობა ითავა და დაბნეულ თანაგუნდელებს გამარჯვების რწმენა დაუბრუნა. „ბასკოს“ კაპიტანი თავისი გუნდისთვის ყველაზე კრიტიკულ მომენტში შეუდარებელი იყო, ზედიზედ 8 ქულა მოინაგრა და „მაკაბი“ კვლავაც მდევრად აქცია. ნაცვლიშვილს თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი, მთლიანობაში ოთხწუთეული 14:0 მოიგო „ბასკომ“ და მისი დამარცხების მომლოდინეთ ცივი წყალი გადაასხა.

უმწვრთნელოდ დარჩენილმა „შევარდენმა“, დასაკარგი რა მაქვსო და თვით მრისხანე „აზოტის“ ძლევა ამოიჭრა გულში. ოთარ ხმელიძის გუნდს მედგრად შეებრძოლნენ საავიაციოქარხნელები. პირველი მეოთხედის ოდენ 4 ქულით წაგების შემდეგ „შევარდენმა“ საკუთარი ძალების მეტად ირწმუნა და ინერტულად მოთამაშე ვიცე-ჩემპიონს ჯერ გაუთანაბრა, მერე კი წინაც გავიდა — 26:23.

ტაიმი მხოლოდ ორი ქულით მოიგო ფავორიტად მიჩნეულმა რუსთაველმა გუნდმა. შესვენების შემდეგაც კარგა ხანს ქულა-ქულაში გაგრძელდა თამაში, მერე კი, ბოლოს და ბოლოს, „აზოტმაც“ გამოიღო ხელი. მის რიგებში ყველაზე შესამჩნევი ფიგურა კახა შენგელია იყო, მან ფარი დაიპყრო და რუსთაველებსაც ბევრად უკეთ წაუვიდათ საქმე. ექვსწუთიანი მონაკვეთი „აზოტმა“ 19:0 მოიგო და უკლებლივ ყველა კითხვას პასუხი გაეცა. ამის შემდეგ ხმელიძემ სათადარიგოები დაასაქმა და ასეც იოლად მიაღწია მისმა გუნდმა საწადელს.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჩემბერლენს ანტირეკორდიც მოუხსნეს

2 დეკემბერი

**პორტლენდი 94:107 ფილადელფია**
პორტლენდი: სმიტი (17)
ფილადელფია: აივერსონი (30 ქულა, 10 პასი), რეთლიფი (13 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 86:84 ფინიქსი**
ნიუ ჯერსი: ვილიამსი (23), დუგლასი (22)
ფინიქსი: რობინსონი (25), მარიონი (13)

**ლეიკერსი 95:103 სიეტლი**
ლეიკერსი: ონილი (26 ქულა, 17 მოხსნა, 5 დაფარება), ბრაიანტი (19)
სიეტლი: პეიტონი (25 ქულა, 10 პასი), ლუისი (20)

**ბოსტონი 91:104 ინდიანა**
ბოსტონი: პირსი (29), სტიტი (25), უოლკერი (16 ქულა, 12 პასი, 10 მოხსნა)
ინდიანა: ბესტი (27 ქულა, 10 პასი), როუზი (25)

**შარლოტი 92:87 კლიპერსი**
შარლოტი: ვესლი (20)
კლიპერსი: მაკინისი (21)

**დალასი 105:86 ჩიკაგო**
დალასი: ნეში (22)
ჩიკაგო: ელ ამინი (18)

**საკრამენტო 111:98 ჰიუსტონი**
საკრამენტო: ვებერი (37 ქულა, 10 მოხსნა)
ჰიუსტონი: ფრენსისი (20 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა)

**მაიამი 80:76 ატლანტა**
მაიამი: ჯონსი (23)
ატლანტა: ს. ჰენდერსონი (22 ქულა, 12 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 92:108 ტორონტო**
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (28), ჰიუზი (28)
ტორონტო: კარტერი (29), ვილიამსონი (22), დევისი (21 ქულა, 10 მოხსნა)



ლეიკერსი — დეტროიტი. შაკილ ონილი (მარცხნივ) დეტროიტელ ერიკ მონტროსს უფარებს

AP ლოს ანჯელესიდან

ამერიკელები შაკილ ონილს ხშირად ადარებენ უილტ ჩემბერლენს: შაკი ცხონებული უილტივით დიდია, თავისი უზარმაზარი სხეულის კვალობაზე საკმაოდ მოქნილი და ფარსაც მისებრ იპყრობსო. ამისთანა კაცის გვერდით რომ დაგაყენებენ, ვის არ ესიამოვნება, ონილიც ცდილობს, ბევრის აზრით, მსოფლიოს ყველა დროის უძლიერეს ცენტრს არაფერში ჩამორჩეს. ამ უქმეებზე ონილმა ლეგენდარული წინამორბედის ერთი (ანტი) რეკორდი დაამხო. მოგეხსენებათ, საჯარიმოს ხაზთან მდგომი ონილი თავს საკუთარ სტიქიაში ვერ გრძნობს და მისი უამრავი გაფუჭებული საჯარიმო ყველასგან ჩვეულებრივ ამბად აღიქმება. მაგრამ ამ პარასკევს „სიეტლთან“ შეხვედრაში შაკმა საკუთარ თავსაც აჯობა, ჩემბერლენსაც და ყველა სხვას, ვისაც ნბაში ოდესმე უთამაშია. მან იმ მატჩში თერთმეტი საჯარიმოდან ყველა ააცილა და ჩემბერლენის მიერ ორმოცი წლის წინ დამყარებული ანტირეკორდი ერთით გააუმჯობესა.

„სიეტლთან“ შეხვედრაში ონილის ხელმარცხიანობას თანაგუნდელებისაც დაერთო. „ლეიკერსმა“ ბოლო მეოთხედის ხუთწუთიან მონაკვეთში ქულაც ვერ გააკეთა და მიმდინარე სეზონში უკვე მეორედ (ამჯერად შინ) შერცხვა „სიეტლთან“, რომელსაც, რა დასამალია და დღესდღეობით ნამდვილად ვერ ულხინს. „სიეტლის“ რიგებში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა ბებერმა ცენტრმა პატრიკ იუინგმა, რომელიც მთელი თამაშის განმავლობაში სისხლს უშრობდა ონილს, ზემოხსენებული ხუთი წუთის მანძილზე კი ბენეფისი მოიწყო, ორი მნიშვნელოვანი ბურთი ჩაუგდო ჩემპიონებს, დაცვაში კი სალ კლდედ აღიმართა და სამი დაფარება და ოთხი მოხსნა მიითვალა (სულ იუინგს თამაშში 10 ქულა, 16 მოხსნა, 4 დაფარება და 2 ჩაჭრა მოუგროვდა). იუინგის მაგალითით გამხნევებული მისი ჯეელი თანაგუნდელებიც, რასაც სურდათ, იმას აკეთებდნენ. მასპინძელთაგან ნავსი აიზია რაიდერმა (16 ქულა) გატეხა. თუმც ბოლო წამებზე ჩაგდებული მისი სამქულიანი ერთადერთი ბურთი გამოდგა, რომელიც „ლეიკერსმა“ ფინალურ ხუთ წუთში გაახერხა და ამან, ცხადია, გაფუჭებულ საქმეს ვერ უშველა.

აღმოსავლეთის ლამის ერთადერთი ხეირიანი წარმომადგენელი, „ფილადელფია სიქსერზი“ პორტლენდს ეწვია და იქაური „ბლეიზერსი“ გაამწარა. პირველ ტაიმში მასპინძლები ამაოდ ებრძოდნენ ერთ კაცს, 183-სანტიმეტრიან ალენ აივერსონს, რომლისგანაც საკუთარ კალათში 25 ქულა მიიღეს და ტაიმი 7 ქულით წააგეს. მეორე ტაიმში მასპინძლებმა, როგორც იქნა, მოიშორეს უმთავრესი თავის ტკივილი, მოღლილი აივერსონი მათი კალათის მისადგომებს ვეღარ არბევდა, მაგრამ ამით „პორტლენდს“ მაინც არ ეშველა, რადგან მისმა უსუსურმა — შეტევამ სულ 36 ქულა მოინაგრა, მეტოქისგან კი 48 მიიღო.

წინა ორ შეხვედრაში 51-51 ქულის ჩამგდები გოლდენსტეიტელი ანტაუნ ჯემისონი „ტორონტოსთან“ 28 ქულას „დასჯერდა“. „ვორიორზს“ ერთი ამდენი ჰიუზმაც შეაშველა, თუმც მათი გუნდისთვის ეს მაინც ვერაფერი ნუგეში იყო. ტრამამოშუშებულმა ტორონტოელმა ვინს კარტერმა მცირე შესვენების შემდეგ კვლავ გაიბრწყინა და სანფრანცისკოელთა გულის გასახეთქად, „ტორონტოს“ მოაგებინა.

9 დეკემბერი

**კლივლენდი 97:90 ატლანტა**
კლივლენდი: მიურეი (18)
ატლანტა: ტერი (32)

**ინდიანა 99:96 შარლოტი**
(ძირითადი დრო 86:86)
ინდიანა: როუზი (36), მილერი (18)
შარლოტი: მაშბურნი (28), კემპბელი (18 ქულა, 13 მოხსნა)

**მინესოტა 85:73 კლიპერსი**
მინესოტა: გარნეტი (23), შჩერბიაკი (19 ქულა, 12 მოხსნა)
კლიპერსი: რიჩარდსონი (12)

**ვანკუვერი 79:83 ფილადელფია**
ვანკუვერი: დიკერსონი (20)
ფილადელფია: აივერსონი (18)

**სიეტლი 104:111 ჰიუსტონი**
სიეტლი: პეიტონი (35 ქულა, 15 პასი)
ჰიუსტონი: ფრენსისი (21 ქულა, 10 პასი), ტეილორი (20), ოლაჯუონი (17)

**პორტლენდი 114:83 დეტროიტი**
პორტლენდი: სტუდემაიერი (21), სმიტი (19)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (26)

**იუტა 125:114 გოლდენ სტეიტი**
იუტა: მელოუნი (25), რასელი (23)
გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (27), ჯემისონი (26 ქულა, 10 მოხსნა), ჯეკსონი (20)

**მილუოკი 99:91 ვაშინგტონი**
მილუოკი: რობინსონი (28 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), ალენი (22)
ვაშინგტონი: ჰამილტონი (19)

**სან ანტონიო 105:81 ჩიკაგო**
სან ანტონიო: დანკანი (17 ქულა, 10 მოხსნა)
ჩიკაგო: ბრენდი (23)

**ნიუ იორკი 96:88 დენვერი**
ნიუ იორკი: სპრიუელი (29), ჰიუსტონი (21)
დენვერი: ვან ექსელი (24), მაკდაიესი (21 ქულა, 15 მოხსნა)

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში „სიეტლ სუპერსონიქსზე“ არასტაბილურ გუნდს, ძალიანაც რომ ეცადოთ, ვერ მოძებნით. „ზებგერითებმა“ ჯერ ლოს ანჯელესში ჩემპიონ „ლეიკერსს“ სძლიეს, მეორე დღეს კი უპრეტენზიო „ჰიუსტონს“ ვეღარ მოერივნენ. „სონიქსის“ ლიდერმა გერი პეიტონმა ამაოდ იშრომა, თანაგუნდელებმა გარჯა წყალში ჩაუყარეს. პეიტონს სანუგეშოდ ისღა დარჩა, რომ ამ შეხვედრის შემდეგ კარიერაში 14019 ქულა მოუგროვდა, რითაც ფრედ ბრაუნს გაუსწრო და „სიეტლის“ ყველა დროის საუკეთესო მექულედ იქცა.

ვიცე-ჩემპიონი „ინდიანა“ ძველებურად ვეღარ ყოჩაღობს, მიმდინარე სეზონში საშუალო. გუნდის დონემდეც დაქვეითდა და ცენტრალური დივიზიონის ცხრილის სიღრმეშიც დაყვინთავდა, ჯალენ როუზი რომ არ ჰყოლოდა. ტრავმამოშუშებული როუზი თანდათან ძველ ფორმას იბრუნებს და შაბათს „შარლოტს“ კარიერაში ყველაზე ბევრი — 36 ქულა ჩაუგდო, რისი წყალობითაც „ინდიანამ“ კერკეტი მეტოქე ოვერტაიმში გატეხა. როუზმა უხეიროდ დაიწყო, პირველ ტაიმში სულ 6 ქულა გააჩერხა, მერე კი აიწყვიტა და თანაგუნდელებიც აიყოლია. შეხვედრის ბედი ოვერტაიმში გადაწყდა, სადაც როუზმა 6 ქულა მიითვალა, მისმა თანაგუნდელმა რეჯი მილერმა კი შეხვედრის დამთავრებამდე ექვსი წამით ადრე ორი საჯარიმოთი 98:93 წინ გაიყვანა მასპინძლები და ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

„პორტლენდის“ ძლევის შემდეგ „ფილადელფია“ ვანკუვერს ესტუმრა და იქიდანაც ხელდამშვენებული დაბრუნდა შინ. „სიქსერზის“ ლიდერ ალენ აივერსონს კარგა ხანია, ასე უხეიროდ არ უსვრია. მან 20 სროლიდან 14 გააფუჭა, თუმც რაც ჩააგდო, ყველა მნიშვნელოვანი იყო. „დათვებზე“ მონადრირეთ იქნებ ვერც ემარჯვათ, მასპინძლებს ბოლო მეოთხედში 9 (!) ქულაზე ცოტა მეტი რომ გაეკეთებინათ.

10 დეკემბერი

**ნიუ ჯერსი 73:99 დალასი**
ნიუ ჯერსი: მარტინი (18)
დალასი: ნოვიცკი (31), ფინლი (21)

**ტორონტო 87:95 ფინიქსი**
ტორონტო: კარტერი (35 ქულა, 12 მოხსნა)
ფინიქსი: კიდი (24), რობინსონი (22)

**ლეიკერსი 112:88 დეტროიტი**
ლეიკერსი: ონილი (26 ქულა, 12 მოხსნა), ბრაიანტი (26)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (30), სმიტი (23)

**ბოსტონი 104:102 დენვერი**
(ძირითადი დრო 91:91)
ბოსტონი: პირსი (23), უოლკერი (26 ქულა, 11 მოხსნა)
დენვერი: მაკდაიესი (37 ქულა, 18 მოხსნა), ლენარდი (21)

**საკრამენტო 101:97 მაიამი**
საკრამენტო: ვებერი (19 ქულა, 10 მოხსნა)
მაიამი: ჰარდევეი (25), გრანტი (19 ქულა, 16 მოხსნა)

**ირაკლი ფირცხალაიშვილი**



ესპანელები და დევისის თასი

# ესპანეთს ორი მეფე ჰყავს

**დევისის თასის ფინალი**
**ესპანეთი 3:1 ავსტრალია**

*ასრულდა, ესპანეთი მსოფლიოს რიგით მეათე ქვეყანა გახდა, ვისაც მსოფლიოს გუნდური საჩოგბურთო ჩემპიონატის — დევისის თასის მთავარი ჯილდოს ხელთ პყრობის პატივი ერგო. ის, რაც თავის დროზე მანოლო სანტანამ, მანუელ ორანტესმა და სერხი ბრუგერამ ვერ შეძლეს, 20 წლის ძვალტყავა ხუან კარლოს ფერერომ მოუტანა თავის ქვეყანას.*

*არადა, მასპინძელთათვის ყველაფერი ცუდად დაიწყო...*

**ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 3:6, 6:1, 2:6, 6:4, 6:4**

ლეიტონ ჰიუიტს ესპანეთში ტკბილი მიღების იმედი ნამდვილად არ უნდა ჰქონოდა. მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღით ადრე მასპინძელთა ლიდერ ალექს კორეჩას თამაშისას ხმამაღალი ყვირილითა და მუშტების ღერებით ნერვები მოუშალა და მოგვიანებით სალამი დაუგვიანა, ბარსელონელი ქომაგები წინასწარ ილესავდნენ კბილებს ავსტრალიელზე.

12 ათასმა წითელ-ყვითლად გალებილმა ესპანელმა ენერგიული ოზის წყობიდან გამოსაყვანად პარასკევს ფრიადი ილრიალა, ბარე არა ერთმა და ორმა ხმის იოგებიც დაიწყვიტა, თუმცა ამან ჰიუიტს ვერაფერი დააკლო: „ჩემთვის ეს მხოლოდ დამატებითი სტიმული იყო მოსაგებად. ისე, ასეთი საშინელი ქომაგობა არასოდეს მინახავს. პირველსა და მეორე მოწოდებას შორის სტვენას, ან ჩემს ორმაგ შეცდომებზე ტაშის ცემას კიდევ მიჩვეული ვარ, მაგრამ გათამაშებების დროს ხმაური რაღა უბედურებაა, ეს ხომ ფეხბურთის მატჩი არ არის".

19 წლის ავსტრალიელმა მატჩის დასაწყისში ზედიზედ 5 გეიმი წააგო, მერე სეტებშიც 1:2 ჩამორჩა, მაგრამ თავისზე გაცილებით გამოცდილ, თიხნარზე ჭიპმოჭრილ მეტოქეს თავი მაინც არ დააჩაგვრინა. მეხუთე, გადამწყვეტ ხელში ჰიუიტმა ასევე მეხუთე გეიმში აართვა კოსტას მოწოდება და ამ უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნება მოახერხა. უკანასკნელ გეიმში ოზს მეტად გაუჭირდა, სამი უნებლიე შეცდომით ესპანელს სამმაგი ბრეიკ-პოინტი უწყალობა, თუმცა საქმე თავადვე გამოასწორა და ოთხ საათზე მეტად გაწელილი მატჩი ბადესთან გასვლით დაასრულა.

როდესაც კოსტამ პირველივე მატჩ-პოინტზე ბურთი აუტში გაგზავნა, ჰიუიტის ყვირილმა ყველა ქომაგის ხმა გადაფარა: „შეიძლება ისე ჩანდეს, რომ სულ ამ სიტყვებს ვიმეორებ, მაგრამ ამ მოგებამ ცხოვრებაში ყველაზე მეტად გამახარა. ცოტა ის მაღელვებდა, რომ ავადმყოფობის გამო ფიზიკურად კარგად არ ვიყავი მომზადებული. საბედნიეროდ, ყველაფერი მოგვარდა".

**ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) — პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) 6:7 (2:7), 7:6 (7:3), 6:2, 3:1 — ტრავმა**

როდესაც კლასიფიკაციაში ყველაზე მაღლა მდგომ ესპანელს, საკუთარ შეგირდ ალექს კორეჩას კაპიტანმა ხავიერ დუარტემ ახალგაზრდა ხუან კარლოს ფერერო ამჯობინა ერთეულებში სათამაშოდ, მისი არჩევანი ყველას არ მოუწონებია. მეტსახელად „მოსკიტოს" ხომ ასეთ მნიშვნელოვან მატჩებში კარიერაში ერთი-ორჯერ თუ მიელო მონაწილეობა.

დუარტე გვარიანად ნერვიულდებოდა, ფერერომ აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონ პატრიკ რაფტერთან პირველი ხელი რომ დათმო და ესპანელები კატასტროფის პირას მიიყვანა. მასპინძელთა ჯილას სტუმრის მძლავრ მოწოდებებთან და აგრესიულ თამაშის სტილთან გამკლავება თავიდან შესამჩნევად უჭირდა, მაგრამ მეორე სეტის ტაიბრეიკზე ნერვები მოთოკა და ანგარიში გაათანაბრა თუ არა, ბორბალი წალმა დაატრიალა.

ამასობაში რაფტერსაც დაღლა დაეტყო, ფეხის, მაჯის და მკლავის კუნთები ერთიანად დაეკრუნჩხა და თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა: „წარმოდგენა არ მაქვს, რა მომივიდა, მატჩის წინ თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. გეიმებს შორის ბოლო შესვენებაზე შევთანხმდით, რომ თუ მდგომარეობა გაუარესდებოდა, მატჩისთვის თავი დამენებებინა და კვირისთვის შემენახა ძალები. მეც ასე მოვიქეცი".

**წყვილები: ალექს კორეჩა და ხუან ბალსელსი (ესპანეთი) — მარკ ვუდფორდი და სენდონ სტოლი (ავსტრალია) 6:4, 6:4, 6:4**

ლეგენდარული „ვუდის" — მარკ ვუდფორდისთვის კარიერის უკანასკნელი მატჩი უიღბლო გამოდგა. თავისი საჩოგბურთო მეორე ნახევრის, ტოდ ვუდბრიჯის ნაცვლად (რომლის მეუღლეც ამ დღეებში შვილს ელოდება) სენდონ სტოლისთან შეწყვილებულმა წითელთავა ოზმა შესანიშნავად მოთამაშე ესპანელებს ვერაფერი დააკლო.

**ხუან კარლოს ფერერო — ლეიტონ ჰიუიტი 6:2, 7:6 (7:5), 4:6, 6:4**

მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი საჩოგბურთო ტურნირის გამარჯვებულის ბედი საბოლოოდ ორი ახალამოსული ვარსკვლავის მატჩმა გადაწყვიტა. ფერერო და ჰიუიტი ფიზიკური მონაცემებითა და გარეგნობით ერთმანეთს ძალიან ჰგვანან, მაგრამ კორტზე ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან.

თუ ავსტრალიელი მხოლოდ კონტრშეტევებზე ირჯება და თითოეულ წარმატებას საბრძოლო კიჟინას დაურთავს ხოლმე, წყნარი, აუღელვებელი ესპანელი საკუთარ ემოციებს იშვიათად ამჟღავნებს და გამუდმებით შეტევაზე ფიქრობს.

საყვარელ თიხნარის საფარზე, ათასობით გულშემატკივრით გამხნევებულმა ფერერომ ამჯერად მეტოქე აშკარად დაჩაგრა. შესანიშნავი მიღებებითა და ზუსტი, ასეთი ძვალტყავა მოთამაშისთვის წარმოუდგენლად მძლავრი ფორჰენდებით ესპანელმა სიქა გააცალა ავსტრალიელს და ქება თვით მტრული ბანაკის მეთაურს, ავსტრალიელთა კაპიტან ჯონ ნიუკომბს დასტყუა: „მატჩის ბოლოს ფერერო ისე კარგად თამაშობდა, მნიშვნელობას აღარც ვანიჭებდი, ქულა ვინ მოიგო, აღფრთოვანებული ვიყავი. დღეს ჩვენ მომავლის ორი ჩოგბურთელის მატჩი ვიხილეთ, რომლებიც მომდევნო 8-10 წლის მანძილზე უამრავ მნიშვნელოვან შეხვედრაში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს".

გამარჯვების პირას მყოფი ესპანელი ცოტათი მაინც ანერვიულდა და მეოთხე სეტში 5:3-ზე საკუთარი მოწოდება დაკარგა, მერე სამი მატჩ-პოინტიც გაუშვა ხელიდან. ოღონდ მომდევნო შანსი ფერეროს აღარ გაუნიავებია — ბექჰენდი ხაზს გააყოლა და ჰიუიტს მისი დაწევის იოტისოდენა შესაძლებლობაც არ დაუტოვა.

მთავარ მსაჯს საბოლოო ანგარიშის გამოცხადება არ დაესრულებინა, 16-ათასიან „პალაუ სანტ ხორდიში" გიჟური ღრიანცელი და ზეიმი რომ დაიწყო, კორტზე კი ფერადი ქაღალდების წვიმა წამოვიდა. ფეროროს თანაგუნდელები შემოეხვივნენ და ჰაერში აიტაცეს, ალექს კორეჩამ კი მხარზე შემოსმული ატარა ტრიბუნების წინ. მოგვიანებით მას თავისი ცისფერსისხლიანი სეხნის, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსის ხელის ჩამორთმევისა და მილოცვის მიღების პატივი ერგო.

„რა უნდა ვთქვა, ყველაფერი ფანტასტიკური იყო, მხოლოდ ასეთი წუთებისთვის ღირს ჩოგბურთის თამაში. მიხარია, რომ მენდნენ და მეც არ გავუცრუე თანაგუნდელებს იმედი" — განაცხადა ესპანელმა, რომელსაც დევისის თასზე ერთი მატჩიც არ წაუგია.

თითქმის ნახევარი საათი გავიდა, სანამ ესპანეთის ჰიმნის მომღერალი, ყურისწამღებად მოღრიალე ტრიბუნები დაწყნარდებოდნენ და დაჯილდოების ცერემონიალის დაწყება გახდებოდა შესაძლებელი. ხავიერ დუარტეს, რომელიც მეტოქეთა კაპიტანს მეხუთე მატჩის არჩატარებაზე შეუთანხმდა, თასის გადაცემის დროს თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

„ვიცოდით, რომ მძიმე მატჩი გველოდა და ასეც მოხდა. მინდა, მადლობა ვუთხრა მოთამაშეებს, რომლებმაც ყველაფერი გაიღეს მოსაგებად. ძნელი იქნება, მაგრამ შევეცდებით, გაისადაც არ შევირცხვინოთ თავი. ესპანეთს იმდენი ძლიერი ჩოგბურთელი ჰყავს, შეუძლებელი არაფერია".

**ავთანდილ სვანიძე**



ალექს კორეჩამ ხუან კარლოს ფერერო ხუან კარლოსს მიჰგვარა



# რაგბის კლუბ სტუ-„ყოჩების" მიმართვა რაგბის კავშირისა და ქომაგებისადმი

**წინა** კვირაში ეროვნულ სტადიონზე გამართულმა საქართველოს ჩემპიონატის ფინალმა ფრიად ასიამოვნა სპორტის მრავალრიცხოვანი ქომაგი. რაგბი იყო დიდებული, თავგანწირული, სულის შემძვრელი და ჩემპიონიც 100-წუთიანი ბრძოლის სულ ბოლოსღა გაირკვა. ერთი სიტყვით, რაგბის კავშირის, სტადიონის დირექციის, გულშემატკივრების და თავად გუნდების წყალობით რაგბის ჭეშმარიტი დღესასწაული ვიხილეთ.

ორიოდე სიტყვით შეგახსენებთ მომხდარს. „ლოკომოტივისა" და სტუ-„ყოჩების" ფინალის ძირითადი დრო ფრედ 25:25 დასრულდა. დაინიშნა დამატებითი დრო, და ისევ ყაიმი 28:28, რის შემდეგაც ჩემპიონად გამოცხადდა და ახალდაწესებული „ბზის თასით" დაჯილდოვდა „ლოკომოტივი", რადგან მან სამი ლელო გაიტანა სტუ-„ყოჩების" ერთის წინააღმდეგ.

სტუ-„ყოჩები" ჩვენს ძველს მეტოქეს, „ლოკომოტივს", კიდევ ერთხელ ალალად ვულოცავთ პირველობას. გუნდმა რეგულარული ჩემპიონატის ოთხი წრე ერთობ დამაჯერებლად მოიგო და ფინალშიც ძლიერად ითამაშა. ასე რომ, მათ ჩემპიონობაში ეჭვი არც შეგვაქვს.

და მაინც, რამ დაგვაწერინა ეს მიმართვა? საქმე ისაა, რომ მსაჯის ბოლო სასტვენის შემდეგ „ყოჩები" და მათი ქომაგები ისევე ხარობდნენ, როგორც მათი მეტოქე, მაგრამ მათდა გასაოცნებლად გაირკვა, რომ ჩემპიონი მარტო „ლოკომოტივი" გამხდარიყო.

არადა, ფინალის დაწყებამდე „ყოჩებმა" ვიცოდით, რომ თუ დამატებითი დროის შემდეგაც ფრე იქნებოდა, ჩემპიონად ორივე ფინალისტი გამოცხადდებოდა, რაც რაგბის სულსა და ტრადიციას ეთანხმება, მაგრამ იქნებ ოდნავ გაუგებარი იყოს ჩვენს თამაშში ბოლომდე ჩაუხედავი ხალხისთვის.

დიახ, ჩვენმა მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა გუნდს მატჩის წინ გამოუცხადა, რომ ძირითადი და დამატებითი დროის ფრედ დასრულების შემდეგ ორივე გუნდი ჩემპიონი გახდებოდა. მწვრთნელს ეს ინფორმაცია ზეპირად და ერთობ ზერელედ მიაწოდა რაგბის კავშირის ოფიციალურმა პირმა.

ჩვენგან განსხვავებით, „ლოკომოტივს" იგივე დეტალურად განუმარტეს, რასაც თვით მეტოქის მოთამაშეები გვიდასტურებენ. კერძოდ, მათ თავიდანვე იცოდნენ, რომ თუ დამატებითი დროის შემდეგაც ფრე იქნებოდა, გამარჯვებულის ვინაობა „მეტი ლელოს წესით" დადგინდებოდა, რაც ჩვენი აზრითაც, ლოგიკურია.

მაგრამ სად ამ წესის თამაშამდე ცოდნა და სად თამაშის შემდეგ, ცხელ გულზე შეტყობა?! „ყოჩები" შოკირებულნი იყვნენ. ისინი თავს მოტყუებულად გრძნობდნენ. მათ გასახდელში არ შეისვლებოდა. გუნდის უფროსობამ ნამატჩევს, პრესკონფერენციაზე ორი სიტყვით გამოთქვა თავისი გულის წუხილი, რასაც კავშირიც დაეთანხმა.

არა, ნამდვილად ბუნებრივი და საფუძვლიანი იყო ბიჭების ემოციები. ეს ხომ რიგითი მატჩი არ ყოფილა! „ყოჩებმა" თავი გადადეს, მოედანზე ბოლომდე დაიხარჯნენ, ფავორიტად შერაცხულ მეტოქეს არაფერში ჩამორჩნენ, ბოლოს და ბოლოს, არც მატჩი წაუგიათ და მხოლოდ იმიტომ, რომ რაგბის კავშირმა მათ რიგიანად ვერ აუხსნა ჩემპიონის გამოვლენის წესი, ყველაფერი წყალში ჩაიყარა.

ახლა ვიკითხოთ, როგორ და როდის დადგინდა ეს წესი?

გაოცდებით და ზედ ფინალის წინ, თავად სტადიონზე, რაგბის კავშირის წარმომადგენლები ჭკუას დაეკითხნენ ჩვენი რაგბის სამყაროში ცნობილ, რაგბის ავანჩავანში ჩახედულ პირს, რომელიც, ბედად, იმ დროს იქ იყო და ფინალთან ის აკავშირებდა, რომ მისთვის, როგორც რიგით ქომაგს, ისე უნდა ეცქირა.

არადა, წესითა და რიგით, ფინალის რეგლამენტი უნდა ჩაიწეროს ჩემპიონატის დებულებაში, ანუ იმ დოკუმენტში, რომელიც სეზონის დაწყებამდე დგება, მტკიცდება და მონაწილეებს ურიგდებათ.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ყველაფერი ზედ თამაშის წინ გადაწყდა და თან ზეპირად, რასაც მოყვა მთელი ეს გაუგებრობა. მატჩის წინ ხომ მოთამაშეცა და მწვრთნელიც საბრძოლოდ არიან შემართულნი და დებულების ნიუანსებში წვდომისთვის არც დრო აქვთ და არც განწყობა.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ქართული დაუდევრობისა და საზოგადო სარაგბო არხეინობის ბრალია. მსოფლიო რაგბიშიც ხომ გვხვდება მაგალითი, რომ თვით მსოფლიო თასის შესარჩევები გაჩაღებულა და სისტემა ბოლომდე გარკვეული არ ჰქონიათ.

და კიდევ, ფინალი კი არა, ნახევარფინალი რომ დამთავრებულიყო ფრედ, მაშინ როგორ მოიქცეოდა კავშირი? ზემოთ ხსენებული კერძო მრჩეველი ბათუმსა და ოქროყანაში არ ყოფილა და არც მობილურ ტელეფონს ატარებს, რომ ციმციმ მოძებნო და აზრი ჰკითხო.

მოკლედ, გვინდა, რაგბის კავშირს ვუსაყვედუროთ უნებურად მომხდარის გამო და ვურჩიოთ, რომ სამომავლოდ დროულად დაიჭიროს თადარიგი, ბოლომდე დაწეროს დებულება და იგი ერთნაირი ფორმით მიაწოდოს ყველა მონაწილეს.

ამავე დროს, გვსურს ჩვენს ქომაგებს მოვუბოდიშოთ იმის გამო, რომ ფინალური სასტვენის შემდეგ უმალ ვერ ავუხსენით ის, რაც თავს გადაგვხდა. სხვა გუნდებს კი ვუსურვებთ, რომ ამგვარი შოკი არ განეცადოთ.

## ჰოკეი

8 დეკემბერი
რეინჯერსი — ბუფალო 5:2
1:1 1:1 3:0
ოტავა — მონრეალი 1:0
0:0 0:0 1:0
დეტროიტი — ფილადელფია 5:1
1:1 3:0 1:0
კოლუმბუსი — ბოსტონი 3:2
0:1 2:1 0:0 1:0
ტამპა — კოლორადო 0:2
0:2 0:0 0:0
ატლანტა — ფლორიდა 4:3
1:1 1:1 1:1 1:0
მინესოტა — ანაჰაიმი 0:1
0:0 0:0 0:0 0:1
სან ხოსე — ვანკუვერი 1:6
0:2 0:2 1:2
9 დეკემბერი
ნიუჯერსი — ვაშინგტონი 2:3
0:3 2:0 0:0
ტორონტო — პიტსბურგი 5:1
1:0 2:1 2:0
ბოსტონ — რეინჯერსი 6:4
2:1 0:2 4:1
აილენდერსი — ატლანტა 2:5
0:2 1:1 1:2
მონრეალი — ოტავა 2:4
0:1 2:1 0:2
ფლორიდა — კოლორადო 2:4
0:0 1:2 1:2
სენტ ლუისი — ჩიკაგო 6:4
1:2 3:2 2:0
კალგარი — კაროლინა 7:2
3:0 3:1 1:1
ედმონტონი — ლოს ანჯელესი 2:4
1:1 1:2 0:1
10 დეკემბერი
მინესოტა — ნეშვილი 1:2
1:0 0:2 0:0
დეტროიტი — პიტსბურგი 3:4
1:0 2:3 0:1
ფილადელფია — აილენდერსი 5:2
1:1 2:1 2:0
ანაჰაიმი — დალასი 0:1
0:1 0:0 0:0
ჩიკაგო — სენტ ლუისი 1:6
1:2 0:2 0:2
ფინიქსი — კოლუმბუსი 1:1
0:0 1:1 0:0 0:0
ვანკუვერი — ლოს ანჯელესი 1:2
0:0 0:0 1:2

ნანა ალექსანდრია
დელიდან



# ივანჩუკი სკამს ისვრის, გულკო საათს არ უყურებს

**მსოფლიოს** ჩემპიონატის მერვედფინალის პირველი დღე ვაჟებში ფრთხილი მოთელვით დაიწყო. 8 პარტიიდან 7 ყაიმით დამთავრდა, აქედან 6-ში სერიოზული ბრძოლა არც გაჩაღებულა. პირველი ყაიმი ცნობილი ესტონელი დიდოსტატის, იან ელვესტის პარტიაში დაფიქსირდა. იანი ძალიან პოპულარულია ესტონეთში. რა თქმა უნდა, ისე არა, როგორც ლეგენდარული „მარად მეორე“ პაულ კერესი, რომლის სახეც მადლიერმა ესტონელებმა ეროვნულ ვალუტაზე ამოტვიფრეს. ელვესტმა მსოფლიოს ჩემპიონატში გამოკვეთილი სამატჩო სტრატეგია განახორციელა. თუ მოჭადრაკეთა ნაწილი ცდილობს, მაქსიმალური ძალისხმევით მატჩის ბედი ძირითად ორ პარტიაში გადაწყვიტოს და ასცდეს ტაი-ბრეიკს (დამატებით პარტიებს), იანი სხვაგვარად იქცევა — ორი დღე ისვენებს, ენერგიას ინახავს, რათა ტაი-ბრეიკის დროს დაატყდეს თავს მეტოქეს. IV რაუნდამდე ამ ჩანაფიქრმა გაამართლა. მისი მსხვერპლნი აღმოჩნდნენ ნოგეირასი, ივანჩუკი და მოვსესიანი. ერთ-ერთი საჭადრაკო გენიოსი, ვასილი ივანჩუკი (როგორც წესი, იგი სვლაზე ფიქრის დროს დაფის ნაცვლად ჭერს უყურებს) ელვესტთან წაგების შემდეგ ისე გამწარდა, რომ სკამი მოისროლა. საპრიზო თანხის 5%-ით უნდოდათ მისი დაჯარიმება, მაგრამ მან წერილობითი ბოდიში მოუხადა კოლეგებს, მსაჯებს და მაყურებელს. გრიშჩუკ — ელვესტის II პარტიაც ყაიმით დასრულდა. რუსეთის ახალმა ტალანტმა ალექსანდრ გრიშჩუკმა ესტონელს თეთრებით ბრძოლა გამოუცხადა, მაგრამ 34-ე სვლაზე იძულებული გახდა, მუდმივი ქიშით ყაიმი დაეფიქსირებინა. IV რაუნდში ელვესტს სამატჩო სტრატეგიამ უმტყუნა — ტაი-ბრეიკი მოსკოველმა მოიგო და ვაჟთა ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მოჭადრაკე, 17 წლის გრიშჩუკი მეოთხედფინალში გავიდა. სხვათა შორის, გრიშჩუკი რუსეთის ოლიმპიურ გუნდში სულ ბოლო მომენტში რუსეთის ჩემპიონის, ვოლკოვის ნაცვლად აიყვანეს და კიდეც გაამართლა: გუნდურ ოლიმპიურ ოქროს ალექსანდრმა დაფაზე ბრინჯაოს მედალიც მიუმატა. I პარტია ანანდმა შავებით საკმაოდ სწრაფი ყაიმით დაამთავრა წინადღის გმირთან, პოლონელ მაჩეიასთან (მაჩეიამ ტაი-ბრეიკში 2:0 დაამარცხა ალექსანდრე ბელიავსკი!). თეთრებით ანანდს პრობლემა არ ჰქონია. სანამ პრესცენტრში ცდილობდნენ ამოეცნოთ, იყო თუ არა შავების მე-11 სვლა სიახლე, კომპიუტერმა გვაცნობა, რომ ეს გაგრძელება ანანდის წინააღმდეგ ორჯერ წარმატებით თვით კარპოვს გამოუყენებია, აქედან ერთხელ — „დაფაზე დაუხედავად“ ტურნირში. ამჟამად ანანდი თვალხილული იყო. ეფექტური, თუმცა ადვილად დასანახი ფიგურის შეწირვით ვიშიმ პოლონელის მეფე გააშიშვლა და აიძულა, დანებებულიყო.

I პარტიაში სწრაფი ყაიმი გააკეთა მსოფლიოს ჩემპიონმა ალექსანდრ ხალიფმანმაც, რათა ლეკოსთან მძიმე ტაი-ბრეიკის შემდეგ მოსულიერებულიყო. II პარტიაში ხალიფმანი საინტერესოდ თამაშობდა: ჯერ ხარისხი შეწირა, შემდეგ ფიგურა და ბოლოს, ეტლების დაბოლოებაში გადაითამაშა ნაკლებად ცნობილი ბრაზილიელი ლეიტაო, რომელმაც პირველ რაუნდში ლოტიეს დამარცხებით გააცნო თავი საჭადრაკო სამყაროს. მოულოდნელი იყო ვლადისლავ ტკაჩოვის (25-ე კოეფიციენტი) გამარჯვება მოროზევიჩთან (მე-2 კოეფიციენტი). I ტურის ერთადერთი შედეგიანი პარტია, დრეევი-ტოპალოვი, შავების საეჭვო თამაშის შედეგად უკვე 25-ე სვლაზე თეთრების გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ ცნობილ ბულგარელ დიდოსტატს ფარ-ხმალი არ დაუყრია: ჯერ რევანში აიღო, შემდეგ კი ტაი-ბრეიკი 2:0 მოიგო და კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწია წინ. ვაჟებში 8 მატჩიდან 5-ის ბედი სწორედ ტაი-ბრეიკში გადაწყდა. ერთნაირი შედეგით — 2,5:1,5 ადამსმა დაამარცხა სვიდლერი, ბარეევმა — გულკო, შიროვმა — გელფანდი. ბოლო 2 მატჩის შედეგმა მოსალოდნელი თავსატეხისგან გაათავისუფლა ორგანიზატორები. გულკო პარასკევს „მოიხსნა გარბენიდან“ და ამდენად, შაბათის პრობლემა აღარ არსებობდა. საქმე ისაა, რომ ყოფილი დისიდენტი ბორის გულკო ამჟამად მორწმუნე იუდაისტია. იგი ცდილობს, დაიცვას იუდაიზმის კანონები: შაბათს, როგორც წესი, არ თამაშობს; თუ თამაშობს, სვლებს არ იწერს და ელექტრონულ საათს ხელს არ ჰკიდებს. რაც შეეხება ბორის გელფანდს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვაჟების ფინალი თეირანში უნდა ჩატარდეს, ისრაელის მოქალაქის ფინალში გასვლა დიდ უსიამოვნებას წარმოქმნიდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქალებში იშვიათია მოკლე ყაიმები, ისინი გაცილებით ბრძოლისუნარიანნი არიან. IV რაუნდის პირველ შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონმა სიუ ჟუნმა თეთრებით კარგი პარტია მოუგო ევროპის ჩემპიონ ნატალია ჟუკოვას — მხედრის ეფექტური შეწირვა და შამათი e7 უჯრაზე. II პარტიაში სიუ ჟუნს ყაიმით ნახევარფინალური საგზურის მოპოვება არ გასჭირვებია. კოვალევსკაიამ ადვილად მოუგო ჰოლანდიური ჩამოსხმის ჩინელს — პენგს და ნახევარფინალში სუფთა ჩინელს, სიუ ჟუნს დაუპირისპირდება. ორი მატჩის ბედი, ცინი — პეპტანი და მარიჩი — სკრიპჩენკო, ტაი-ბრეიკში გადაწყდა. პეპტანი და სკრიპჩენკო, ეტყობა, ფავორიტებთან გამარჯვების შემდეგ (პეპტანმა ჩიბურდანიძე და იოსელიანი დაამარცხა, სკრიპჩენკომ — გალიამოვა) „გადაიწვნენ“ და ბრძოლის ველი კარგი სახელით, მაგრამ მაინც დატოვეს. ცინმა და მარიჩმა ტაი-ბრეიკში 2:0 დაამარცხეს მეტოქეები და ერთმანეთს შეხვდებიან. დრამატულად წარიმართა კიშინიოვში ჩატარებულ საზონათაშორისო ტურნირზე ამ ორი მოჭადრაკის ბოლო ტურის შეხვედრა. ცინს ზედმეტი პაიკი და გამარჯვების რეალური შანსი ჰქონდა. და მაინც, წარმატება მარიჩმა იზეიმა და შემდეგ ეტაპზეც გავიდა. დაძაბულ, სტრესულ სიტუაციაში ნერვები წყვეტს ყველაფერს. ალისა მარიჩი შესაშური სიმშვიდით გამოირჩევა, საკუთარი თავის მოთოკვაც შეუძლია და ამიტომაც განსაკუთრებული წარმატებით თამაშობს შესარჩევ ტურნირებში.

მაშ ასე, ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში კენჭისყრამ მონაწილეები ასე დააწყვილა: კოვალევსკაია — სიუ ჟუნი, ცინი — მარიჩი. ნახევარფინალში ორი ჩინელია. საინტერესოა, შეძლებენ თუ არა ისინი ქართველების შედეგის გამეორებას — საქართველოს წარმომადგენლებს ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის ხუთი ფინალური მატჩი აქვთ ერთმანეთში ნათამაშევი.

### უქმეებზე

*დელიში ვაჟთა მეოთხედფინალები და ქალთა ნახევარფინალები დასრულდა. ვიშვანათან ანანდმა დიდი გაჭირვებით ფიდეს მოქმედი ჩემპიონი, ალექსანდრ ხალიფმანი დაამარცხა. ნახევარფინალშია 17 წლის რუსი ტალანტი, ალექსანდრ გრიშჩუკიც, ქალთა ფინალში კი ჩინური დერბი შედგება: მსოფლიოს ჩემპიონი, სიუ ჟუნი კანინგ ცინის წინააღმდეგ.*

ვაჟები

**ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი) 3,5:2,5; მაიკლ ადამსი (ინგლისი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 1,5:0,5; ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) — ვადიმ ტკაჩოვი (საფრანგეთი) 2,5:1,5; ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — ევგენი ბარეევი (რუსეთი) 2,5:1,5;**

ქალები

**სიუ ჟუნი (ჩინეთი) — ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) 2,5:1,5; კანინგ ცინი (ჩინეთი) — ალისა მარიჩი (ინდოეთი) 1,5:0,5**

---

მთის თხილამურობა

# ჰერმანენტული ტრიუმფატორი

**სამთოსათხილამურო** სარბიელებზე შაბათ-კვირამ ცოცხლად ჩაიარა. იტალიურ სესტრიერში ქალები სრიალებდნენ, ფრანგულ ვალდიზერში — კაცები. 9 დეკემბერს მიქაელა დორფმაისტერმა ქალთა გიგანტური სლალომი მოიგო, 10-ში იანიცა კოსტელიჩმა — სლალომი, იქით კი ჰერმან მაიერმა დუბლი გააკეთა, კარიერაში 33 გამარჯვება დაიგროვა, მესამე შედგა მსოფლიოს თასის სტარტზე და ავსტრიელებმა ვალდიზერში შელანძღული იმიჯი აღიდგინეს.

„ჰერმინატორი“ გიგანტური ნაბიჯებით სვლას შეუდგა. შაბათის სწრაფდაშვების ეტაპზე მან წესისამებრ ქარივით გაიქროლა ორეილ-კილის 3090 მეტრიან ფერდობზე და უახლოეს მდევარს 0,31 წამი მოუგო. „წლეულს უკვე სამივე დისციპლინის მოგება შევძელი — აღნიშნა მაიერმა (გიგანტური სლალომი, სუპერგიგანტი და სწრაფდაშვება იგულისხმა) — მაგრამ სწრაფდაშვებაში გამარჯვებას ყველაზე მეტად ვაფასებ.“ ზოგადად იქნებ ასეც იყოს, მაგრამ მაინცდამაინც გასულ უქმეებზე მაიერს კვირის გიგანტური სლალომი უფრო აღელვებდა: ეფექტური ესტი ჰქონია ჩაფიქრებული და საამისოდ მოგება იყო საჭირო.

კვირას მოვლენები „ჰერმინატორის“ სცენარით განვითარდა. ორეილ-კილის ფერდობზე ავსტრიელ კალატოზს გიგანტურ სლალომშიც ვერავინ აჯობა, ორი სრიალის ჯამში წამი და 36 მეასედი მოუგო თვისტომ ჰაინც შილხეგერს. როცა მეორედ ფინიშზე გადავიდა, მაიერი წითელი ხაზისკენ გასრიალდა, რომლის გადაკვეთამდე მოთხილამურეს თხილამურების მოხსნის უფლება არა აქვს, ოღონდ ხაზამდე არმისულმა უცებ იმიტაცია გააკეთა, ვითომ იხსნიდა. ახლომდგომებმა ამოიგმინეს, საქმეში ჩახედული მაყურებელიც მცირედ შეშფოთდა, მაშინ კი მაიერმა ხაზი გადალახა და თოვლს ემთხვია. ხალხმა შვებით ამოისუნთქა. საქმის არსს რომ ჩავწვდეთ, 1997 წელი გავიხსენოთ, როცა მაიერი სწორედ ამ ეტაპიდან ზემოთ აღწერილი წესის დარღვევისთვის მოხსნეს. მოთხილამურემ ალბათ ეს ამბავი ჩაიხვია გულში.

„კოცნა არ დამიგეგმავს — თქვა „ბოლმა-კაცმა“ ლაღობის შემდგომ — ეს საქციელი ჩემი გულიდან იყო ამოსული. სამი წლის წინანდელი ამბავი კი ცუდად მახსენდება. მაშინ კარგი გაკვეთილი მივიღე“. ხუთშაბათს მაიერი 28-ისა შესრულდა. ავტოსაჩუქარს არა უშავს.

შაბათი და კვირა ვალდიზერში მთლიანად ავსტრიელების იყო. მაიერის გამარჯვებები გამარჯვებებად და ორჯერვე პოდიუმიც მთლიანად მათ შეავსეს. ევროპელი მთიელები, ეტყობა, ნელ-ნელა ძალებს იკრებენ, ხოლო მათ მთავარ მეტოქეებს პრობლემები აქვთ. ნორვეგიელებმა, ლასე კიუსმა და კეტილ ანდრე ამოდტმა კვირას მცირე ამბოხება მოუწყვეს თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციას. ვიკინგები გადატვირთული კალენდრის გამო იყვნენ აღრენილები და შაბათის სწრაფდაშვება გამოტოვეს.

ასეთი ამბებია საფრანგეთიდან, ხოლო იტალიაში კიდევ ერთხელ წარმატებით გაისარჯა ხორვატი იანიცა კოსტელიჩი, 18 წლის ტანადი გოგო, რომელიც მუხლის მომტვრევის წლისთავზე ეს-ესაა დაუბრუნდა სამთოთხილამურობას და უკვე სლალომის სამი ეტაპის მოგება მოასწრო: ამერიკულ პარკ სიტისა და ასპენში, კვირას კი სესტრიერში, სადაც პირველი რბოლის შედეგები გასაკვირი იყო — მოწინავედ იდგა ახალზელანდიელი კლაუდია რიგლერი და ხორვატს 0,73 წამს უგებდა. მეორე რბოლა უცნობმა სამხრეთელმა ასევე ენერგიულად დაიწყო, ზედმეტი მოუვიდა და შუაგზაზე წაიქცა. ზარალი მინიმალურია, რიგლერმა ორმოციოდე მეტრი ისრიალა თუ იკოტრიალა და გვერდები დაეჟეჟა, ხოლო კოსტელიჩმა კარგა 0,33 წამით გაუსწრო ამერიკელ სარა სკლეპერს და საერთო ჩათვლაშიც ერთობ წინ წაიწია.

**დავით გულუა**



ჰერმან მაიერი

### მსოფლიოს თასი.

სესტრიერი, იტალია. 9 დეკემბერი მეათე ეტაპი. გიგანტური სლალომი.

ქალები

1. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 2:19,88
2. ანია პერსონი (შვედეთი) 2:20,71
3. სონია ნეფი (შვეიცარია) 2:20,75

10 დეკემბერი. მეთერთმეტე ეტაპი. სლალომი

1. კოსტელიჩი 1:41,82
2. სარა სკლეპერი (აშშ) 1:42,15
3. ტრინე ბაკე (ნორვეგია) 1:42,17

### საერთო ჩათვლა

1. ერტლი 560 ქულა
2. რეჟინ კავანიუ (საფრანგეთი) 439
3. დორფმაისტერი 396

ვალდიზერი, საფრანგეთი.
9 დეკემბერი. მეათე ეტაპი. სწრაფდაშვება.

კაცები.

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 1:45,04
2. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 1:45,35
3. ფრიც შტრობლი (ავსტრია) 1:45,59

10 დეკემბერი, მეთერთმეტე ეტაპი.

გიგანტური სლალომი.

1. მაიერი 2:30,63
2. ჰაინც შილხეგერი (ავსტრია) 2:31,99
3. შიფერერი 2:32,00

### საერთო ჩათვლა

1. მაიერი 616
2. ებერჰარტერი 409
3. ლასე კიუსი (ნორვეგია) 397

---

ველორბოლა

# რეკორდების ხელოსანი

## ჟანი ლონგო ერთი საათის ქალია



ჟანი ლონგო

**ფრანგმა** ველომრბოლმა ქალმა ჟანი ლონგომ მორიგი რეკორდი დაამყარა. 42 წლის გამხდარი ლონგო ველოსპორტში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი მრბოლია: რამდენიმეგზის მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონია, სხვა სინჯის მედლებს ხომ თვლა არა აქვს. მისი ბიოგრაფია და კარიერა ამ ერთი თვის წინ (5 ნოემბერს) დაწვრილებით გაგაცანით, როცა „ჟანი დარკმა“ მეხიკოში საათიანი რბოლის მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ეგრეთ წოდებული კლასიკური ველოსიპედით. ამიტომაც ახლა მის მიერ განვლილი ცხოვრების გზაზე აღარაფერს გეტყვით, ახალ მიღწევაზე კი...

ლონგომ 7 დეკემბერს, მეხიკოს დროით 16 საათსა და 15 წუთზე შეუტია რეკორდს. მას 44,767 კილომეტრზე მეტი უნდა დაეფარა ერთ საათში, რათა თავისივე მიღწევა გაეუმჯობესებინა. თავის საყვარელ ტრეკზე (333,33 მ), რომელიც ზღვის დონიდან 2240 მეტრ სიმაღლეზეა, ლონგომ მშვენივრად ირბოლა. იგი, ფაქტობრივად, თავიდანვე სარეკორდო სიჩქარით მიქროდა და ბოლოსკენაც, დაღლის მიუხედავად, ტემპი არ დაუგდია.

საბოლოოდ, როცა საათმა 17 საათი და 15 წუთი აჩვენა, ჟანი ლონგოს 45,094 კილომეტრი ჰქონდა გავლილი და რამდენიმე წუთში თავის მეუღლესა და მწვრთნელს, პატრის სიპრელისაც ჩაეხვია გახარებული.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ერთი თვეა, რეკორდის გაუმჯობესება მინდა. ბოლო კვირაში მშვენიერ ფორმაში ვიყავი, მაგრამ გამუდმებით ძლიერი ქარი ქროდა და კინაღამ შინ გამგზავრება გადავწყვიტე“ — თქვა „მადამ ველომ“, როცა ჟურნალისტებისთვის მოიცალა.

**გაიოზ თალაკვაძე**

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

# დამხობილი ჰერმინატორი



REUTERS ვალდიზერიდან

დიდი ჰერმინატორი, ავსტრიელი სამთო მოთხილამურე, გენიოსი ჰერმან მაიერი ვალდიზერის თოვლზე დამხობილა და პატივისცემით ჰკოცნის თეთრ გზას, რომელზეც გავლამაც ეს წუთია მოაგებინა მსოფლიოს თასის გიგანტური სლალომი.

# ბუღათა და კენგურუთა ჭიდილი

აღსრულდა. ესპანელმა ჩოგბურთელებმა პირველად მოიგეს დევისის თასი. ისტორიაში პირველად სძლიეს გუნდურად ავსტრალიელებს. ამაში თიხნარიც მოიხმარეს და ბალახის ოსტატ ავსტრალიელებს 3:1 მოუგეს. მეფე-დედოფალი ხუან-კარლოსი და სოფია, ესპანური ჩოგბურთის თავკაცი აგუსტი პუიოლი, გამარჯვებული გუნდის კაპიტანი ხავიერ დუარტე, გამარჯვებულნი ალბერტ კოსტა, ალექს კორეჩა, ხუან კარლოს ფერერო და ხუან ბალსელსი ხარობენ. ეს ყოველი კი ხდება ბარსელონაში სან ხორდის სპორტულ სასახლეში.



REUTERS ბარსელონიდან



REUTERS ბარსელონიდან




# წინა დღეს

თქვენ უკვე იცით მსოფლიო გამოკითხვის შედეგი, თუ ვინ შექნა საუკუნის ფეხბურთელი. ჩვენ კი წინა დღის ამბავს მოგახსენებთ: დიეგო მარადონა „ბოკაში“ ნაცვამ, საყვარელ მაისურას ჩუქნის არგენტინის პრეზიდენტ კარლოს დე ლა რუას. ამ დროს საუკუნის მობურთალის ვინაობა ჯერაც უცნობია და არგენტინელ ხალხს მხოლოდ ის შეუტყვია, რომ ფიფა გამოკითხვაში წინგაჭრილ მარადონას არ სწყალობს და ტიტულის პელესთან გაყოფას ჩალიჩობს. ამას თუ აღუშფოთებია ბუენოს აირესელი ტაქსისტი, თავის მანქანაზე რომ წაუწერია „დასწყევლოს, ფიფა“. ხალხს ვერ მოატყუებ. დაიხ.




# პუტინის კლუბი

შორეულ ციმბირის ურალის ქედის ძირას, ქალაქ მაგნიტოგორსკში ძიუდოს საპრეზიდენტო კლუბი შექმნილა. იქ აუდგამს ფეხი როგორც ძიუდოს მოჭიდავეს რუსთა ხელმწიფეს, ვლადიმერ პუტინს. რა გასაკვირია, რომ ძიუდოს ახალი კერისთვის გზა დაელოცნა?



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მქველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge